ფარეჯან თვალთვაძე
ნანა გაფრინდაშვილი

# მართლწერის წესები და სავარჯიშოები



# მართლწერის წესები და სავარჯიშოები

კრებული შეადგინეს დარეჯან თვალთვაძემ და ნანა გაფრინდაშვილმა

თბილისი

2004

წიგნში თავმოყრილი და განმარტებულია ის ძირითადი გრამატიკული ცნებები და კატეგორიები, რომელთა ცოდნის გარეშეც ძნელია სწორად წერისა და მეტყველების სწავლა.

კრებულში წარმოდგენილი გრამატიკული სავარჯიშოებისა და ტესტების მიზანია რამდენადმე დაეხმაროს ახალგაზრდებს, დაუახლოვონ თავიანთი ზეპირი და წერითი მეტყველება სალიტერატურო ქართულს, დახვეწონ და აიმაღლონ წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონე.

წინამდებარე გამოცემა ჩაფიქრებულია როგორც ერთგვარი სამუშაო რვეული. მისი ფორმატი იძლევა იმის საშუალებას, რომ დროის დაზოგვის მიზნით დავალებები შესრულდეს პირდაპირ გამოცემის ტექსტში.

წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე, ქარული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: პროფ. გ. გოგოლაშვილი

რეცენზენტები: დოც. ნ. დანელია
დოც. ნ. შარაშენიძე

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გ. ბაგრატიონი

© დარეჯან თვალთვაძე, ნანა გაფრინდაშვილი, 2004

ISBN 99928-0-890-X

# ს ა რ ჩ ე ვ ი


I. არსებითი სახელების მართლწერა ........ 7
- ფუძის კუმშვა ........ 10
- ფუძის კვეცა ........ 12
- ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება ........ 15
- წოდებითი ბრუნვის დაბოლოება ........ 16
- საკუთარ სახელთა ბრუნება ........ 17
  - ადამიანთა საკუთარი სახელები და გვარები ........ 17
  - ადამიანთა გვარები ........ 21
  - სახელისა და გვარის ერთად ბრუნება ........ 24
  - გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება ........ 28
- თანდებულიანი ბრუნვები ........ 31

II. ზედსართავი სახელების მართლწერა ........ 36

III. რიცხვითი სახელების მართლწერა ........ 41
- რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ........ 41
- რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ........ 44
- წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ........ 48

IV. ნაცვალსახელების მართლწერა ........ 50

V. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ........ 54
- რამდენიმე მსაზღვრელის რიგი ........ 54
- სათაურების მართლწერა ........ 56

VI. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა ........ 59

VII. რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა ........ 62
- ერთცნებიანი კომპოზიტები ........ 62
- მრავალცნებიანი კომპოზიტები ........ 67

VIII. ზმნების მართლწერა ........ 72
- სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ........ 72
- ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ........ 74
- ზმნისწინები ........ 79

• თემის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები 82
• III სერიის მწკრივების წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები ........ 86
• რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებში და ნაზმნარ სხელებში ........ 89
• ვ-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში და ნაზმნარ სახელებში 90
• რიცხვში მონაცვლე ზმნები ........ 93
IX. სახელზმნა ........ 96
• საწყისი ........ 96
• მიმღეობა ........ 98
X. ზმნიზედები ........ 103
XI. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სავარჯიშოები ........ 105
• უცხოური სიტყვების მართლწერა ........ 105
• ჟარგონი, დიალექტიზმები, არქაიზმები ........ 115
XII. სტილის საკითხები ........ 118
XIII. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ........ 124
XIV. სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები ........ 129
XV. პუნქტუაცია (წესები და სავარჯიშოები) ........ 129
• სასვენი ნიშნები ........ 130
• წერტილი ........ 130
• კითხვის ნიშანი ........ 131
• ძახილის ნიშანი ........ 131
• მრავალწერტილი ........ 133
XVI. მძიმე ........ 134
• მძიმე შერწყმულ წინადადებაში ........ 134
• მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში ........ 134
• მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში ........ 136
• მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან ........ 139
  ○ მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან ........ 140
  ○ მძიმე დანართთან ........ 143

○ მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან ................................ 145
○ მძიმე „გარდა“ და „მიუხედავად“ თანდებულიან სახელებთან ................................ 147
○ მძიმე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან ...................... 148
○ მძიმე მიმართვასთან................................ 150
○ მძიმე მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან ....... 151
• მძიმე რთულ წინადადებაში ................................ 152
○ მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში ................................ 152
○ მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ................................ 153
• წერტილ-მძიმე ................................ 157
• ორწერტილი ................................ 158
• ტირე ................................ 160
• ფრჩხილები ................................ 163
• ბრჭყალები ................................ 164
XVII. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან ................................ 166
• სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა ................................ 170
• დიალოგი ................................ 173
XVIII. რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად ................................ 177
XIX. სავარჯიშოები გასამეორებლად ................................ 181
XX. ტესტები თვითშემოწმებისათვის ................................ 188
• ტესტების პასუხები ................................ 198
• ლიტერატურა ................................ 199

# I. არსებითი სახელების მართლწერა

*ცნობისათვის:* არსებითი სახელი ეწოდება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. არსებითი სახელი იბრუნვის. ერთმანეთისაგან განსხვავებულია საზოგადო და საკუთარ არსებით სახელთა ბრუნება.

ქართულში შვიდი ბრუნვაა: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი -ი ან 0), მოთხრობითი (-მ, -მა), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-ის), მოქმედებითი (-ით), ვითარებითი (-ად, -დ), წოდებითი (-ო, -ვ, 0).

სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის, ფუძე ეწოდება. თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელს *თანხმოვანფუძიანი* ჰქვია, ხმოვანზე დაბოლოებულს კი – *ხმოვანფუძიანი*.

თანხმოვანფუძიანი სახელები შეიძლება იყოს *ფუძეუკუმშველი* ან *ფუძეკუმშვადი*. ხმოვანფუძიან სახელებში კი გამოიყოფა სამი ჯგუფი: *ფუძეუკვეცელი, ფუძეკვეცადი* და *კუმშვად-კვეცადი სახელები*.

## *ა) რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში*

გახსოვდეს!

- მანით დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოუდის (კალამმა, გურამმა).
- როცა სახელი სანით ბოლოვდება, მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში ორი ს უნდა დაიწეროს (თბილისს, კლასს).
- თუ სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდება, ებ-იან მრავლობითში ორი ე იწერება (დღე-ებ-ი, მეჩაიე-ებ-ი).
- თუ სახელის ფუძე ბოლოვდება სხვა ხმოვანზე ან თანხმოვანზე, მაშინ ებ-იან მრავლობითში ერთი ე უნდა დაიწეროს (წელი - წლები).
- თუ სახელის ფუძე ია-ზე ბოლოვდება, ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი ი მოიყრის თავს (ბიოლოგია — ბიოლოგიის, ბიოლოგიით).
- თუ სახელის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება, ნართანიანი მრავლობითის სახელობით და წოდებით ბრუნვაში ორი ნ მოიყრის თავს (ბრძენი – ბრძენნი, ბრძენნო).
- თ-ზე დაბოლოებულ სახელებს ნართანიანი მრავლობითის მოთხრობით, მიცემით და ნათესობით ბრუნვებში ორი თ ექნებათ (ბარათი – ბარათთა, საათი — საათთა).

### სავარჯიშო № 1. გაასწორეთ შეცდომები.

1. ექიმა ავადმყოფი გასინჯა.
2. ამ ქათამა ბლომად კვერცხი დადო.
3. ეს წიგნი დედაჩემა მომიტანა.

4. სამოქალაქო ომმა მთელი ქვეყანა მოიცვა.

5. ზეიმა დიდხანს გასტანა.

6. ლომა საშინლად დაიღრიალა.

7. ურემა ჭრიალი დაიწყო.

8. მასზე ამბობენ, კალამა უმტყუნაო.

9. ეს ტვირთი სულ ამ გემა ჩამოიტანა ფოთში.

10. გურამა და როსტომა დატოვეს თავიანთი სამშობლო.

**სავარჯიშო № 2. გაასწორეთ შეცდომები.**

1 წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდა.

2. გიორგი ახალ ტანისამოს იცვამს.

3. ფულით სინდის და ნამუს ვერ იყიდი.

4. დილით მანანა საუზმის სამზადის შეუდგა.

5. მრავალმა პოეტმა უძღვნა ლექსი თბილის და ქუთაის.

6. უმცროსმა უფროს უნდა გაუგონოს.

7. ნიკა გულდაწყვეტილი ემშვიდობებოდა თავის კლას.

8. მანგლის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა

9. მან უკანასკნელად შეავლო თვალი თას, რომელიც კათალიკოს ეჭირა ხელში.

10. ნინო 20 მაის დაიბადა, ნათია კი — 25 ივნის.

**სავარჯიშო № 3. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მთელი თვეების განმავლობაში ფანჯარასთან ვიჯექი.

2. სოფელს გარს ტბები და გუბები ერტყა.

3. ორღობეებში ბავშვები დარბოდნენ.

4. არასდროს დამავიწყდება იმ თეთრწვერა მოხუცების სახები.
5. ამ საკურორტო ქალაქში უამრავი ხალხი ჩამოსულიყო იტალიდან, გერმანიდან, შვეიცარიდან, ნორვეგიდან.
6. გიმნაზის დირექტორი და მასწავლებლები მაგიდასთან ისხდნენ.
7. ისტორიის ინსტიტუტმა წელს, ზაფხულში,მეტად საინტერესო ექსპედიცია მოაწყო.
8. ბრძენი ამბობდნენ, საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო.
9. საქართველო მდიდარია მინერალური წყლებით.
10. თბილის ამშვენებს მტკვარზე გადებული ლამაზი ხიდეები.

**სავარჯიშო № 4. გაასწორეთ შეცდომები.**

1. გადიოდნენ დღები, თვები, წლეები, ის კი არ ჩანდა.
2. მევენახეებმა წელს ყურძნის უხვი მოსავლი მიიღეს.
3. ჭიაბერი ხელზე ეამბორა მელქისედეკ კათალიკოს.
4. ჩვენს კლას წელს ორი ახალი მოსწავლე შეემატა.
5.ვარსქენ პიტიახშმა იაკობ ხუცეს დაავალა შუშანიკისთვის სამკაულების გამორთმევა.
6. თბილის რომ მივუახლოვდით, გული სხაგვარად ამიძგერდა.
7. წელს ნიკო ფეხით მოივლის საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს: ბოლნის, დმანის, მანგლის, წავკის.
8. კვირეები ისე გადის, რომ გარეთ არ გავდივარ.
9. კრებაზე შეკრებილი მონაზონი ეპისკოპოს ელოდნენ.
10. მეჩაიებმა და მესიმინდეებმა თავი არ შეირცხვინეს.

# ფუძის კუმშვა

***ცნობისათვის:*** კუმშვა ეწოდება ფუძიდან ხმოვნის ამოვარდას. იკუმშება ა, ე, და ო ხმოვნები (კალამი, კალმის; კედელი, კედლის). კუმშვას ფუძეზე ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა იწვევს. ო ხმოვანი ან საერთოდ იკარგება (ობოლი, ობლის), ან ვ-დ იქცევა (ნიორი, ნივრის).

*გახსოვდეს!*

ა) კუმშვად სახელებს ფუძე ეკუმშებათ მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: **ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში:**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ტაძარ-ი | **ტაძრ-ებ-ი** |
| მოთხ. | ტაძარ-მა | **ტაძრ-ებ-მა** |
| მიც. | ტაძარ-ს | **ტაძრ-ებ-ს,** |
| **ნათ.** | **ტაძრ-ის** | **ტაძრ-ებ-ის** |
| **მოქმ.** | **ტაძრ-ით** | **ტაძრ-ებ-ით** |
| **ვით.** | **ტაძრ-ად** | **ტაძრ-ებ-ად** |
| ნოდ. | ტაძარ-ო | **ტაძრ-ებ-ო** |

**სწორია: ტაძრის გუმბათი** (და არა ტაძარის გუმბათი).

ბ) სახელი **„ამბავი"** შეკუმშვისას ა ხმოვანთან ერთად კარგავს ვ თანხმოვანსაც და გვექნება ამბ-ის, ამბ-ით, ამბ-ად (და არა: ამბავ-ის, ამბავ-ით, ამბავ-ად).

გ) სახელი **„თვალი"** იკუმშება, თუ ის არ აღნიშნავს მხედველობის ორგანოს (ურმის თვალი, ძვირფასი თვლები), მაგრამ უკუმშველია, თუ მხედველობის ორგანოს აღმნიშვნელია ( თვალის ტკივილი, თვალის ფერი). ასევეა სახელი **„წელი"**,რომელიც უკუმშველია, როცა ის სხეულის ნაწილს აღნიშნავს (წელის ტკივილი), მაგრამ კუმშვადია, როცა დროის მონაკვთის მნიშვნელობით იხმარება (ხუთი წლის შემდეგ).

დ) ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები უკუმშველია (კარი, ბერი, ფერი, ქარი), მაგრამ თუ ამგვარი სახელები კომპოზიტების მეორე ნაწილად მოგვევლინებიან, მაშინ შეიკუმშებიან (ჭიშკარი, ჭიშკრის, დედაბერი, დედაბრის).

**სავარჯიშო № 5. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ელისო ამ დაწესებულებაში მდივანად მუშაობს.
2. ნიკომ ცარიელი ბოთლები წყაროს წყალით გაავსო.
3. ნინოს ბადრიჯანისგან უამრავი გემრიელი კერძის მომზადება შეუძლია.
4. მან სატევარის ხმარება საუცხოოდ იცოდა.

5. გუშინწინ ვახშამად დამპატიჟეს.

6. გიამ ფეხი ეკალით გაიჭრა.

7. კაკალის ტოტი ლერწამივით იდრიკებოდა.

8. ნოდარმა კედელის კარადის უკან შეინახა იარაღი.

9. ნიშანად ჩვენი სიხარულისა, ერთხმად შემოვძახეთ „მრავალჟამიერი".

10. ეს კაცი მწერალად არის დაბადებული.

**სავარჯიშო № 6. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ბიძინა ჭიშკარისკენ გაიქცა.
2. მასწავლებელის დანაბარები სკოლის ჭიშკარამდე არ მიჰყოლია ნიკოს.
3. მას დიდხანს ახსოვდა იმ დედაბერის თვალები.
4. ამ ამბავით ყველამ გაიხარა.
5. გაზაფხულზე ნუში ვარდისფერად აყვავდა.
6. მეფეს ძვირფასი თვალებით მოჭედილი გვირგვინი დაადგეს თავზე.
7. ამ გზას სვეტიცხოველის ტაძარამდე მივყავართ.
8. ხორბალი, ქერი და შვრია მარცვალეული კულტურებია.
9. დათომ ფანჯარის მინა ლურსმანით გაამაგრა.
10. სუფრაზე ეწყო: ნიგოზიანი ბადრიჯანი, ნიორიანი ქათამი, ქოთანის ლობიო, მსხალის, ატამისა და ჭერამის ჩირი. ღვინის ჭიქები სავსე იყო ახალდაწურული ყურძენის წვენით.

**სავარჯიშო № 7. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ნანა და ზურა ჭადარის ქვეშ ისხდნენ.
2. ჟურნალ „ცისკარის" ბოლო ნომერი დაგვიანებით გამოვიდა.
3. ამ ჭიშკარით დიდ ეზოში შეხვალ.

4. ყვითელი ფოთოლის დანახვაზე შემოდგომა მახსენდება.
5. ობოლის კვერი ცხვაო, გვიან გამოცხვაო.
6. ამ დაწესებულების შემოსავალის და გასავალის აღრიცხვა მეტად რთული საქმე გამოდგა.
7. დათომ მრგვალად მოხარშული დედალის ხორცი უგემურად შეჭამა.
8. მგელის მუხლი და ორბის თვლები აქვსო, — ამბობდნენ სოფელში მინდიაზე.
9. იაკობ გოგებაშვილი წარმოშობით ამ სოფელიდან იყო.
10. მანანას ზურმუხტისთვალიანი ბეჭედი ეკეთა.

## ფუძის კვეცა

***ცნობისათვის.*** ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვას კვეცა ეწოდება. კვეცადია საზოგადო სახელები, რომელთა ფუძე ბოლოვდება ა და ე ხმოვანზე.

***გახსოვდეს!*** ხმოვანფუძიან სახელებს ფუძე ეკვეცებათ მხოლობითი რიცხვის მხოლოდ ორ ბრუნვაში — **ნათესაობითსა და მოქმედებითში**.

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ზღვა | დღე |
| მოთხრ. | ზღვა-მ | დღე-მ |
| მიც. | ზღვა-ს | დღე-ს |
| **ნათ.** | **ზღვ-ის** | **დღ-ის** |
| **მოქმ.** | **ზღვ-ით** | **დღ-ით** |
| ვით. | ზღვა-დ | დღე-დ |
| წოდ. | ზღვა-ო | დღე-ო |

**სწორია: აკაციის ხე** ( და არა აკაციას ხე), **მეეზოვის სახლი** (და არა მეეზოვეს სახლი).

- ა-ზე დაბოლოებული სახელი ებ-იან მრავლობითში ხმოვანს მოიკვეცს ყველა ბრუნვაში (**ზღვ-ებ**-ი, **ზღვ-ებ**-მა , **ზღვ-ებ**-ს , **ზღვ-ებ**-ის, **ზღვ-ებ**-ით, **ზღვ-ებ**-ად, **ზღვ-ებ**-ო). ე-ზე დაბოლოებული სიტყვები კი არ იკვეცება (დღე-ებ-ი, დღე-ებ-მა, დღე-ებ-ს, დღე-ებ-ის, დღე-ებ-ით, დღე-ებ-ად, დღე-ებ-ო).

***უკვეცელია:***

- ო, უ და ი ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ყოველგვარი სახელი. გამონაკლისია **ღვინო**, რომელიც მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში — ნათესაობითსა და მოქმედებითში— კვეცადია. **სწორია : ღვინის, ღვინით** (და არა: ღვინოსი, ღვინოთი).

- ***უკვეცელია*** ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი საზოგადო სახელი მხოლობით რიცხვში: ბიცოლა, ტოროლა, ენძელა, ჭრიჭინა, დედოფალა და სხვ. მაგრამ მრავლობით რიცხვში ისინიც მოიკვეცენ ფუძისეულ **ა** ხმოვანს.
**სწორია: ტოროლას ხმა** ( და არა ტოროლის ხმა); მაგრამ მრავლობითში **ტოროლები.**
- ***უკვეცელია*** უცხო ენებიდან შემოსული ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები: ტირე, კუპე, ატელიე, ჟელე, კაფე და სხვ. **სწორია: კაფეს მეპატრონე** ( და არა კაფის მეპატრონე).
- ***უკვეცელია*** ნათესაური დამოკიდებულების გამომხატველი საზოგადო სახელები (დედა, მამა, ბებია, ბაბუა . . .), თუ მათ საკუთარი სახელის მნიშვნელობით ვხმარობთ: „**დედას** ოთახი მეორე სართულზეა", „შვილმა **დედის** ამაგი უნდა დააფასოს" პირველ შემთხვევაში იგულისხმება საკუთარი დედა და ის არ იკვეცება (დედას ოთახი), ხოლო მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება საერთოდ დედა, რომელიც საზოგადო სახელია და იკვეცება (დედის ამაგი).
- ი ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები უკვეცელია მხოლობით რიცხვში, მაგრამ კვეცადია მრავლობითში.
**სწორია: დიჯეიმ, დიჯეის, დიჯეის, დიჯეით, დიჯეიდ, დიჯეი; მრ. რ. დიჯე-ებ-ი.**
- თუ საზოგადო არსებით სახელს კნინობითის მაწარმოებელი (-უნა, -უკა, -უნ-ია) დაერთო, ასეთი სახელები მხოლობითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში უკვეცელი იქნება, ხოლო ებ-იან მრავლობითში კი - კვეცადი.
**სწორია დათუნიასი, დათუნიათი; ჩიტუნასი, ჩიტუნათი** (და არა: დათუნის, ჩიტუნის), მაგრამ მრავლობითი დათუნი-ებ-ი, ჩიტუნ-ებ-ი.

**რამდენიმე სახელს ფუძე ერთდროულად ეკუმშება და ეკვეცება. მათ კუმშვად-კვეცადი სახელები ჰქვიათ. კუმშვად-კვეცადი სახელები (ქვეყანა, ქარხანა, ბეგარა, მოყვარე, ფანჯარა, ტომარა, პეპელა) მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში და ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (ქვეყნის, მოყვრის, პეპლები..).**

**სავარჯიშო № 8. ფრჩხილებში მოთავსებული სახელები ჩასვით სათანადო ბრუნვის ფორმით.**

1. ეს ქედი (მუხა და წიფელი) არის დაფარული.
2. იგი (ღონე) სხვას არ ჩამოუვარდებოდა.
3. განდეგილი ბერი ლოცვანს (მზე) სხივზე აყრდნობდა.

4. (მთა) კალთაზე ცხვარი გაიშალა.

5. ბავშვები (თუთა) ხის ქვეშ ისხდნენ.

6. აქაურობა (ქვა და ლოდი) სავსე.

7. (ქარხანა) მუშები ხელფასს დროზე იღებდნენ.

8. დურგალმა (ფანჯარა) ჩარჩოები (კაკალი) ხისგან დაამზადა.

9. ფქვილი (ტომარა) მოიტანეს.

10.ტყიდან (კოდალა) ხმა ისმოდა.

**სავარჯიშო № 9. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ხეთი ბევრ სასარგებლო ნივთს ამზადებენ.
2. ღვინოს ჭიქა პატარა და მოხდენილი უნდა იყოს.
3. ორცნებიანი კომპოზიტები ტირითიწერება.
4. მგზავრმა თამამად შეალო კუპის კარი.
5. ენძელის და იის გამოჩენა გაზაფხულის დადგომის ნიშანია.
6. დაუვიწყარია ქართული „იავნანის" ჰანგები.
7. სამკერვალო ატელიის შესასვლელთან ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელსაც პირი კაშნით შეებურა.
8. დედინაცვალის შიშით კონკია ხმამაღლა ტირილსაც ვერ ბედავდა.
9. ეკას თოჯინისთვის კაბები უნდა შეეკერა .
10. ვანოს ბევრი რამე წაეკითხა კობრის, ამ საშინელი არსების, ამ კაციჭამიის შესახებ.

**სავარჯიშო № 10. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ქარხანის შესასვლელთან ხალხს მოეყარა თავი.
2. ტომარიანი კაცი ბაზრისკენ წავიდა.
3. პეპელას ფრთები ლამაზად მოხატულია.

4. ქართველები ამაყობენ თავიანთი ქვეყანის ბუნებითა და ისტორიით.

5.უმოყვაროდ ცხოვრება რთულია.

6.ბეგარისა და ღალას გადახდა მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს.

7. თბილისის ერთ რაიონს ადრე საქარხანო რაიონი ერქვა.

8. ქვეყანის ბედზე ზრუნვა ყველა მამულიშვილის საქმეა.

9. პეპელას ფარფატი უფანჯარო ბნელ ოთახში დიდხანს გაგრძელდა.

10. ფანჯარის რაფაზე ყვავილების ლარნაკი იდგა.

## ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება

**ცნობისათვის: ვითარებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს ბოლოში დაერთვით -დ (და არა -თ), თანხმოვანფუძიანებს — ად (და არა –ათ). სწორია: კაცად, ამხანაგად, მდინარედ,წყაროდ** (და არა: კაცათ, ამხანაგათ, მდინარეთ, წყაროთ).

**სავარჯიშო № 11. გაასწორეთ შეცდომები.**

1. შვიდი წლის ზაქრო მამამ მედუქნეს მოჯამაგირეთ დაუყენა .
2. იმ დღიდან სანდრო სრულიათ სხვა ადამიანათ გადაიქცა.
3. ასე აირჩიეს გიორგი ვაშაკიძე თავმჯდომარეთ.
4. ნუგზარს ძალიან უყვარდა ველათ სიარული.
5. კაცათ მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესათ დარგე:
   ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?"
6. ყინული მაშინვე წყლათ იქცა.
7. ეთერმა ობოლი ყმაწვილი შვილათ აიყვანა.
8. ლევანმა სტუდენტათ გახდომა დიდი ამბავით აღნიშნა.
9. აბჯარათ და სატევარათ ეგ არ გამოდგება.
10. „ამაღამ ვახშამათ რა გვაქვს?"— იკითხა ლუარსაბმა.

# წოდებითი ბრუნვის დაბოლოება

*ცნობისათვის:* წოდებით ბრუნვის დაბოლოებაა –ო, -ვ ან 0

*დაიმახსოვრე!* საზოგადო სახელები წოდებით ბრუნვაში გადმოიცემა:

- ბოლოთანხმოვნიანები ო ბრუნვის ნიშნით (ექიმო, შვილო).
- ბოლოხმოვნიანები (ორ- და მეტმარცვლიანები) — ვ ბრუნვის ნიშნით ან დაბოლოების გარეშე (ე.ი. ფუძის სახით) (დედავ//დედა).
- ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანები ო ნიშნით (კლდეო, დღეო). ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში, დასაშვებია - ვ დაბოლოების ხმარება ( „მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“. შდრ. „მზეო, ამოდი, ამოდი“).
- დაბოლოების გარეშე იხმარება უ ბოლოხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები (ძუძუ).
- სახელის მიმართვის ფორმაში ფუძის ბოლოკიდური ვ არ იკარგება. სწორია: ერისთავო! ვეფხვო! ( და არა: ერისთაო! ვეფხო! ).
- თუ სახელის ფუძე ო-ზე ბოლოვდება, წოდებითში ორო ო ექნება (რტოო).
- უცხოური ტიტულები (ბარონი, ჰერცოგი, გრაფი, მარკიზი და მისთ.) წოდებითში –ო ბრუნვის ნიშნით უნდა გაფორმდეს.
  სწორია: გრაფო! მარკიზო! ლორდო! (და არა: გრაფ! მარკიზ! ლორდ!).
  ეს სახელები –ო ბრუნვის ნიშანს დაირთავენ მაშინაც, როცა ისინი მსაზღვრელად არიან გამოყენებული. სწორია: ჰერცოგო ბეკინგემო! გრაფო სეგედი! (და არა: ჰერცოგ ბეკინგემო! გრაფ სეგედი!)
- მიმართვის ფორმები, როგორიცაა: „მის“, „მისის“, „მისტერ“, „სერ“, „მადამ“, „მისიე“, „ლედი“, „სენიორ“, „სენიორა“ ქართულში გაუფორმებლად რჩება. სწორია: მისტერ ველინგტონო! მისის კრისტი! სენიორ ბერტოლუჩი! მადამ ჟერარდო!

***სავარჯიშო № 12.*** **დასვით სახელები წოდებით ბრუნვაში.**

| | | |
|---|---|---|
| მეზობელი | მეგობარი | ბავშვი |
| კაცი | მინდორი | მხერხავი |
| ვაზი | სოფელი | მევენახე |
| მდინარე | მინა | სამშობლო |
| სახლი | წყარო | ქვეყანა |
| ღვინო | მთა | მზე |
| და | ძმა | დღე |
| კლდე | ხბო | დრო |
| რკო | ქალაქი | ლექსი |
| მკლავი | მკერავი | დეიდა |
| ბებია | ხევი | პირუტყვი |
| ტყავი | ხახვი | ნიავი |
| თავი | კრავი | ბარონი |
| გრაფი | სენიორიტა | ლედი |

გახსოვდეს!

- **და კავშირით შეერთებულ სახელთაგან ბრუნვის ნიშნებს ორივე დაირთავს: მამამ და შვილმა, დასა და ძმას** (და არა: მამა და შვილმა; და და ძმას)
- **მიცემით, ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული და კავშირის წინ მდგომი არსებითი სახელი გავრცობილი ფორმით (ე.ი. -ა ხმოვნის დამატებით) უნდა ვიხმაროთ. სწორია: დედასა და მამას, დედისა და მამის, დედითა და მამით** (და არა: დედას და მამას, დედის და მამის, დედით და მამით).

## საკუთარ სახელთა ბრუნება

***ცნობისათვის:*** საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს.
საკუთარი სახელებია:

- ადამიანთა (პირთა) სახელები, ანუ ანთროპონიმები ( აქვე იგულისხმება გვარები, ფსევდონიმები, ზედმეტსახელები).
- გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმები (ქვეყნები, ქალაქები, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები, ტბები, კონტინენტები, მთები).
- პლანეტებისა და ციური სხეულების სახელები (დედამიწა, მარსი, ორიონი).
- წელიწადის დროთა, თვეების და კვირის დღეების აღმნიშვნელი სახელები ( გაზაფხული, სექტემბერი, ორშაბათი..).
- მხატვრული ნაწარმოებების სათაურები, ჟურნალ-გაზეთების, ფაბრიკა-ქარხნების, სხვადასხვა დაწესებულებების სახელები, რომლებიც ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ (პოემა „ვეფხისტყაოსანი", ჟურნალი „ცისკარი", ფაბრიკა „ისანი", მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი", გემი „შოთა რუსთაველი", შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „სამგორი", სააქციო საზოგადოება „ამალთეა", გამომცემლობა „დიოგენე", ნაყინი „თოლია" და სხვ.).
- ცხოველთა სახელები ( ყურშა, ნიქარა, ბომბორა).

## ადამიანთა საკუთარი სახელები და გვარები

*გახსოვდეს!*

- ***ადამიანთა საკუთარ სახელებს ბრუნვის დროს ფუძე არ ეცვლებათ: ბოლოთანხმოვნიანი ყველა უკუმშველია, ბოლოხმოვნიანი — უკვეცელი. სწორია: მაიასი, ელენეს, დარეჯანის*** *(და არა: მაიის, ელენის, დარეჯნის).*
- ***ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით უნდა ვიხმაროთ. სწორია: ოთარ! თეკლე! ნიკა! ალექსი!*** *(და არა: ოთარო! თეკლევ! ნიკავ! ალექს").*
- ***სახელის ფუძის გასარკვევად სახელს მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში ვსვამთ, ჩამოვაშორებთ ბრუნვის ნიშანს და რაც დაგვრჩება, სწორედ ის არის ფუძე ( მაგ. დავითი, დავით-მა, დავით-ს. ფუძეა*** *დავით;* ***ლელა, ლელა-მ, ლელა-ს. ფუძეა*** *ლელა).*

- *ხმოვანი ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში*
  *( მაგ. ავთანდილ-ი, ბაგრატ-ი, ეფრემ-ი, ვასილ-ი, ლევან-ი და სხვ.)*
- *ხმოვანი ი ფუძისეულია ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში (მაგ.ირაკლი, გიორგი, გივი, დალი და სხვ.).*

- *იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, რომელ სახელებშია ი ფუძისეული და რომელში ბრუნვის ნიშანი, უნდა ვიცოდეთ:*
  *ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანს ი-ს არ დაირთავს ბოლოთანხმოვნიანი სახელი, რომელსაც მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობის და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა. (მაგ. მიხეილ ჯავახიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი).*
  *ბ) ხმოვანი ი სახელს გადაჰყვება ყველა ბრუნვაში და ფუძისეულია, თუ მას მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობის და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა. (მაგ. აკაკი წერეთელი, დიმიტრი თავდადებული, ლეონტი მროველი).*

*დაიმახსოვრე! პირთა სახელები არც იკუმშებიან, არც იკვეცებიან. არა აქვთ მრავლობითი რიცხვი და წოდებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი.*

**ფუძისეული ი და სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ადამიანთა საკუთარ სახელებში**

**სავარჯიშო № 13. მიუწერეთ მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები შემდეგ სახელებს:**

| *სახელობითი* | *მოთხრობითი* | *მიცემითი* |
|---|---|---|
| აკაკი | აკაკი-მ | აკაკი-ს |
| გურამი | გურამ მა | გურამს |
| გივი | | |
| გიორგი | | |
| დალი | | |
| დიმიტრი | | |
| დავითი | | |
| ვარლამი | | |
| ვალერი | | |

| *სახელობითი* | *მოთხრობითი* | *მიცემითი* |
|---|---|---|
| მაგული | | |
| მარიამი | | |
| მალხაზი | | |
| ედუარდი | | |
| ლავრენტი | | |
| ნიკოლოზი | | |
| რაფიელი | | |
| სიმონი | | |
| ჯარჯი | | |
| მიხეილი | | |
| დარეჯანი | | |
| ნოდარი | | |
| ნუგზარი | | |
| ლევანი | | |
| ირაკლი | | |
| ვახტანგი | | |
| ეთერი | | |
| ამირანი | | |
| ბაქარი | | |
| ლალი | | |
| თამარი | | |
| ქეთი | | |
| ნესტანი | | |
| ჯემალი | | |
| რატი | | |

**სავარჯიშო № 14. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.**

1. ნოდარიმ მალაზიაში ხუთ ლარად იყიდა წიგნი.

2.ლევანიმ და გიორგიმ ბურთი ითამაშეს.

3 თამარის იმ დღეს მასწავლებელმა ხუთიანი დაუწერა.

4.თამაზიმ საირმეს გორაზე უზარმაზარი სახლი აიშენა.

5.ჯემალის ლიტერატურა იტაცებს.

6.სიმონიმ მეტათ საინტერესო რომანი წაიკითხა.

7.იურიმ სასწრაფოთ მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა.

8.გივიმ პატარა ძმა თეატრში წეიყვანა.

9.ეთერიმ ზაფხული სოფელში გაატარა.

10.ლილის საჩუქრათ ყვავილები მიართვეს.

*დაიმახსოვრე!* არ შეიძლება ასეთი შემოკლება: შ. რუსთაველი, თ. მეფე, ი. ხუცესი, დ. აღმაშენებელი და სხვ.

**სავარჯიშო № 15. დასვით წოდებით ბრუნვაში.**

| | | |
|---|---|---|
| გურამი | თენგიზი | ეთერი |
| აკაკი | იური | დალი |
| ვანო | ალექსი | ნუნუ |
| დუტუ | ქეთი | მაია |
| მართა | ელენე | გოგი |
| დევი | ანი | ეკა |
| ლელა | შორენა | ირაკლი |
| გიორგი | ვახტანგი | ლევანი |
| ნოდარი | ოთარი | ომარი |
| დავითი | საბა | ლაშა |
| კახა | რევაზი | მალხაზი |
| გივი | ირინე | რუსუდანი |

გახსოვდეს!

- ადამიანთა სახელებს წოდებითში ნიშანი არ უნდა (გურამ! ეკა!).
- ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები, რომლების თანხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა -ო ბრუნვის ნიშნით (თბილის-ო, მტკვარ-ო).
- ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები, რომლების ხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა ბრუნვის ნიშნით ან მის გარეშე ( ყურშავ//ყურშა, სამტრედიავ//სამტრედია).

**სავარჯიშო № 16.** დასვით წოდებით ბრუნვაში:

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ალაზანი | მთაწმინდა |
| მოსკოვი | სამტრედია | მცხეთა |
| ჭიათურა | გორი | მტკვარი |
| მარაბდა | ბახმარო | პრაღა |

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომი | საირმე | არაგვი |
| გონიო | ქობულეთი | დელი |
| ბათუმი | პარიზი | აბაშა |
| სტამბოლი | ოსლო | ქსანი |
| ნიუ-იორკი | ტოკიო | აფრიკა |
| ყურშა | ლონდონი | ჰელსინკი |
| მამადავითი | საბურთალო | მადრიდი |
| ზუგდიდი | ევროპა | რომი |
| რიონი | იუპიტერი | ერევანი |
| კავკასიონი | იალბუზი | წიქარა |
| ზესტაფონი | უშბა | ნიკორა |

- უცხო გეოგრაფიული სახელები, რომლებიც რუსულად ი-ზე ბოლოვდებიან, ქართულად გადმოცემისას ფუძეულ ი-ს ინარჩუნებენ (მაგ. დელი, დელი-მ, დელი-ს, წოდ. დელი!).

## ადამიანთა გვარები

*დაიმახსოვრე!*

- -შვილზე დაბოლოებული გვარი ისევე იბრუნის, როგორც საზოგადო სახელი *შვილი.* წოდებითში მათ ექნებათ *ო* (ქართველიშვილ-ო).
- ო დაერთვის აგრეთვე თანხმოვანზე გათავებულ გვარებს (წერეთელ-ო, ჯაშ-ო).
  - *შენიშვნა:* ორიოდე გვარი კუმშვადია: წერეთელი - წერეთლის, მაჩაბელი – მაჩაბლის; წერეთლები, მაჩაბლები.
- -ძე-ზე დაბოლოებული ადამიანთა გვარები ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელი ძე. ნათესაობითსა და მოქმედებითში ხდება კვეცა. (ბარამიძე—ბარამიძის, ბარამიძით. შეცდომაა ბარამიძეთი). წოდებითში ეს გვარები იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად.
- ფუძე ეკვეცებათ გვარებად ქცეულ ე ფუძიან საზოგადო სახელებსაც (მებუკე — მებუკის).
- ე-ზე დაბოლოებულ სახელებს ებ-იან მრავლობითში მოუდით ორი ე (ბოლქვაძეები, მენაბდეები).
- -ვა, -უა, -ია—ზე გათავებული ქართული გვარები ფუძეს არ იკვეცენ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში (ქითანავა,

ჭითანავას(ი),ჭითანავათი; ჯაბუა, ჯაბუას(ი), ჯაბუათი; ჩიტაია, ჩიტაიას(ი), ჩიტაიათი), **მაგრამ კვეცადი ხდებიან ებ-იან მრავლობითში** (ჭითანავები, ჯაბუები, ჩიტაიები). **ეს გვარები წოდებითში იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად** (ჭითანავა, ჯაბუა, ჩიტაია).

- **არაქართული წარმოშობის ბოლოხმოვნიანი გვარები უკვეცელია:** (გოეთე, ჰემინგუეი, დანტე, ბოტიჩელი, გორკი, ტრუბეცკოი)

- **თანხმოვანზე დამთავრებული უცხოური გვარები წოდებითში დაირთავენ ო ბრუნვის ნიშანს:** (სმირნოვ-ი - სმირნოვ-ო, რეიგან-ი – რეიგან-ო)

**სავარჯიშო № 17. დასვით ნათესაობითში, მოქმედებითსა და წოდებით ბრუნვებში და ებ-იან მრავლობითში შემდეგი გვარები:**

| სახელობითი | ნათესაობითი | წოდებითი | მრავლ. რიცხვი |
|---|---|---|---|
| ამირანაშვილი | | | |
| ბარათაშვილი | | | |
| ამირეჯიბი | | | |
| გიგაური | | | |
| ერისთავი | | | |
| გუდიაშვილი | | | |
| ცაგარელი | | | |
| ჯავახიშვილი | | | |
| კანდელაკი | | | |
| მაჩაბელი | | | |
| ორბელიანი | | | |
| წერეთელი | | | |
| ვარაზი | | | |
| ღლონტი | | | |
| კვაშალი | | | |
| მესხი | | | |
| მუჯირი | | | |
| ხავთასი | | | |
| ჯაში | | | |
| ჯიბუტი | | | |
| აბალაკი | | | |
| დოჭვირი | | | |

| სახელობითი | ნათესაობითი | წოდებითი | მრავლ. რიცხვი |
| --- | --- | --- | --- |
| აბაშიძე | | | |
| მაჭავარიანი | | | |
| ლეონიძე | | | |
| ჭავჭავაძე | | | |
| შანიძე | | | |
| მენაბდე | | | |
| მებუკე | | | |
| ურუშაძე | | | |
| ახალაია | | | |
| მარღანია | | | |
| შელია | | | |
| ჯაბუა | | | |
| წუწუნავა | | | |
| თოფურია | | | |
| ფილფანი | | | |
| შენგელია | | | |
| კოდუა | | | |
| კვარაცხელია | | | |
| გულუა | | | |
| გუგუნავა | | | |
| პუშკინი | | | |
| ტოლსტოი | | | |
| პავლოვი | | | |
| გორკი | | | |
| ბელინსკი | | | |
| სტენდალი | | | |
| დიუმა | | | |
| ბალზაკი | | | |
| ბოტიჩელი | | | |
| ლევიტანი | | | |
| რაიკინი | | | |
| ბერეზოვსკი | | | |
| იაკუბოვიჩი | | | |
| ახმადულინა | | | |

# სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

*გახსოვდეს!*

- სახელი გვართან ერთად ფუძის სახით იწერება: ნოდარ ანდღულაძე ( და არა: ნოდარი ანდღულაძე).
- თუ გვართან ერთად ბრუნებისას ადამიანის სახელი წინ უსწრებს გვარს, იგი არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება (ზაალ ბარათაშვილი, ზაალ ბარათაშვილმა, ზაალ ბარათაშვილს, ზაალ ბარათაშვილის ...).
- ადამიანის სახელი ასევე უბრუნველია, თუ მას მსაზღვრელად მოსდევს გვართან გათანაბრებული ხელობის, წარმომავლობის, თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი (დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, ექვთიმე ათონელი, ანტონ კათალიკოსი).
- სიების შედგენისას, როცა, ჩვეულებრივ, ჯერ გვარი იწერება და მერე სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი (აბაშიძე ზურაბ, კახიძე ამირან, კობახიძე ირაკლი).
- თუ საკუთარ სახელს ან გვარს (ან ორივეს ერთად) უსწრებს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (წოდება-თანამდებობის ან ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები (პოეტი, მწერალი, მხატვარი, ექიმი, პროფესორი, პარლამენტარი, პრეზიდენტი), საკუთარი სახელი იბრუნვის ჩვეულებრივი წესით, ხოლო განმსაზღვრელ სიტყვას მხოლოდ სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში) ექნება ბრუნვის ნიშანი, დანარჩენ ბრუნვებში კი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

| | | |
|---|---|---|
| სახ. | კომპოზიტორ-ი | ზაქარია ფალიაშვილ-ი |
| მოთხ. | კომპოზიტორ-მა | ზაქარია ფალიაშვილ-მა |
| მიც. | კომპოზიტორ | ზაქარია ფალიაშვილ-ს |
| ნათ. | კომპოზიტორ | ზაქარია ფალიაშვილ-ის |
| მოქ. | კომპოზიტორ | ზაქარია ფალიაშვილ-ით |
| ვით. | კომპოზიტორ | ზაქარია ფალიაშვილ-ად |
| წოდ. | კომპოზიტორ-ო | ზაქარია ფალიაშვილ-ო |

- თუ ასეთი მსაზღვრელი სიტყვა ხმოვანფუძიანი სახელია, მაშინ ის ყველა ბრუნვაში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი

| | |
|---|---|
| სახ. | მეუფე ანდრია |
| მოთხ. | მეუფე ანდრია-მ |
| მიც. | მეუფე ანდრია-ს |
| ნათ. | მეუფე ანდრია-ს(ი) |
| მოქ. | მეუფე ანდრია-თი |
| ვით | მეუფე ანდრია-დ |
| წოდ. | მეუფე ანდრია |

- სასულიერო პირების მიმართ *მამაო* ფორმის ხმარება გამართლებულია მხოლოდ მიმართვის დროს. სწორია: მამა გიორგიმ ბრძანა (და არა: მამაო გიორგიმ ბრძანა), მამა გიორგის ქადაგება (და არა: მამაო გიორგის ქადაგება).
- საზოგადო სახელები *ბატონი* და *ქალბატონი* საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარჩუნებენ –ი ნიშანს ნათესაობითსა და მოქმედებითში. **სწორია :** ბატონ-ი ივანეს წიგნი, ქალბატონ-ი თამარ-ით ვამაყობ.
- *ბატონისა და ქალბატონის* ევროპული შესატყვისები (სერ, მისტერ, მის, მისის, სინიორ, სინიორა, სინიორიტა, მადამ, მესიე, დონ, დონა, ფრაუ, ჰერ, პან, პანი) საკუთარ სახელთან ერთად ბვრუნებისას უცვლელი რჩებიან. იბრუნვის მხოლოდ მომდევნო საკუთარი სახელი.
  სწორია: მისტერ კუპერი, მისტერ კუპერმა, მისტერ კუპერს, . . . მისტერ კუპერ!

სავარჯიშო № 18. აბრუნეთ:.

სახ. დავით გამრეკელი ვახტანგ გიგაური
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქ.
ვით.
წოდ

სახ. ასათიანი პეტრე მამალაძე ეკა
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქ.
ვით.
წოდ.

სახ. მწერალი ლეო ქიაჩელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქ.
ვით.
წოდ

სახ. დოცენტი შავიშვილი — მამა არჩილი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქ.
ვით.
წოდ.

სახ. სერ რობერტი — ქალბატონი ნინო
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქ.
ვით.
წოდ.

**სავარჯიშო № 19. გაასწორეთ შეცდომები.**

1. პროფესორი ივანიშვილის ლექციას ბევრი ხალხი ესწრებოდა.
2. სამხატვრო გალერეის II სართულზე მხატვარი ფარჯიანის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.
3. გუშინწინ პარლამენტარ გურგენიძეს პროექტი დაამტკიცეს.
4. ბელინსკმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.
5. პრეზიდენტი სააკაშვილის ბრძანებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდა ბარამიძე ლევან.
6. ილიამ ლექსი „მესმის, მესმის" ჯუზეპე გარიბალდს მიუძღვნა.
7. გუსტავ ფლობერს რომანმა „მადამ ბოვარმა" დიდი პოპულარობა მოუტანა.
8. დოსტოევსკმა დაწერა რომანი „ძმები კარამაზოვები".

9. იტალიელ მსახიობ მარჩელო მასტროიანს მთელი მსოფლიო უკრავდა ტაშს.

10. „ფრთხილად იყავი!“ - უთხრა ათოსიმ პორთოსის გვერდით მდგარ დ’არტანიანის. არამისიმაც გზა დაულოცა კარდინალი რიშელიესკენ მიმავალ მეგობარს.

**სავარჯიშო № 20. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მამაო ზოსიმეს ყოველ სიტყვას ყველა სულგანაბული უსმენდა.
2. სკოლის დირექტორად დაინიშნა მინაშვილი ნოდარი ვახტანგის ძე.
3. მე, გურამი გაბუნია ირაკლის ძე, დავიბადე ქ. თბილისში 1985 წელს.
4. დაფასთან გამოვიდეს გაბაშვილი რუსუდანი.
5. კახა დ. აღმაშენებელის გამზირზე ცხოვრობს და ყოველ დღე ფეხით დადის გ. ბრწყინვალეს ქუჩაზე მდებარე სამსახურში.
6. თ. მეფის ხიდი ერთმანეთთან აერთებს მტკვარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს.
7. არაერთი თაობა აღზრდილა პროფესორი შანიძის შედგენილი გრამატიკის სახელმძღვანელოზე.
8. ჟურნალისტ გრიგოლიამ გუშინ ორი პარლამენტარი მიიწვია სტუდიაში განათლების პრობლემებზე სასაუბროთ.
9. დღეს ბატონ გიორგიმ კრებაზე დასასწრებად მოგვიწვია.
10. გუშინ ქალბატონ დარეჯანის ლექციაზე დამაგვიანდა.

# გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება

***ცნობისათვის:*** გეოგრაფიული სახელები ისევე იბრუნებიან, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო არსებითი სახელები. თანხმოვანფუძიანთაგან ზოგი უკუმშველია (ქუთაისი - ქუთაის-ის, ესპანეთ-ი – ესპანეთ-ის), ზოგი – კუმშვადი (მტკვარ-ი – მტკვრ-ის, იორ-ი – ივრ-ის). ხმოვანფუძიანთაგან ა-ზე და ე-ზე დაბოლოებილი სახელები კვეცადია (აჭარა – აჭარ-ის, საჩხერე – საჩხერ-ის, ჯორჯია - ჯორჯიის), დანარჩენი — უკვეცელი (ურარტუ – ურარტუ-ს(ი), საგარეჯო – საგარეჯო-ს(ი).

- ***გახსოვდეს!*** თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები წოდებითში დაირთავენ –ო-ს (თბილის-ო, არაგვ-ო).
- **ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებს წოდებითში ან ვ ნიშანი უნდა, ან არაფერი. სწორია : მთაწმინდავ//მთაწმინდა** (მაგრამ არა მთაწმინდაო).

**სავარჯიშო № 21. გაასწორეთ შეცდომები:**

1. შარშან ევროპაში ვიმოგზაურე და მოხიბლული დავრჩი გერმანიათი, შვეიცარიათი და ავსტრიათი.
2. იაპონიას ახალგაზრდობა დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა.
3. ჩილის მიწისძვრა დამანგრეველი ძალის აღმოჩნდა.
4. გურიას ბუნება ულამაზესია.
5. საირმეს წყალი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.
6. საჩხერეს მატარებელი ერთ საათში გადის.
7. ჭიათურას მარგანეცს „შავ ოქროს" უწოდებენ.
8. სოფელ ოტობაიას მოსახლეობამ გზები გადაკეტა.
9. ავტობუსი სოფელ ბანძადან დილის 8 საათზე გავიდა.
10. შარშან კავკასიის ბიზნესის სკოლის 5 სტუდენტი ჯორჯიას შტატში გაიგზავნა სასწავლებლად.

**სავარჯიშო № 22. გაასწორეთ შეცდომები.**

1. თვითმფრინავი ჰავანას აეროპორტში დაჯდა.
2. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ბარსელონადან ამ საფეხბურთო მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას დაგვპირდა.
3. ამერიკის შეერთებული შტატებში, კერძოდ, ალაბამას, არიზონას, მინესოტას შტატებში ორი დღეა ქარიშხალი მძვინვარებს.
4. გაეროს დამკვირვებლები სოფელ ორსანტიას მოსახლეობას შეხვდნენ.
5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სასომხეთისა და მოლდოვის სახელმწიფო დელეგაციები მიიღო.
6. ყაზახსტანი, უზბეკისტანი, თურქისტანი და ყირგისტანი შუა აზიის რესპუბლიკებია.
7. მანაგუა ნიკარაგუას დედაქალაქია.
8. სოფელ ტანძიას მოსახლეობამ დიდი ზეიმით აღნიშნა სულხან-საბა ორბელიანის იუბილე.
9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების სურვილი გამოუთქვამს ქალაქ ჰელსინკსაც.
10. ორთაჭალას და ფონიჭალას დასახლებას 3 დღეა წყალი არ მიეწოდება.

*შენიშვნა:* **სწორია ქვეყანათა სახელების –ეთ სუფიქსით დაბოლოებული და ლიტერატურული ტრადიციით განმტკიცებული ფორმები (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი, სომხეთი და არა:** უზბეკისტანი, ტაჯიკისტანი, მოლდოვა, სასომხეთი).

**სავარჯიშო № 23. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

1. გურამი მოდი გენაცვალე არ გესმის გურამი რას გეუბნები
2. ზაური წაიღე ეს წიგნი ზაური ზაური გამეიხედე

# გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება

***ცნობისათვის:*** გეოგრაფიული სახელები ისევე იბრუნებიან, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო არსებითი სახელები. თანხმოვანფუძიანთაგან ზოგი უკუმშველია (ქუთაისი - ქუთაის-ის, ესპანეთ-ი – ესპანეთ-ის), ზოგი – კუმშვადი (მტკვარ-ი – მტკვრ-ის, იორ-ი – ივრ-ის). ხმოვანფუძიანთაგან ა-ზე და ე-ზე დაბოლოებილი სახელები კვეცადია (აჭარა – აჭარ-ის, საჩხერე – საჩხერ-ის, ჯორჯია - ჯორჯიის), დანარჩენი — უკვეცელი (ურარტუ – ურარტუ-ს(ი), საგარეჯო – საგარეჯო-ს(ი).

- ***გახსოვდეს!*** **თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები წოდებითში დაირთავენ –ო-ს (თბილის-ო, არაგვ-ო).**
- **ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებს წოდებითში ან ვ ნიშანი უნდა, ან არაფერი. სწორია : მთაწმინდავ//მთაწმინდა** (მაგრამ არა მთაწმინდაო).

**სავარჯიშო № 21. გაასწორეთ შეცდომები:**

1. შარშან ევროპაში ვიმოგზაურე და მოხიბლული დავრჩი გერმანიათი, შვეიცარიათი და ავსტრიათი.
2. იაპონიას ახალგაზრდობა დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა.
3. ჩილის მიწისძვრა დამანგრეველი ძალის აღმოჩნდა.
4. გურიას ბუნება ულამაზესია.
5. საირმეს წყალი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.
6. საჩხერეს მატარებელი ერთ საათში გადის.
7. ჭიათურას მარგანეცს „შავ ოქროს" უწოდებენ.
8. სოფელ ოტობაიას მოსახლეობამ გზები გადაკეტა.
9. ავტობუსი სოფელ ბანძადან დილის 8 საათზე გავიდა.
10. შარშან კავკასიის ბიზნესის სკოლის 5 სტუდენტი ჯორჯიას შტატში გაიგზავნა სასწავლებლად.

**სავარჯიშო № 22. გაასწორეთ შეცდომები.**

1. თვითმფრინავი ჰავანას აეროპორტში დაჯდა.
2. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ბარსელონადან ამ საფეხბურთო მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას დაგვპირდა.
3. ამერიკის შეერთებული შტატებში, კერძოდ, ალაბამას, არიზონას, მინესოტას შტატებში ორი დღეა ქარიშხალი მძვინვარებს.
4. გაეროს დამკვირვებლები სოფელ ორსანტიას მოსახლეობას შეხვდნენ.
5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სასომხეთისა და მოლდოვის სახელმწიფო დელეგაციები მიიღო.
6. ყაზახსტანი, უზბეკისტანი, თურქისტანი და ყირგისტანი შუა აზიის რესპუბლიკებია.
7. მანაგუა ნიკარაგუას დედაქალაქია.
8. სოფელ ტანძიას მოსახლეობამ დიდი ზეიმით აღნიშნა სულხან-საბა ორბელიანის იუბილე.
9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების სურვილი გამოუთქვამს ქალაქ ჰელსინკსაც.
10. ორთაჭალას და ფონიჭალას დასახლებას 3 დღეა წყალი არ მიეწოდება.

*შენიშვნა:* **სწორია ქვეყანათა სახელების –ეთ სუფიქსით დაბოლოებული და ლიტერატურული ტრადიციით განმტკიცებული ფორმები (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი, სომხეთი და არა:** უზბეკისტანი, ტაჯიკისტანი, მოლდოვა, სასომხეთი).

**სავარჯიშო № 23. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

1. გურამ მოდი გენაცვალე არ გესმის გურამ რას გეუბნები
2. ზაური წაიღე ეს წიგნი ზაური ზაური გამეიხედე

3. შენ გიმღერი ჩემო კარქო ქალაქო
4. თბილისი თბილისო მომაქციე ყურადღება
5. სამტრედიაო ლამაზო სხვა სამტრედია სად არის
6. აქ დაჯექ რუსუდანო
7. ელენევ რა ფიქრში წასულხარ,შეხედე უკვე „ნიკორწმინდას“ გუმბათი გამოჩნდა
8. მოდი მართავ ვილაპარაკოთ
9. შვინდა რა ეშმაკი გაბღავლებს
10. ყურშა არ უკბინო ჩვენიანია.

**სავარჯიშო № 24. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

1. გიორგი მაჩაბელის ქუჩაზე ცხოვრობს
2. ა. წერეთელის „ჩემი თავგადასავალი“ VII კლასში ისწავლება.
3. იაშვილი გამოდი დაფასთან
4. საბაშვილი ბევრს ლაპარაკობ
5. გ. ტაბიძეს და გ. ლეონიძეს ბევრი ლექსი ზეპირად ვიცი.
6. საოცარია თევზაძეს მონდომება.
7. ეკას რომ არ შეშინებოდა, ლევანის ვთხოვე, სახლამდე მიეცილებინა იგი.
8. - თავაძეთი უკმაყოფილო ვარ, – უთხრა მასწავლებელმა გურამი თავაძეს დედას, როცა ის მშომელთა კრებაზე მოვიდა.
9. პირველკურსელები ბატონი ნოდარი მენაბდეს ლექციას დიდი ინტერესით უსმენდნენ.
10. გ.მერჩულეს „გრ. ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.

**სავარჯიშო № 25. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

1. ჯაბუავ შეწყვიტე ლაპარაკი
2. გუგუნავავ ნუ ხმაურობ
3. ვახტანგი მგალობლიშვილი კარგი კაცია
4. მგალობლიშვილი ვახტანგ კარგი კაცია
5. თაო ჩემო ბედი არ გიწერია
6. ნესტან-დარეჯნის მოძებნა მეტათ ძნელი იყო
7. ჭიაბრის სიკვდილმა ყველა დაამწუხრა
8. იმრავლე საბავ იმრავლე
9. დათო ვ. ფშაველას ძეგლთან ცხოვრობს და ყოველდღე ფეხით დადის სამსახურში, რომელიც დ. აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს.
10. გზა მშვიდობისა ჩემო ვახტანგი

## თანდებულიანი ბრუნვები

### (შერწყმული თანდებულების მართლწერა)

***ცნობისათვის:*** თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებ ას, დანიშნულებას და სხვ.

თანდებული არ დაერთვის მოთხრობით და წოდებით ბრუნვას. დანარჩენ ბრუნვებში გვხვდება შემდეგი თანდებულები:

სახ. -ვით (თანხმოვანფუძიან სახელებთან)
მოთხრ. - - - - - - - - - - - -
მიც. -ვით, - თან, -ზე, -ში, შორის, შუა
ნათ. -თვის, -კენ, -გან, -თანავე, -ებრ, მიერ, გამო, გარდა, მიმართ, შესახებ...
მოქ. - ურთ, -გან (>იდან//დან)
ვით. მდე//მდის
წოდ. - - - - - - - - - - - - —

*გახსოვდეს:*

- თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით თანდებული შეიძლება დაერთოს როგორც სახელობითის,ისე მიცემითის ფორმას: კაცივით//კაცსავით, ლომივით//ლომსავით, ქარივით//ქარსავით.
- მისაღებია -თვის, -გან, -კენ, თანდებულის დართვა ნათესაობითი ბრუნვის როგორც გავრცობილ, ისე გაუვრცობელ ფორმაზე: ძმისათვის// ძმისთვის, ქალაქისაკენ//ქალაქისკენ, ძმისაგან//ძმისგან.
- სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს თანდებულები -მდე ან -მდის: სოფლამდე//სოფლამდის, წყარომდე// წყარომდის. ამათგან უპირატესობა ეძლევა მდე სახეობას.
- თანდებული -გან დაერთვის როგორც ნათესაობით, ასევე მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელებს. მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. -გან თანდებული იხმარება ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, როცა გვინდა აღვნიშნოთ მასალა, ან მოქმედების წყარო, ან მიზეზი (კითხვები: ვისგან? რისგან? და არა: საიდან? ან რა დროიდან?) სწორია: წერილი მივიღე დედისგან ან დედისაგან (და არა: დედიდან); მაგიდა დამზადებულია ხისგან ან ხისაგან (და არა: ხიდან).
- მოქმედებით ბრუნვაში -გან თანდებულის დართვისას სახეს იცვლის როგორც ბრუნვის ნიშანი, ასევე - თანდებული: სახლი-ით-გან>სახლ-იდ-გან>სახლ-ი-დან. მოქმედებითში დასმული -გან (ი-დან) თანდებულიანი სახელი მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (და არა: ვისგან? რისგან?): გამოვიდა სახლიდან, დილიდან წვიმდა.
- -ზე თანდებულის პირვანდელი სახეა *ზედა*. იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, *ზედა*. *ზედ, ზე* სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ სწორ ფორმად რჩება -ზე. სწორია: მაგიდაზე (და რა მაგიდაზედ).
- -ც(ა) ნაწილაკის დართვისას ძველი *ზედა* სახეობა რჩება უცვლელად (მაგიდაზედაც).
- -ვე ნაწილაკის დართვისას იხმარება ზედას მოკვეცილი ვარიანტი ზედ (მაგიდაზედვე).
- თუ სახელის ფუძე მთავრდება ზ თანხმოვანზე, -ზე თანდებულის დართვისა ორი ზ უნდა დაიწეროს ( კოვზ-ი – კოვზ-ზე).
- თუ სახელის ფუძე შ თანხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ –ში თანდებულის დართვისას ორი შ მოიყრის თავს (ქარქაშ-ი – ქარქაშ-ში).
- თუ სახელის ფუძე თ თანხმოვანზე მთავრდება, -თან თანდებულის დართვისას ორი თ უნდა დაიწეროს (საათ-ი – საათ-თან).
- ს-ზე ფუძეგათავებული სახელები ინარჩუნებენ ამ თანხმოვანს -ზე და -ში თანდებულების დართვისას. სწორია: თბილისში ( და არა: თბილიში ან თბილიშში).

- **სწორია -თვის** (და არა თვინ).
- **სწორია -მდე//მდის** (და არა მდინ, მდი).
- **თუ მიცემითში ან ნათესაობითში დასმულ ორ და მეტ სიტყვას ერთი და იგივე თანდებული მოუდის და უკანასკნელს წინამავალთან და კავშირი აერთებს, ასეთ შემთხვევაში უშუალოდ და-ს წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ, გავრცობილი ფორმით იხმარება.**
  **სწორია: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში** (და არა: თბილისში, ქუთაისში და ბათუმში); ***მინდორში, ტყეში, ბაღსა და ვენახში ნისლი იდგა*** *( და არა: მინდორში, ტყეში, ბაღში და ვენახში ნისლი იდგა).*
- **თანდებულ-ზმნისართები: გარდა, უკან, შემდეგ, გამო, წინაშე, წინ, შესახებ და სხვ. I და II პირის ნაცვალსახელების სანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაერთოს.**
  **სწორია: ჩემ გარდა, შენ შესახებ, ჩვენ მიერ, თქვენ გამო** ( და არა: ჩემს გარდა, შენს შესახებ, ჩვენს მიერ, თქვენს გამო).
- **სანის გარეშე იხმარება I და II პირის ნაცვალსახელთან შერწყმული თანდებულებიც.**
  **სწორია: ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ** ( და არა: ჩემსკენ, შენსკენ, თქვენსკენ).
- **უსანო ფორმებია საჭირო შორის და შუა თანდებულებთანაც. სწორია: ჩვენ შორის, თქვენ შუა** ( და არა: ჩვენს შორის, თქვენს შუა).
- **სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული (ს მოკვეცილი) ფორმები გაკომპოზიტებულია და ერთად იწერება. სწორია: ჭერქვეშ, ფეხქვეშ, თავქვეშ, ცხვირწინ** (და არა: ჭერ ქვეშ, ფეხქვეშ, თავ- ქვეშ, ცხვირ წინ ).

**სავარჯიშო № 26. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზე.
2. გიორგი სააკაძემ ხმალი ქარქაში ჩააგო.
3. პეტრემ ულვაში ჩაიცინა.
4. ნუცამ ბალიში ჩარგო თავი და მწარედ ატირდა.
5. ლუკამ ბარათან ერთად ფულიც გამოუგზავნა თავის ცოლ-შვილს.
6. „რატომ, გოგო, რისთვინაო?"- მღეროდა მიხო.
7. ვანო ქალაქამდინ ფეხით ჩავიდა.
8. ჩვენმა სკოლამ ექსკურსია მოაწყო ქუთაისში, გელათში და მოწამეთაში.

9. იქაურობას თეთრი ქვიდან გამოკვეთილი ფიგურები ამშვენებდნენ.
10. ნოდარიმ მაშინვე ხმალზედ იტაცა ხელი.

**სავარჯიშო № 27. გაასწორეთ შეცდომები.**

1. თითქოს ნატყორცნი ისარი ზედ გულის კოვზედ დაესო.
2. პური ხელით დავგლიჯეთ და ხაში ჩავყარეთ.
3. გვყავს ჩემპიონები ცურვაში, რაგბიში, შაში, ჭადრაკში და ფეხბურთში.
4. საქართველო ყოველთვის ცდილობდა საბერძნეთან კავშირის დამყარებას.
5. შაჰ-აბასი თურქეთან ომის განახლებისთვის ემზადებოდა.
6. ვანო თამაზიზედ უკეთ სწავლობს.
7. მეგობრები ბჭობდნენ, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილისგან.
8. არაგვის ხეობისგან თბილი სიო ქროდა.
9. ერთხელ ნიკამ ხის ტოტებიდან კარავი გააკეთა.
10. ჭალებში და ტყეებში საამური სურნელი იდგა.

**სავარჯიშო № 28. გაასწორეთ შეცდომები.**

1. როცა ჩამოვალ თბილისში მაშვინ ვილაპარიკოთ ამასზე.
2. ქუთაისში ამაზე არავინ არ ფიქრობდა.
3. სახში ყოფნა ძალიან მიყვარდა.
4. მოხარშულ კომში უნდა ჩადოთ ქიშმიში და ჰაერლუმელში გამოაცხოთ.
5. ანგარიში არ მოგატყუონ, კალატან დადექით.
6. ისე ბნელა რომ თვალთან თითს და თიტან თვალს ვერ მიიტან.
7. ბურთან ახლოს არ უშობენ ფეხბურთელებს.

8. სუფრაზე ვეფხვისავით ახტა თარგამაძეს ბიძაშვილი.
9. ეს სიტყვები გულში ისარისავით ჩამერჭო.
10. ზრდილობიანათ ილაპარე, ამბავი გამოჰკითხე, გადამთიელისავით ნუ მოექცევი

**სავარჯიშო № 29. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ამას ქმრიდან დარჩა ორ-ნახევარი ჰექტარი ყანა.
2. ძაღლებიდან გულგახეთქილმა ნადირიმ დატოვა ორღობე.
3. ჯიხვი ადგილისაგან არ იძვროდა.
4. ქვიდან ციხეებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები.
5. ტოტებისაგან გულყვითელა ჩიტმა გამოიხედა.
6. ბედიდან დაჩაგრულ ადამიანებს გული ეკლესიისაკენ მიუწევს.
7. ვინ არი დაზღვეული ომში ჭრილობიდან?
8. სამწყემსურში, მინდორში და ტყეში წასვლა ჩემთვინ სამოთხე იყო.
9. ეს დედაკაცი დიდ წვაში და დაგვაში იყო.
10. ფიქრობს ხმელი წიფელი წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

**სავარჯიშო № 30. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ლადომ მარინე სახლამდი მიაცილა.
2. ოთახში შემოსული ბავშვები დედას გვერძე მიუსხდნენ.
3. დათიკო დაჭრილი ლომისავით ღრიალებდა.
4. ხვალ ქუთაისში და ბათუმსში მზიანი ამინდია მოსალოდნელი.
5. როგორც იქნა, დიდი წვალების შემდეგ მალხაზიმ სოხუმამდი ჩააღწია.
6. ნინო ჩემსკენ გამოიქცა.

7. თქვენს შორის ყველაზე უფროსი მე ვარ განაცხადა ეთერიმ
8. ჩემს შესახებ ბევრი გცოდნიათ .
9. შენს შემდეგ შენმა შვილმა უნდა გააგრძელოს ეს საქმე.
10. ნიკამ ჩემს თვალ წინ დახია გუშინ წინ შენს მიერ გამოგზავნილი ბარათი.

## II. ზედსართავი სახელის მართლწერა

***ცნობისათვის:*** ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს. მისი კითხვებია: *როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?*

ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ არსებითთან ერთადაა, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლადაც.

დამოუკიდებელი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის, არსებითთან ერთად ბრუნების დროს კი გასარჩევია ორი შემთხვევა:

*ა)ხმოვნფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნება არსებითთან ერთად და*

*ბ) თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნება არსებით სახელებთან.*

გახსოვდეს!

- ხმოვანფუძიანი ზედსართავისა და არსებითის ერთად ბრუნებისას, თუ ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებითს, ზედსართავი უცვლელი რჩება.

- ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად ხმარებისას ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს *სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში* (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო); ნაწილობრივ იკვეცს *ნათესაობითსა და მოქმედებითში* (მაღალ-ი სახლ-ის, მაღალ-ი სახლ-ით); მთლიანად აქვს მოკვეცილი ბრუნვის ნიშანი *მიცემითსა და ვითარებითში* (მაღალ სახლ-ს, მაღალ სახლ-ად).

**სავარჯიშო 31. აბრუნეთ:** *ლამაზი ქალი, კახური ღვინო, თეთრი მტრედი, წითელი ვაშლი, კარგი კაცი*

| მხ.რ. | | მრ. რ. |
|---|---|---|
| სახ. | ლამაზი ქალი | |
| მოთხ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქმ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | კახური ღვინო | |
| მოთხ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქმ. | | |
| ვით. | | |
| წოდ | | |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | თეთრი მტრედი | |
| მოთხ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქმ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | წითელი ვაშლი | |
| მოთხ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქმ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

სახ. კარგი კაცი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

გახსოვდეს!
ნართანიან მრავლობითში ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი მხოლოდ ორ ბრუნვაში იცვლება: სახელობითსა და წოდებითში. დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

**სავარჯიშო. აბრუნეთ ნართანიან მრავლობითში.**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | დიდ-ნ-ი სახლ-ნ-ი | კეთილ-ნ-ი კაც-ნ-ი |
| მოთხ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქმ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

**სავარჯიშო № 32. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მე შენ უფროსი ძმად გიგულებდი.
2. გარეულ ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო.
3. სოლომონი ავალიშვილი უთენია გადმოდგებოდა მაღალის ოდის აივანზე.
4. ცალი ხელი შუბლზე მიიდო და იდუმალით ხმით მოჰყვა ლოცვას.
5. დიდ ღრეობა გაიმართა.

6.დ. კლდიაშვილმა თავის მოთხრობებში იმერელ აზნაურების გაჭირვებული ცხოვრება აღწერა.

7. გუშინ სალამოს კახურ ღვინოთი დავთვერით.

8. თბილისში ყველაზე მაღალი შენობად სასტუმრო „ივერია“ ითვლებოდა.

9. მე და ის კარგი ამხანაგებათ მივაჩნდით ყველას.

10. ხალხი გმირის ძლიერს მარჯვენას ლოცავს.

- **თუ ზედსართავი სახელი მოსდევს არსებით სახელს, მაშინ იგი ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანს.**

**სავარჯიშო № 33. აბრუნეთ:** *მწვანე მინდორი, ღია ფანჯარა, საინტერესო წიგნი.*

სახ. მწვანე მინდორი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

სახ. ღია ფანჯარა
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

სახ. საინტერესო წიგნი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

სახ. ფანქარი წითელი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

სახ. მინდორი მწვანე
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

სახ. კაცი კეთილი
მოთხ.
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ.

*ცნობისათვის:* ზედსართავ სახელს ხარისხის სამი ფორმა აქვს: დადებითი (დიდი), უფროობითი (უდიდიესი) და ოდნაობითი (მოდიდო).

- უფროობითი ხარისხის მაწარმოებელია თავსართ-ბოლოსართი უ –ეს (უ-დიდ-ეს-ი, უ-წმინდ-ეს-ი). ოდნაობითსა კი — მო - ო ( მო-დიდ-ო, მო-მწვან-ო).

- -ელ და –ილ მარცვლებზე დაბოლოებული ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხის მაწარმოებელი აფიქსების დართვისას ამ მარცვლებს კარგავს (ტკბილი –უტკბესი – მოტკბო, გრძელი — უგრძესი – მოგრძო, სქელი-უსქესი-მოსქო).

- ორი ზედსართავი სახელი —წითელი და ყვითელი —ოდნაობითი ხარსისხის წარმოებისას ფუძისეულ ე ხმოვანს იცვლის ა ხმოვნით. გვაქვს წითელი — მო-წითალ-ო, ყვითელი – მოყვითალ-ო (ნაცვლად მოწითელო, მოყვითელოსი).

- კარგის უფროობითი ხარისხის ფორმაა უ-კეთ-ეს-ი (და არა უკარგესი), ცუდისა — უარესი (და არა უცუდესი).

# III. რიცხვითი სახელების მართლწერა

*ცნობისათვის:* რიცხვითი სახელი საგნის რაოდენობას, რიგს ან წილს აღნიშნავს. შესაბამისად გვაქვს **რაოდენობითი** (სამი, ასი), **რიგობითი** (მესამე, მეასე) და **წილობითი** (მესამედი, მეასედი) რიცხვითი სახელები.

## რაოდენობითი რიცხვითი სახელი

***რაოდენობითი რიცხვითი*** სახელი შედგენილობით ორგვარია: **მარტივი** (ერთიდან ათამდე, ოცი, ასი, მილიონი) და **რთული** ( ორი ან მეტი ფუძის შეერთებით მიღებული. მაგ. თორმეტი < ათ-ორ-მეტი, ოცდაშვიდი და სხვ.) რიცხვის გამოსახატავად **ხშირად** რამდენიმე რიცხვითი სახელია გამოყენებული. ისინი ცალ-ცალკე იწერება. მათ **შედგენილ რიცხვით სახელებს უწოდებენ** (ას ორმოცდახუთი, ხუთი ათას შვიდა ოცდარვა). ფუძის მიხედვით ყველა რიცხვითი თანხმოვანფუძიანია, გარდა რვისა და ცხრისა ან რვაზე და ცხრაზე დაბოლოებული რთული რიცხვითი სახელებისა (ოცდარვა, ას ცხრა). ამას გარდა, გვაქვს გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებიც: ბევრი, მრავალი ცოტა.

*გახსოვდეს!* ცალკე აღებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი. ხოლო არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად.

**სავარჯიშო. აბრუნეთ: ორი კაცი, თორმეტი თვე ცხრა საათი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | ორი კაც-ი | თორმეტი თვე | ცხრა საათი |
| მოთხ. | | თორმეტმა თვე-მ | ცხრა საათ-მა |
| მიც. | | თორმეტ თვე-ს | ცხრა საათ-ს |
| ნათ. | | თორმეტი თვ-ის | ცხრა საათ-ის |
| მოქ. | | თორმეტი თვით | ცხრა საათ-ით |
| ვით. | | თორმეტ თვე-დ | ცხრა საათ-ად |
| წოდ. | | თორმეტო თვე-ვ | ცხრა საათ-ო |

დაიმახსოვრე!

- **და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვები ერთად იწერება** (ოცდასამი, ოცდათორმეტი, ორასი და ა.შ.).
- **ცალ-ცალკე იწერება რიცხვითი სახელები, რომლებიც შედგება მარტივი ან რთული კომპონენტებისაგან** (მაგ. ას ოცი, სამას ოცდაცამეტი, ათას შვიდას ორი, სამი ათას ექვსას ოთხმოცდარვა და ა.შ.).
- **ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები *ათასს* სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა ყველა ბრუნვაში** (ორი ათასი კაცი, ორი ათასმა კაცმა და ა. შ.).
- ***მილიონს, მილიარდს* მათი რაოდენობის განმსაზღვრელი რიცხვითი სახელი შეეწყობა როგორც მსაზღვრელი სახელი და იბრუნვის მათთან ერთად საერთო წესის თანახმად** (სამი მილიონი კაცი, სამმა მილიონმა კაცმა, სამ მილიონ კაცს და ა.შ.).
- **სამი და მეტი ნაწილისაგან შემდგარ რთულ რიცხვით სახელებში *ათასი, მილიონი, მილიარდი* ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მათი ოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი სახელობით ბრუნვაში დგას, ბრუნვის ნიშანს კი დაირთავს უკანასკნელი (საზღვრულისწინა) რიცხვითი სახელი. სწორია : ორი ათას ხუთასი, ხუთი მილიონ სამი ათას რვაას ექვსი კაცი.**
- **ერთადერთი სწორი ფორმაა *თხუთმეტი*** (მცდარია ხუთმეტი, თუთხმეტი).

***გახსოვდეს!*** **რიცხვით სახელთან არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობით რიცხვში დგას. სწორია: ათი წიგნი** (და არა: ათი წიგნები), **სწორია: ბევრი ვაშლი** ( და არა: ბევრი ვაშლები).

**სავარჯიშო № 34. შეცვალეთ ციფრები სიტყვებით. გაასწორეთ სხვა შეცდომებიც.**

1. ჩვენს კლასში 46 მოსწავლეა.
2. ამ წელში სასკოლო ბიბლოთეკა 415 წიგნით შეივსო.
3. თვითმფრინავმა 131 მგზავრი ჩამოიყვანა.
4. ქარხანაში სულ 1545 კაცი მუშაობს.
5. ამ წიგნში 84 ილუსტრაციაა.
6. ჩვენი სტადიონი 80 000 მაყურებელს იტევს.
7. ჯვარის უღელტეხილი ზღვის დონიდან 2379 მეტრის სიმაღლეზედ მდებარეობს.
8. პირველივე გამოცდაზე ხუთმეტი მონაფე ჩაიჭრა, 14-მა კი 3 იანი მიიღო.
9. წელს ზაფხულში თუთხმეტი წიგნი წავიკითხე.
10. ხის ძირში ბევრი ბიჭები იდგნენ.

**სავარჯიშო № 35. გაასწორეთ შეცდომები.**

1. წელს არჩევნებში სამმა მილიონ ხუთიათას შვიდასოთხმოც-დახუთმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.
2. შვიდასმა ათასმა კაცმა  მოითხოვა ამ კანონის შეცვლა.
3. მანქანაში ხუთი ბიჭები ჩასხდნენ.
4. ამ დედალმა წელს ბლომად კვერცხები დადო.
5. მიტინგზე უამრავ ადამიანებს მოეყარათ თავი.

6. აქ ორ ასამდე ასეთი დიდი სახლებია აშენებული.

7. წელს ჩვენს სასწავლებელში ბევრი სტუდენტები მიიღეს.

8. შვიდივე ძმები ყანას მკიდნენ.

9. ორივე დები უნივერსიტეტში სწავლობენ.

10. სავარაუდოთ, ეს ამბავი ხუთი მილიონი შვიდას ოთხმოცდა-ცხრამეტი წლის წინ მოხდა.

**სავარჯიშო № 36. გაასწორეთ შეცდომები.**

ორი ბიჭები, ათი ბავშვები, თორმეტი სტუდენტები, ოცი რვეულები, ასი ჯარისკაცები, ას ოცი მანქანები, ოცდახუთი ქათმები, ბევრი წიგნები, ცოტა მცენარეები, მრავალი საქმე.

## რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა

***ცნობისათვის:*** რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე *მე-* თავსართისა და -ე ბოლოსართის დართვით (მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ჩვიდმეტ-ე). გამონაკლისს წარმოადგენს *პირველი,* რომელიც იხმარება *მეერთეს* ნაცვლად. *მეერთე* გამოიყენება რთულ რიცხვით სახელებში. სწორია ორმოცდამეერთე, ასმეერთე ( და არა: ორმოცდაპირველი, ასპირველი)

რიგობითი რიცხვითი სახელები ყველა ხმოვანფუძიანია, გარდა ერთისა (პირველი).

**სავარჯიშო № 37.**

**აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითი.**

| | |
|---|---|
| ორი | სამი |
| ხუთი | რვა |
| თექვსმეტი | თვრამეტი |
| ათი | ოცი |
| თორმეტი | ოცდახუთი |
| სამოცდაათი | ოთხმოცდახუთი |
| ას სამი | ხუთას ხუთი |
| ორმოცი | სამასი |

ასი
ათასი
ორას ოცდაშვიდი
ორი ათასი
მილიონი
შვიდასი ათასი
ათი ათას ორი
ხუთი ათას ექვსას ოთხი

რვაასი
ხუთი ათასი
ხუთას ოცდაცამეტი
ექვსი ათას სამას სამოცდაშვიდი
შვიდას ორმოცდარვა
ორი ათას ხუთას ოცდაერთი
ცხრაასი ათას ცამეტი
მილიონ ექვსას ერთი

*გახსოვდეს!*

- **და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის მაწარმოებელი მოუდის მის მეორე ნაწილს (ერთიდან ცხრამეტამდე) : ოცდა-მე-ხუთ-ე, ოცდა-მე-ათ-ე ორმოცდა-მე-ცხრამეტ-ე).** არასწორი ფორმებია მეოცდახუთე ან მეოცდამეხუთე და მისთ.
- **ასევე სწორია ას მეორე, ორას მეათე, ათას მეხუთე** და არა: მეასმეორე, მეორასმეათე და მეათასმეხუთე.

**სავარჯიშო №38. აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითი სახელები და ჩაწერეთ არაბული ციფრებით და სიტყვიერადაც.**

*ნიმუში:* *რაოდენობითი* — *2 (ორი)*, *203 (ორას სამი)*; *რიგობითი* — *მე-2 (მეორე)*, *203-ე (ორას მესამე)*

3
16
25
55
129
283
558
1 506
2 347
3 000
4 876
20 365
109 582
1 347 995

*გახსოვდეს!*

- როცა მაწარმოებელი **მე-** თავსართი თავში მოუდის რიგობით რიცხვით სახელს, ჯერ იწერება **მე-**, შემდეგ **დეფისი** და ბოლოს **სათანადო რიცხვი (მე-2, მე-6, მე-18).**
- როცა მაწარმოებელი **მე-** თავსართი რთული რიცხვითი სახელის უკანასკნელ ნაწილს მოუდის, მაშინ იწერება **ჯერ რიცხვი, შემდეგ დეფისი და ბოლოს - ე** (25-ე, 39-ე, 103-ე, 235-ე).

*შენიშვნა:* **„პირველი" არაბული ციფრით უნდა დაიწეროს ასე: 1-ლი, 1-ლმა, 1-ლს, 1-ლის, 1-ლში და ა.შ.**

**სავარჯიშო № 39. გაასწორეთ შეცდომები.**

1. გიორგიმ ოლიმპიადაზე 2-ე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.
2. ეს მოთხრობა მწერლის თხზულებათა სრული კრებულის 6-ე ტომშია დაბეჭდილი.
3. მე-10-ე კლასში ქართულს ნოდარი მასწავლებელი გვასწავლიდა.
4. ამ ფილმის მე-34-სერიას ორშაბათს აჩვენებენ.
5. მე და მაიკო მე-28-ე რიგში ვისხედით.
6. ეს მე-I კურსი დიდი სახათაბალო რამაა.
7. სწავლა მე-2-ე და 3-ე კურსზე უფრო ძნელია, მაგრამ 4-ე და მე-5 შედარებით ადვილია.
8. ათასხუთასოცდაორი წელი მე-16-ე საუკუნის უხვმოსავლიანი პერიოდი იყო.
9. აი, მე-21 საუკუნეც დადგა.
10. რიგში ორიათას სამას ოცდა მეთვრამეტე იქნები, თუ მე-2339-ე, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

*დაიმახსოვრე!*

- **რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავში და არც ბოლოში რიგობითი სახელის მაწარმოებელი პრეფიქსი ან სუფიქსი არ იწერება! (*სწორია XIX*, *არაა: მე-XIX, XIX-ე და მე-XIX-ე*).**

- **რიცხვის ციფრით გამოხატვისას ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა) ციფრს დეფისით გამოეყოფა: (5-მა, 2-ს, 9-ს, IV-მ, XI-ს).**

- **თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არაბული ციფრითაა გადმოცემული, -ე მაწარმოებელი და ბრუნვის ნიშანი ერთად იწერება ( 34-ემ, 65-ეს, 23-ედ) ასეთივე წესით დაერთვის რიცხვით სახელს ნაწილაკი და თანდებულიც ( მე-7-ში, III-ც, 21-ზე).**

- **-ვე ნაწილაკდართული რიცხვითი სახელის ბრუნებისას** გაბატონებულია შეზრდილი სახეობა (**ორივე, ორივემ, ორივეს....**), შეუზრდელი სახეობა დასაშვებადაა მიჩნეული (**ორმავე, ორსავე, ორისავე**); უარყოფილია: ორთავე, ორთავენი, ორთავემ, ორთავეს...

**სავარჯიშო № 40. გამოსახეთ რიგობითი რიცხვითი სახელები რომაული ციფრებით და გაასწორეთ შეცდომები.**

1. წელს ილია ჭავჭავაძის ოცტომეულის მეხუთე ტომი გამოვიდა.
2. ნინო მეათე კლასში სწავლობს, ნანა — მეთერთმეტეში.
3. პიანისტთა მეშვიდე კონკურსზე ვახტანგი პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს, ნოდარი კი — მეორით.
4. ამ ტაძრის მშენებლობა მეფე გიორგი პირველმა დაიწყო.
5. ქართლში ვახტანგ მეექვსეს მეფობის დროს კახეთში თეიმურაზ მეორე მეფობდა.
6. მეფე დავით მეოთხეს „აღმაშენებელს“ უწოდებენ.
7. ამის შესახებ წიგნის მეთორმეტე თავში წერია.
8. მე ორთავე ძალიან მიყვარს, ნატოც და დათოც.
9. უნივერსიტეტის სამთავე კორპუსში სწავლა ერთსა და იმავე დროს იწყება.
10. პირველი კურსის სტუდენტები პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე შეიკრიბნენ, მეორე-კურსელები კი — მეხუთეზე.

## წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა

***ცნობისათვის:*** წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან (მეათე-დ > მეათედი). გამონაკლისია ნახევარი, რომელიც გამოიყენება მეორედის ნაცვლად, იგი უკავშიროდ დაერთვის სახელებს და გამოიყოფა მათგან დეფისით

- სწორი **ფორმებია სამ-ნახევარი, საათ-ნახევარი, მეტრ-ნახევარი, თვე-ნახევარი**
  ( და არა: სამნახევარი ან სამ ნახევარი, საათნახევარი ან საათ ნახევარი).
- **სწორია:სამთვე-ნახევარი, ორმანეთ-ნახევარი, ორკილო-ნახევარი)** უმართებულოა სამ-ნახევარი თვე, ორ-ნახევარი მანეთი, ორ-ნახევარი კილო შაქარი.
- ფორმათაგან **მეორადი** და **მეორეული** ერთადერთი სწორ ფორმადაა მიჩნეული ***მეორეული,*** (მეორადი მცდარი ფორმაა).
- წილადის გამომხატველი სიტყვები იწერება ცალ-ცალკე. **სწორია: ერთი მეორედი, სამი მეხუთედი, ხუთი მეთორმეტედი** (და არა: ერთი-მეორედი, სამი-მეხუთედი, ხუთი- მეთორმეტედი).

**სავარჯიშო № 41. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.**

(მეტრ)ნახევარი, კილო(ნახევარი), (ტონა)ნახევარი, (წუთ)ნახევარი, (მანეთ)ნახევარი, (თვე)ნახევარი, (წელიწად)ნახევარი, (დღე)ნახევარი.

**სავარჯიშო № 42. აბრუნეთ: ათივე, ცამეტივე, ოცახუთივე, რვანივე.**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ათივე | ცამეტივე |
| მოთხრ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ოცდახუთივე | რვანივე |
| მოთხრ. | | |
| მიც. | | |
| ნათ. | | |
| მოქ. | | |
| ვით. | | |
| წოდ. | | |

**სავარჯიშო № 43. გაასწორეთ შეცდომები.**

1. შვიდნი ძმა ბევრ საქმეებს აკეთებდნენ.
2. ორი კაცები რაღაცას ლაპარაკობდნენ.
3. რა ცოტა მცენარეები გაგიხარებიათ?
4. ეს საქმე მე-XXI საუკუნეში გაკეთდება.
5. ამ პრობლემას მეოცდაორე საუკუნე თუ მოაგვარებს.
6. რატომ იყიდე კილონახევარი კომბოსტო?
7. ერთი-მესამედია მეტი თუ ერთიმეორედი?
8. მე დავიბადე ათას ცხრას ოცდა ორ წელს.
9. 1 გზა იყო ბრძოლის, მე-2-ე კი — მშვიდობის.
10. მე-4-ე, 5-ე, მე-VI და VII-ე კლასებს სკოლის მე-2-ე სართულზე დაუთმეს ოთახები.

**გახსოვდეს!**

- **რიცხვით სახელთა ფუძის გაორკეცებით მიღებული რთული სახელები დეფისით იწერება (ორ-ორი, სამ-სამი, ას- ასი).**
- **დეფისია საჭირო მაშინაც, როცა სხვადასხვა რიცხვითი სახელია შეერთებული:( ათი- თორმეტი, 10-12, სამოცი-სამოცდაათი 60-70).**

# IV. ნაცვალსახელთა მართლწერა

***ცნობისათვის:*** ნაცვალსახელი ჰქვია სიტყვას, რომელიც სხვა სახელების ნაცვლად იხმარება გარკვეულ შემთხვევაში. შინაარსის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

1. **პირის ნაცვალსახელები:** მე, შენ, ის (იგი), ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი.
2. **ჩვენებითი: ეს,** ეგ, ის (იგი), ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთნა, მაგისთანა, იმისთნა, ამდენი, მაგდენი, იმდენი.
3. **კითხვითი**: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი?
4. **კუთვნილებითი**: ჩემი, შენი, (ი)მისი, ჩვენი, თქვენი, (ი)მათი, თავისი.
5. **კითხვით-კუთვნილებითი**: ვისი? რისი? რისა?
6. **მიმართებითი:** ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისიც, რისაც,
7. **განსაზღვრებითი**: თვით, თვითონ, თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა, მისთანა.
8. **განუსაზღვრელობითი:** ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, რამდენიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა), რომელიღაც(ა), როგორიღაც(ა), სადაურიღაც(ა), როდინდელიღაც(ა).
9. **უარყოფითი**: არავინ, ვერავინ, ნურავინ, აღარავინ, ვეღარავინ, ნუღარავინ, არარა (არრა, არა), ვერარა (ვერრა, ვერა), ნურარა (ნურრა, ნურა), არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი.
10. **ურთიერთობითი**: ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი, ერთიმეორე.

**გახსოვდეს!**

- I და II პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება. ოღონდ **მე-ს** თანდებულიან მიცემითსა და ნათესაობითში **ჩემ** ენაცვლება (თანდებულის დართვით:ჩემზე, ჩემში, ჩემთვის, ჩემკენ, ჩემგან და ა. შ.).
- თანდებულიან I და II პირის ნაცვალსახელებს ს არ დაერთვის . **სწორია: ჩემკენ, შენკენ, ჩემ მიერ, ჩემ შესახებ, ჩვენ და თქვენ შუა** ( და არა: ჩემსკენ, ჩემს მიერ, ჩემს შესახებ, ჩვენს და თქვენს შუა).
- იმ შემთხვევაში, როცა ორი პირის ნაცვალსახელიდან ერთ-ერთი I პირის **მე** ნაცვალსახელია, იგი პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმაა: **მე და შენ შორის, მე და მას შორის** ( და არა: ჩემ და შენ შორის, ჩემ და მას შორის ).
- თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე დაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში **მე-ს** შეენაცვლება **ჩემ, სწორია: შენ და ჩემ შორის** ( და არა: შენ და მეს შორის).

- **მათ** პირის ნაცვალსახელია, **მათი** — კუთვნილებითი. მათ იხმარება ზმნასთან ერთად. იგი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს.
  **სწორია მათ ააშენეს, მათ დაწერეს** ( და არა: მათმა ააშენეს, მათმა დაწერეს), **კუთვნილებითი ნაცვალსახელი მათი** კი სახელს ახლავს და ბრუნვის ნიშნებსაც დაირთავს. სწორია: **მათმა საქმემ, მათმა მეზობელმა** ( და არა: მათ საქმემ, მათ მეზობელმა).

- ნაცვალსახელი **ჩვენგანი** აღნიშნავს ჩვენ შორის ერთ რომელიმეს, **თქვენგანი** — თქვენ შორის ერთ რომელიმეს, **მათგანი** — მათ შორის ერთ რომელიმეს. ამიტომ **სწორია: თითოეული ჩვენგანი, თითოეული თქვენგანი, თითოეული მათგანი** (და არა: თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული თქვენთაგანი, თითოეული მათთაგანი).

- კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინადადებაში მსაზღვრელი სახელებია და წინ უსწრებს საზღვრულს: **ჩემი** სახლი, **თქვენი** სკოლა და ა.შ. მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს **მიცემითში ს უნდა დაერთოს**.
  **სწორია: ჩემს მეგობარს, შენს ამხანაგს, მათს საქმეს, ჩემს მეგობრად** ( და არა: ჩემ მეგობარს, შენ ამხანგს, მათ საქმეს და ა.შ.).

- კუთვნილებითი ნაცვალსახელები **თავისი და მისი (იმისი)** ორივე გამოხატავს მესამე პირის კუთვნილებას, მაგრამ სხადასხვაგვარად: **თუ საგანი მოქმედი პირის კუთვნილებაა, ითქმის თავისი, თუ სხვისი — იმისი ან მისი** . მაგ. ნინომ თავისი წიგნი მაჩუქა (ე.ი. წიგნი ნინოსია). ნინომ მისი წიგნი მაჩუქა (ე.ი. წიგნი ნინოს კუთვნილებაა არაა, წიგნი სხვისია)

- განსაზღვრებით და განუსაზღვრელობით, ასევე რიცხვითი სახელის შემცველ ნაცვალსახელებთან არსებითი სახელი მხოლობითში დაისის. **სწორია : ყველა კაცი, ვიღაც ქალი, იმდენი ბავშვი, რამდენიმე წიგნი** (და არა: ყველა კაცები, ვიღაც ქალები, იმდენი ბავშვები, რამდენიმე წიგნები).

- -მე ნაწილაკი უმეტესად შეზრდილია ნაცვალსახელებთან (ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე) და ბრუნვის ნიშნები ბოლოს დაერთვის: ვინმე-მ, ვინმე-ს, ვინმე-ს(თვის), ვინმე-თი, ვინმე-დ. წოდებითი არა აქვს. ამის პარალელურად დასაშვებადაა მიჩნეული შეზრდილი სახეობა: მიცემითში - **ვისმე,** ნათესაობითში — **ვისთვისმე. უარყოფილია ვისმეს, რასმეს, რაიმეს.**

- **ლაც(ა)** ნაწილაკდართული ნაცვალსახელებისთვის მრავლობით რიცხვში სწორი ფორმებია **ვიღაცები, რაღაცები, რაღაც-რაღაცები** ( და არა: ვილაცეები, რაღაცეები)

- **-ვე** ნაწილაკდართული ნაცვალსახელის ( **იგივე)** არსებითთან ერთად ბრუნებისას სახელობითში გვაქვს **იგივე**, დანარჩენ ბრუნვებში **–იმავე. სწორია: იგივე, იმავემ, იმავეს, იმავეს(თვის), იმავეთი, იმავედ.** წოდებითი არა აქვს . შეცდომაა: იგივემ, იგივეს, იგივეს(თვის), იგივეთი, იგივედ.

- ერთი და იგივე საზღვრულთან ერთად შემდეგნაირად იბრუნვის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | ერთი | და | იგივე | ამბავი |
| მოთხ. | ერთმა | და | იმავე | ამბავმა |
| მიც. | ერთსა | და | იმავე | ამბავს |
| ნათ. | ერთისა | და | იმავე | ამბის |
| მოქ. | ერთი | და | იმავე | ამბით |
| ვით. | ერთ | და | იმავე | ამბად |
| წოდ. | | — | | |

**სავარჯიშო № 44. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ.**

1. მათმა დიდი შრომა გასწიეს მიზნის მისაღწევათ.
2. იმათ პირნათლათ მოიხადეს სამშობლოს წინაშე ვალი.
3. იმგენს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდებათ.
4. მათმა თავდადებამ უკვალოთ არ ჩაიარა.
5. მათ გული აიცრუეს სწავლაზე.
6. ხალხი მათ ამაგს არ დაივიწყებს.
7. ჩემ მეგობარს ანი ჰქვია.
8. ჩემ და შენ შორის დიდი ხანია ყველაფერი დამთავრდა.
9. შენს მეზობელს ახლი მანქანა უყიდია.
10. ნინო ჩემსკენ გამოიქცა.

**სავარჯიშო № 45. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ.**

1. მათმა გადაწყვიტეს კინოში წასულიყვნენ.
2. მათ სიგელებთან ერთად ფულადი საჩუქრებიც მიიღეს.
3. მათ განუზომელი სიხარული მოჰგვარეს მაყურებელს.
4. ზურაბ ქართველაძე განთქმული იყო მთელს კახეთში მისი სიმდიდრით.
5. ხევისბერმა გოჩამ მისი შვილი ხანჯლით განგმირა.
6. როსტევან მეფემ არაბეთის ტახტი მის ქალიშვილს დაუთმო.

7. მეფე გიორგი მესამემ მისსავე სიცოცხლეში გაამეფა მისი ქალიშვილი, თამარი.
8. მათემ ჯვარი გაისწორა მკერდზე, თითქოს ახლა იგრძნო მისი ძალა და სიმძიმე.
9. აღელვებული დავითი ლევანისთან მივიდა და იმის კარი კინაღამ შეამტვრია.
10. გაუმარჯოს ჩვენ ძმობას, ჩვენ ძმადნაფიცობას!

**სავარჯიშო № 46. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ.**

1. ჯერ მე გიამბობ ჩემს შესახებ ყველაფერს, მერე შენ მომიყევი შენს ბედზე ყველაფერი.
2. თითოეული მათთაგანი ჩვენთვის ძვირფასია.
3. ამ დღეს ყველა ჩვენგანი გრძნობს დიდ სიხარულს.
4. სოსო მოუთმენლათ ელოდა ვიღაცეების მოსვლას.
5. მარიამს ამის თაობაზე ვისთანმე ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.
6. მათი მომავალი ბედი დამოკიდებულია მათივე მონდომებაზე.
7. ყველა კაცები ეზოში შეკრებილიყვნენ.
8. აქ იმდენ ბავშვებს მოეყარა თავი, რომ ტევა აღარ იყო.
9. ნათია დილიდან ერთიდაიგივე სიმღერას მღეროდა.
10. კოტე წელსაც იგივე სასტუმროში გაჩერდა, სადაც შარშან.

## V. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან

***ცნობისათვის:*** მსაზღვრელი ორგვარია: შეთანხმებული ანუ ატრიბუტული და მართული ანუ სუბსტანტიური.

- შეთანხმებული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით ( დიდი სახლი), რიცხვითი სახელით ( ორი კაცი), ნაცვალსახელით (ჩემი სახლი), არსებითი სახელით (ექიმი ჭკუასელი) და სახელზმნით (დაჭრილი ვეფხვი).
- *( შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შესახებ იხ. ზემოთ ).*
- მართული მსაზღვრელი არსებითი სახელით არის გადმოცემული და დგას ნათესაობით ბრუნვაში. თუ მართული სახელი უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს, იგი უცვლელია ყველა ბრუნვაში: ხის სახლი, ხის სახლმა, ხის სახლს .
- თუ წყობა ინვერსიულია (შებრუნებული), მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში, ნათესაობითი და მოქმედებითი კი არა აქვს.

**სწორია: თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა** ( და არა: თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის)
**სწორია: თარგმანმა ბაჩანა ბრეგვაძისამ** ( და არა: თარგმანმა ბაჩანა ბრეგვაძისმა)
**სწორია: თარგმანს ბაჩანა ბრეგვაძისას** ( და არა: თარგმანს ბაჩანა ბრეგვაძისა)

## რამდენიმე მსაზღვრელის რიგი

- როდესაც საზღვრულს წინ დასმულ ორ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი არის რიცხვით სახელი, მეორე—ზედსართავი ან მართული მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულთან ერთად არ გამოხატავს კუთვნილებას, რიცხვითი სახელი პირველ ადგილზე დაისმის.
  **სწორია: ბევრი წითელი ბურთი, ორი მაღალი კაცი** ( და არა: წითელი ბევრი ბურთი, მაღალი ორი კაცი).
- თუ ზედსართავი ან მართული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად გამოხატვენ კუთვნილებას ( მოსწავლის რვეული, მეზობლის ბავშვი), მაშინ რიცხვითი სახელი მეორე ადგილზე დაისმის.
  **სწორია : მეზობლის სამი ბავშვი, სახლის ორი ფანჯარა** ( და არა: სამი მეზობლის ბავშვი, ორი სახლის ფანჯარა).
- თუ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი ნაცვალსახელია, პირველ ადგილს ყოველთვის ეს ნაცვალსახელი იჭერს.
  **სწორია: ეს სასიკეთო საქმე, ჩემი კარგი მეგობარი** ( და არა: სასიკეთო ეს საქმე, კარგი ჩემი მეგობარი).
- თუ ორივე მსაზღვრელი ზედსართავია (ან მიმღეობა),—ერთი ვითარებითი, მეორე მიმართებითი,—პირველ ადგილზე ვითარებითი ზედსართავი (ან მიმღეობა) დგება, მეორეზე—მიმართებითი.

**სწორია: მოკლე სასაცილო ამბავი, ახალი საარჩევნო კანონი** (და არა: სასაცილო მოკლე ამბავი, საარჩევნო ახალი კანონი).

*ცნობისათვის: ვითარებითია პირველადი ზედსართავი სახელი: დიდი, შავი, ტკბილი და სხვა. მიმართებითია ზედსართავი, რომელიც ნაწარმოებია სახელის ან ზმნიზედისაგან: ცხენი — ცხენიანი, ჩვენ — ჩვენებური, აქ — აქაური, გუშინ — გუშინდელი და ა. შ.*

- **თუ ორივე მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილზე, უპირატესად, -ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი დგება.**
  **სწორია: საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, ხვალინდელი საამური ცხოვრება** (და არა: ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, საამური ხვალინდელი ცხოვრება).
- **თუ მსაზღვრელთაგან ერთი შეთანხმებულია და მეორე მართული და მართული მსაზღვრელი გამოხატავს საზღვრულის მასალას, წარმომავლობას ან დანიშნულებას, ასეთ შემთხვევაში ჯერ იწერება შეთანხმებული მსაზღვრელი, შემდეგ — მართული.**
  **სწორია: ლამაზი ჩაის ჭიქა, დიდი ოქროს საათი** (და არა: ჩაის ლამაზი ჭიქა, ოქროს დიდი საათი).
- **მაგრამ, თუ მართული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად კუთვნილებას გამოხატავს, ასეთ შემთხვევაში შეთანხმებული მსაზღვრელი მათ შუაში უნდა ჩაისვას.**
  **სწორია: ბავშვის ძველი ველოსიპედი, ქისტების პატარა სოფელი** (და არა: ძველი ბავშვის ველოსიპედი, პატარა ქისტების სოფელი) და მისთ.

**სავარჯიშო № 47. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

1. მარის დაბადების დღეზე ახალგაზრდა ორმა ბიჭმა ბევრი წითელი ვარდები და ყვითელი მიხაკები მოუტანა.
2. ქუჩაში ლამაზი სამი ქალი იდგა.
3. სახლს რკინის ორი კარი ჰქონდა.
4. ბედნიერი ის დღეები არასდროს დამავიწყდება.
5. პარლამენტი დიდხანს მუშაობდა საარჩევნო ახალი კანონის შემუშავებაზე.

6. ამ ხნის მანძილზე საკონსტიტუციო არაერთი ცვლილება განხორციელდა.

7. მეგობრული გუშინდელი შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა.

8. ბებიამ შვილიშვილს ოქროს ძვირფასი საათი და ვერცხლის ძველებური ბეჭედი დაუტოვა.

9. ქართველების დიდი ისტორია საგმირო მრავალი საქმით დაამშვენეს ჩვენმა თანამედროვეებმა.

10. ზვიადაური პატარა ხევსურების სოფელში ცხოვრობდა.

## სათაურების მართლწერა

- **თხზულების, გაზეთის ან ჟურნალის სახელწოდება, თუ ის ერთსიტყვიანია და სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული, ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრული, რომელსაც წინ უძღვის შეთანხმებული მსაზღვრელი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | პოემა „ბახტრიონ-ი" | ლექსი | „განთიად-ი" |
| მოთხ. | პოემა „ბახტრიონ-მა" | ლექს-მა | „განთიად-მა" |
| მიც. | პოემა „ბახტრიონ-ს" | ლექს | „განთიად-ს" |
| ნათ. | პოემა „ბახტრიონ-ის" | ლექს | „განთიად-ის" |
| მოქმ. | პოემა „ბახტრიონ-ით" | ლექს | „განთიად-ით" |
| ვით. | პოემა „ბახტრიონ-ად" | ლექს | „განთიად-ად" |
| წოდ. | პოემა „ბახტრიონ-ო" | ლექს-ო | „განთიად-ო" |

ასევე იბრუნვის ორ- და მეტსიტყვიანი სათაურები, როგორიცაა: „არსენა მარაბდელი", „ოთარაანთ ქვრივი", „ხმელი წიფელი", „სამოსელი პირველი" და მისთ.

- **თანდებულიან ბრუნვებში თანდებული ბრჭყალების შიგნით უნდა დაიწეროს.**
**სწორია: რომან „დიდოსტატის მარჯვენაში", რომან „დიდოსტატის მარჯვენაზე"** (და არა: რომან „დიდოსტატის მარჯვენა"-ში, რომან „დიდოსტატის მარჯვენა"-ზე)

- **თუ სათაური ნართანიანი მრავლობითითაა გადმოცემული** ("მთანი მაღალნი"), **ან გადმოცემულია სხვა ბრუნვის (არა სახელობითის) ფორმით** („ჰე, მამულო", „ყვარლის მთებს"), **თანდებულიანია** („წამყე ბეთანიისაკენ", "ღამე მთაში"), **მოცემულია წინადადების სახით** („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"), **ან წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმით** („ამოდის, ნათდება!" "მესმის,

მესმის"), **მაშინ იბრუნვის მსაზღვრელი და თანდებულიც მას უნდა დაერთოს.**

**სწორია:**

**სახ. ნ. ბარათაშვილის ლექს-ი „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**მოთხ. ნ. ბარათაშვილის ლექს-მა „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**მიც. ნ. ბარათაშვილის ლექს-ს „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**ნათ. ნ. ბარათაშვილის ლექს-ის „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**მოქ. ნ. ბარათაშვილის ლექს-ით „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**ვით. ნ. ბარათაშვილის ლექს-ად „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**
**წოდ. ნ. ბარათაშვილის ლექს-ო „ფიქრნი მტკვრის პირზედ"**

**სწორია: ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ"** (და არა: ლექს „ფიქრნი მტკვრის პირზედში"); **ლექსში „ნამყე ბეთანიისაკენ"** ( და არა: ლექს „ნამყე ბეთანიისაკენში"ან ლექს „ნამყე ბეთანიისაკენ"-ში).

**სავარჯიშო № 48. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.**

1. რომანმა „დიდოსტატის მარჯვენა" სახელი გაუთქვა ავტორს.
2. ლექსით „მერანი" ბარათაშვილმა გამოხატა საკაცობრიო სევდა.
3. გაზეთი „რეზონანსის" ფურცლებზე ყოველთვის საინტერესო ინფორმაცია იბეჭდება.
4. ჟურნალს „ომეგა" ყველა საგაზეთო ჯიხურში ვერ იყიდით.
5. ჰაგიოგრაფიულ თხზულება „შუშანიკის წამება"-ში მრავალი საყურადღებო ისტორიული ცნობაა დაცული.
6. შ. რუსთაველის პოემით „ვეფხისტყაოსანი" ყველა ქართველი ამაყობს.
7. ვ.ფშაველას მოთხრობის „მთის წყაროს" დასაწყისი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.
8. მოთხრობით „ოთარაანთ ქვრივი" ილიამ ხიდჩატეხილობის პრომლემები წამოსწია წინ
9. საინფორმაციო გადაცემა „მოამბის" დამთავრებისთანავე პირველ არხზე ტელესერიალ „ძილის წინს" აჩვენებდნენ.
10. ბავშების საყვარელი გადაცემა „ბასტი-ბუბუმ" დღეს სტუმრად საბავშო სპექტაკლი „წითელქუდას" რეჟისორი მოიწვია სტუდიაში.

**სავარჯიშო № 49. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.**

1. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდებაზე“ ჩვენი აზრი ყველა ჩვენთაგანმა გამოვთქვით.
2. გუშინ წიგნების ცნობილ მაღაზია „პარნას“-ში ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია“ ახალი გამოცემა შევიძინე.
3. ნოდარ დუმბაძის რომან „მე ვხედავ მზეს“-ში გურიის ომისდროინდელი სოფლის ცხოვრებაა ასახული.
4. ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზედ“-ში ორი ობოლი ყმაწვილის ტრაგიკული თავგადასავალია აღწერილი.
5. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნას“ მიხედვით რეჟისორმა ნ. ჯორჯაძემ შესანიშნავი მხატვრული ფილმი გადაიღო.
6. მთავარ როლს სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“ მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე ასახიერებს.
7. ელდარ შენგელაიას ფილმის „შერეკილების“ გადაღებისას არაერთი კურიოზი მომხდარა.
8. გიორგი დანელიას ფილმით „მიმინო“ მსახიობ ვახტანგ კიკაბიძემ დიდი პოპულარობა მოიპოვა.
9. ჟურნალში „XX-ე საუკუნე“ მრავალი ახალი თარგმანები დაიბეჭდა.
10. ამერიკელმა დიდმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუეიმ პატარა შესანიშნავი მოთხრობისთვის „მოხუცი და ზღვა“ ნობელის პრემია მიიღო.

# VI. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა

***ცნობისათვის.*** სახელზე სხვადასხვა მაწარმოებლების (აფიქსების) დართვით შეიძლება ახალი შინაარსის სიტყვა მივიღოთ . გვაქვს თავსართი (ანუ პრეფიქსი), ბოლოსართი (ანუ სუფიქსი), თავსართ-ბოლოსართი (ანუ პრეფიქს -სუფიქსი, რომელსაც კონფიქსი ეწოდება).

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი სახელები შეიძლება იყოს:

1. წარმომავლობის ანუ სადაურობის სახელები ( ქართლ-ელ-ი, კახ-ურ-ი).
2. ქონების სახელები (შვილ-იან-ი, ღონ-იერ-ი, კლდ-ოვან-ი, მანდილ-ოსან-ი, სამკუთხ-ედ-ი, ლურჯთვალ-ა).
3. უქონლობის სახელები (უ-თავ-ო, უ-ბედ-ურ-ი, უ-შიშ-არ-ი).
4. ხელობის, ანუ პროფესიის, სახელები (მე-თევზ-ე, მე-ზღვა-ურ-ი).
5. დანიშნულების სახელები ( სა-ყურ-ე, სა-სკოლ-ო, სა-ფეხ-ურ-ი).
6. გეოგრაფიული სახელები ( იმერ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი).
7. წინა ვითარების სახელები (ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ჭრილობ-ევ-ი ).
8. აბსტრაქტული სახელები (მშვიდ-ობა, ბედნიერ-ება, სი-ჭაბუკ-ე).
9. კნინობით-ალერსობითი სახელები (დედ-იკო, ნან-უკა, თამ-უნა, წიგნ-აკ-ი, დედოფალ-ა).
10. ნარ სუფიქსიანი სახელები (ნაძვ-ნარი, ბაღ-ნარ-ი).

- წარმომქმნელ აფიქსთა ფუნქციით ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნებიცა და თანდებულებიც ( სახელობ-ით-ი, შინდ-ის-ი, პურ-ად-ი, ჩვენ-გან-ი)

- საკმაოდ ბევრია უცხოაფიქსიანი სახელები (ჩაი-დან-ი, ყავა-ხანა, ხაზინა-დარ-ი, სოციალ-იზმ-ი, კომუნ-ისტ-ი, ანტიქართული, პროდასავლური და ა. შ.).

***გახსოვდეს!***

სახელთა წარმოქმნის დროს **ვ ბგერა არ იკარგება** შემდეგ შემთხვევებში:

- -ურ სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვა ბოლოვდება ვ თანხმოვნით (დათვი — დათვური, ბავშვი — ბავშვური) ან როცა ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ უზის ვ (ლიტვა —ლიტვური).

- -ოვან სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს წინ უძღვის თანხმოვანი (ბეწვი — ბეწვოვანი).

****გამონაკლისია: რიცხვი — მრავალრიცხოვანი*

- უ-ო აფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვა ბოლოვდება ვ-ზე (თავი—უთავო, ნავი—უნავო), ან ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ თანხმოვანი უზის (სიტყვა - უსიტყვო, დავა – უდავო).
  **** გამონაკლისია: მოძრავი — უმოძრაო*
- სა- ო აფიქსების დართვისას ( ზავი – საზავო, ბავშვი – საბავშვო).
  ****გამონაკლისია: პატივი – საპატიო, მრეცხავი – სამრეცხაო, კაცობრივი – საკაცობრიო, ნაძლევი – სანაძლეო*
- ობა სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს წინ უძლვის თანხმოვანი (ბავშვი — ბავშვობა).

**სავარჯიშო № 50. გაასწორეთ შეცდომები.**

1. სოფიო ბავშური გატაცებით დასდევდა პეპლებს.
2. ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგობა.
3. რაღაც პირუტყულმა შიშმა შემიპყრო.
4. მაინ რიდის „უთაო მხედარი“ ბავშობაში ჩემი საყვარელი წიგნი იყო.
5. გერმანიამ რუსეთთან საზაო ხელშეკრულება დადო.
6. ჯარისკაცი უსიტყოდ დაემორჩილა ოფიცრის ბრძანებას.
7. მრავალრიცხვოვან მაყურებელთა თხოვნით ანსამბლ „ერისიონის“ გასტროლები გაგრძელდა.
8. ნინო სამრეცხავოში მუშაობს.
9. უდაოდ დიდია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ჩვენი ერის წინაშე.
10. ამაზე იტყვიან, დათური სამსახური გაუწიაო.

**სავარჯიშო № 51. გახაზეთ სწორი ფორმები.**

მკლაური, უნიავო, უნაო, უსიტყო, უქცეო, უძრაო, უკრავო, უტიო, სანავოსნო, სადავო.

## ვ-ს ჩართვა

***ცნობისათვის:*** *ვ-ს ჩართვა ხდება:*

- *მე –ე და სა-ე აფიქსების დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოს არის ე ან ო ხმოვანი: ტყე – მე-ტყე-ვ-ე, ეზო – მე-ეზო-ვ-ე.*
- *სი- ე პრეფიქს-სუფიქსის დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოს არის ა ან ო ხმოვანი: ბრმა – სი-ბრმა-ვ-ე, მარტო – სი-მარტო-ვ-ე.*
- ***გახსოვდეს:*** *ვ- არ ჩაერთვის სი-ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ უ ბოლოხმოვნიანი ძირეული სიტყვისაგან ნაწარმოებ წარმოქმნილ სახელებს: ცრუ –სი-ცრუ-ე ( და არა: სიცრუვე).*

**სავარჯიშო № 52.ააწარმოეთ სიტყვები მე-ე და სი -ე აფიქსების დართვით.**

რძე, ტყე, ეზო, კოხტა, ბრმა, ფართო, ვიწრო, სუფთა, ახლო, მარტო, ცოტა, ყრუ, ბლუ, ცრუ.

## VII. რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა
### ერთცნებიანი კომპოზიტები

***ცნობისათვის:*** ერთცნებიანი ანუ ერთმნიშვნელოვანია კომპოზიტები, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირი არ ჩაისმება.

*დაიმახსოვრე! ერთად, უდეფისოდ იწერება*:

- ფუძეგაორმაგებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილების მნიშვნელობა გასაგებია, სიტყვას კი ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს (წამწამი, თავთავი...).
- ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია (ბაჯბაჯი, ჩიფჩიფი, კაშკაში..).
- უდეფისოდ იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ფუძეში ბგერის შეცვლა ან დამატება ხდება (ჩხარაჩხური, ქოხმახი, არემარე, ავანჩავანი, კანტიკუნტად...).
- ერთად, უდეფისოდ იწერება „და" კავშირით შეერთებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები (სხვადასხვა, პირდაპირ, ხანდახან..) და „და" კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები 21-დან 100-მდე (ოცდახუთი, ორმოცდაექვსი...).
- ერთად, უდეფისოდ იწერება ორი სიტყვის შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიტები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილირთული ფუძის შემადგენელი პირველი ნაწილი (ჯარისკაცი, ძმისწული, ვარდისფერი, შვილიშვილი, დედინაცვალი, მზეთუნახავი, ავადმყოფი, ქვითკირი, გულკეთილი, ლომგული, გონებამახვილი...).
- ერთად, უდეფისოდ იწერება აგრეთვე მრავალწევრიანი კომპოზიტები (თავგზააბნეული, თავქუდმოგლეჯილი, წვერულვაშგათეთრებული, თავსაფარწაკრული).
- ერთმნიშვნელოვან კომპოზიტებს ქმნიან ისეთი რთული სიტყვებიც, რომლებშიც პირველი წევრი ზმნისართი ან თანდებულია (ზეგავლება, ზედამხედველი, შინაყმა, წინდაუხედავი, თანაკლასელი). ისინი უდეფისოდ იწერება.
- ერთად, უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომლებშიც მსაზღვრელი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი) მეორე ადგილასაა დასმული და ერთად აღებული წარმოადგენს ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინს ( დედაჩემი, მამათქვენი...).
- ერთად, უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომელებშიც ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძე შეზრდილია არსებითი სახელის ფუძეს (ქალბატონი, ავდარი, ხარირემი, ბერიკაცი, ახალქალაქი, ლუკმაპური).
- ერთად, უდეფისოდ იწერება ა სუფიქსდართული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები (ნარნარა, კამკამა, შავთვალა, ცისფერთვალება).

**სავარჯიშო № 53. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ყანაში მომუშავე გლეხს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა.
2. იქ ბევრი ხარა-ხურა და ნაყარ-ნუყარი რამ იყო.
3. ეს გზა ძალიან უსწორ-მასწოროა.
4. ხევხუვებში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.
5. ბებია აბდა-უბდას ლაპარაკობდა.
6. სინათლემ თან და თან იმატა.
7. ხან და ხან მეც ასე მელაპარაკება.
8. ქალი ფეხ და ფეხ მიჰყვა.
9. გასამრჯელოს წინ-და-წინ იღებდნენ.
10. მხედარი ცხენდა-ცხენ გამოედევნა.

**სავარჯიშო № 54. გაასწორეთ შეცდომები.**

1. გუშინ მე და ჩემმა დის-შვილმა გულ-და-გულ ვისაუბრეთ.
2. ზაფხულის ცხელი ამინდები შემოდგომის ავ-დარმა შეცვალა.
3. ახალ დაბაში ახალ-ქალაქის შესაფერისი ამინდი იყო.
4. ახალ გაცნობილი საოცრათ გონება-გახსნილი გლეხ-კაცი გულ-ამოსკვნილი ტიროდა და ყმაწვილ ქალს თავისი ჩანაფიქრის დედა აზრს უხსნიდა.
5. ეს ერთ-გული ვაშკაცი ცნობილი თავადი-შვილის ვაჟი შვილი იყო.
6. ლოყებ ღაჟღაჟა რაინდი იარაღ-ასხმული გამოცხადდა ბრძოლის ველზე.
7. გაიცანით, ეს ჩემი თანა-მშრომელია.
8. დიდია ჩვენი ზედა-მხედველის ზე-გავლენა თავის ხელ ქვეითებზე.
9. იგი ნამდვილი ზე-კაცი იყო.
10. წიგნის წინა-სიტყვაობაში ავტორი ამას საგანგებოდ აღნიშნავს.

**სავარჯიშო № 55. გაასწორეთ შეცდომები.**

1. პაპა-ჩემი და დეიდა-თქვენი ერთ სოფელში იზრდებოდნენ.
2. მამიდა ჩვენი ჭკვიანი და ენა მახვილი ქალი იყო.
3. როდის ჩამოდიან ბიძა შენი და ბიცოლა-შენი?
4. დეიდაჩემი შრომის მოყვარე ქმარ-შვილიანი ქალია.
5. ვახტანგის თავის მეზობელი ასოთ ამწყობი ეგონა.
6. გრძელ წვერა მღდელთ მთავარმა ბავში მონათლა.
7. თავ-მჯდომარეს ნაყვავილარი სახე ჰქონდა.
8. ამირანს ნავ-სადგურში თავისი ძმად ნაფიცი დახვდა.
9. თავ-გზა-არეული გიორგი გულ ჯავრიანი დაეხეტებოდა ლუკმა პურის საშოვნელათ.
10. გარე-ქართლი ძალიან ლამაზია, მას სილამაზით არც შიდა ქართლი ჩამოუვარდება.

**სავარჯიშო № 56. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ჩემმა მეგობრებმა დიდი თანა დგომა გამიწიეს.
2. ამასობაში შუა ღამემ მოაწია.
3. დედას საშინელი წინათ გრძნობა ჰქონდა.
4 დამშვიდდი ბიძა-ჩემო, ფეხდა-ფეხ მივყვები.
5 თავ ზარი დამეცა, როცა შენი თავ-გადასავალი გავიგე.
6. ფეხ მოტეხილი ქალს ყავის ფერ თვალებში სევდა ედგა.
7. ნოდარიმ ანგარიშმიუცემელათ ჩაასხა ნავთი ნავთ ქურაში.
8. ბერიკაცი ფეხ მორთხმით იჯდა ხუროთ მოძღვრის სავარძელში.

9. ამ ულვაშებ გადაპრეხილ ყმაწვილს ბედის წერა ვერა ფერს დააკლებს.
10. მისი მამი-ნაცვალი კარგი მამული-შვილია.

**სავარჯიშო № 57. გაასწორეთ შეცდომები.**

1. წვერ-ულვაშ გათეთრებული ცხვირ პირ ახვეული ჭაღარა კაცი ორ ლობეში კოჭლობით მიდიოდა.
2. თავსაფარ გაკრულ შუა ხნის ქალს დრო და დრო სხვა და სხვა ფიქრი გაჰკრავდა.
3. რუსუდანიმ ცის ფერი ხალათი ქინძისთავით შეიკრა.
4. კაშ-კაშა მთვარე ანათებდა არე-მარეს.
5.ქალები მთელ დღეს ლაქ-ლაქს ანდომებდნენ.
6. დილის რიჟ-რაჟს ღამის ბინდ-ბუნდი გაეფანტა.
7.ვანო მეტათ გულ კეთილი ბოვშვი იყო და თავ დაუზოგავად ცდილობდა, ყველას დახმარებოდა.
8.„სულთა მხუთავივით ნუ დამადექი თავზე!" —უთხრა ვახტანგიმ ლევანის
9 არ მოგბეზრდა წამდაუწუმ ერთი და იგივეს ლაპარაკი?— შეჰყვირა მოთმინება დაკარგულმა რევაზიმ.
10.ნინო და სანდრო დღე და ღამ ერთად იყვნენ.

**სავარჯიშო № 58. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ჩემი სოფელის თავში თეთრი ციხეკოშკი დგას.
2. კოშკი თავ-ჩამორღვეული იყო და ხავს დადებული ლოდები ბლომათ ეყარა ირგვლივ.

3. ციხის გალავანს ეხლაც ატყვია, ალყაშიჩამდგარ მოიერიშე მტერს ხმლები ზედ რო ულესავს.
4. ერთხელ, ბრძოლა რო გათავებულა, ჩვენებს თურმე ნიჩაბით უხვეტიათ ტყვია წამალი გალავანის გარშემო, იმდენი უსვრია მტერს.
5. ჩემ ბალღობაშიდ მსმენია, თურმე, ღამ-ღამობითით ცის-კრის ვარსკლავის ამოსვლამდინ თმა-ჭაღარა მანდილოსანი ჩამორბის ციხიდან და ვილაცას შორიდამ მკაცრათ ეძახის: არ გაბედო მოსვლ, სირცხვილიანო, არ მომეკარო
6. ხმალ ამოღებული აბჯარიანი ვაჟკაცი თავ-ქუდ-მოგლეჯილი გამორბის, უცბათ შეჩერდება და დედას შორიდამ გასძახის: ან შევაკვდები ან მოგივალ იმედიანი
7.შუა დღის სიცხე ანთია სოფელში. სიჩუმეს მხოლოთ ჭრიჭინობელას დამღლელი ჭრიჭინი და ურმის თვალების რახა-რუხი არღვევს.
8.შარა-გზაზე მხოლოთ ერთი კაცი მოჩანს ეს ლურჯ-ხალათიანი წვერ გაუპარსავი შუა ხნის მამაკაცი ყოფილი სემინარიელი ანარქისტი იორამი გახლავთ.
9. მოპირდაპირე მხარიდან ზანტათ მოაბიჯებს შავ ანაფორიანი მღდელი თმა გაწეწილ დიაკვანთან ერთათ.
10.იორამი წინ გადაუდგება მღდელს და თავის ბოხი ხმით, ისე რო ქვემო უბნელებსაც კი ესმით, დეიწყებს: აბა მღდელო მითხარი რამ შექმნა ეს თვალ მიუწვდენელი ქვეყანა

# მრავალცნებიანი კომპოზიტები

*ცნობისათვის:* მრავალცნებიანია კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს (დედ-მამა, ცოლ-ქმარი, რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთი)

*გახსოვდეს!* ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტის ნაწილებს შორის შეიძლება და კავშირის ჩასმა.

ყველა ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტი იწერება დეფისით.

კერძოდ, დეფისით იწერება:

- რთული სიტყვები, რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით (დედ-მამა, და-ძმა, ოქრო-ვერცხლი, ქართლ-კახეთი).
  - სინონიმური მნიშვნელობის რთული სახელები (სიცილ-კისკისი, ბედ-იღბალი, ძალ-ღონე).
  - ანტონიმური მნიშვნელობის რთული სიტყვები (დიდ-პატარა, სიკვდილ-სიცოცხლე).
- რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები (ორ-ორი, სამ-სამი).
- ფუძეგაორკეცებული ზედსართავები (ცხელ-ცხელი, პატარ-პატარა).
- სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ბრუნვის ნიშნის უქონელი ზმნიზედები (ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, ქუჩა-ქუჩა).
- ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ ზმნისწინით განსხვავებული რთული ზმნები (აივლ-ჩაივლის, მიიხედ-მოიხედა) ან სხვადასხვა ფუძის მქონე ერთად გაერთიანებული ზმნები (გააცივ-გააცხელა, გაათეთრ-გააშავა).
- კუთვნილებითი კომპოზიტები
  - კუთვნილებითი კომპოზიტები შემადგენელ ფუძეთა რაოდენობის მიუხედავად ერთად იწერება (მაღალქუსლიანი, ხუთსართულიანი, ნაბდისქუდიანი, ლამაზკაბიანი).
  - თუ კუთვნილებით კომპოზიტს წინ უძღვის -ზე ან -ში თანდებულის მქონე ადგილის გარემოება, ასეთ შემთხვევაში უნდა დავწეროთ ორი სიტყვა (თავზე ხელაღებული, ბალიშში თავჩარგული).
  - თუ კუთვნილებითი კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, რომელიც ციფრით (ან რაიმე სიმბოლოთი) არის წარმოდგენილი, მიმდევნო სახელს იგი დეფისით დაუკავშირდება ( 5-ადგილიანი, X-უცნობიანი).

*გახსოვდეს!* თუ ორმნიშვნელობიან დეფისიან კომპოზიტს სიტყვის საწარმოებელი აფიქსი დაერთვის და მისგან ახალი სიტყვაა ნაწარმოები, ეს უკანასკნელი ერთად (უდეფისოდ) დაიწერება (და-ძმა, მაგრამ დაძმური, ცოლ-შვილი, მაგრამ ცოლშვილიანი.

**სავარჯიშო № 59. გაასწორეთ შეცდომები.**

1.დედა შვილი მარტო დარჩა ოთახში,

2.დაძმამ ხელფეხი დაუკოცნა დედოფალს.

3.მტრები პატარპატარა რაზმებს უფრო ადვილად მოერევიან

4.ქალვაჟმა ტყეტყე და ნაპირ-ნაპირ იარა.

5.რას დაწანწალოფ ქუჩა-ქუჩა, წადი წერა-კითხვა მაინც ისწავლე იქნებ ორ ორი კაპიკი იშოვნო გასძახოდა ლოყებ ჩაცვენილი დედაბერი ახალგაზრდა კუნთ მაგარ ყმაწვილ-კაცს.

6.მუხლებში თავ-ჩარგული ნინო 2 ადგილიან საწოლზე იჯდა და 3 უცნობიანი განტოლების ამოხსნას ცდილობდა.

7.ბატონ-ყმური წყობილების კრიტიკაა გადმოცემული ილიას კაკო ყაჩაღში.

8.დედა-შვილობა უდიდესი გრძნობაა.

9.ნაბდის ქუდიანი ახალგაზრდა ცოლ-შვილიანი კაცი ხელ-ჯოხით მიუყვებოდა აღმართს.

10. მაღლიდან წაწვეტებულ სახურავიანი კოშკები და ორ სართულიანი სახლები გადმოგვყურებდენ.

**სავარჯიშო № 60. გაასწორეთ შეცდომები.**

იყო ერთი ღარიბ ლატაკი მაგრამ დიდი ძალ ღონის მქონე კაცი. შიშველტიტველი დადოდა ხუთ ხუთი დღე მშიერ მწყურვალი იყო-ხოლმე მარა ტოლ ამხანაგეფს ძაან უყვარდა. კაი სიტყვა პასუხი იცოდა. ქართლ კახეთი ტაო კლარჯეთი და მესხეთ ჯავახეთი ცხენ და ცხენ ქონდა მოვლილი. წერაკითხვა არ იცოდა, მარა ბაზარში აივლჩაივლიდა, გაძვრებ გამოძვრებოდა ალაგალაგ ეზო ეზო სოფელსოფელ და შუკა-

შუკა ივლიდა რასმე საქმეს გააკეთებდა და ორ ორ და სამ სამ ლარს კი იშოვიდა. ჭრელჭრელი და ფერად ფერადი ტან-საცმელი ეცვა-ხოლმე, ჩქარჩქარი სიარული იცოდა და სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა. ლამაზლამაზი, მაღალ-მაღალი, თხელ-თხელი კაცი იყო.

**სავარჯიშო № 61. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ცოლ შვილი სად გყავს მიხო
2. ვაჟკაცს მხარბეჭი ამშვენებს, ის კი უმხარ-ბეჭო იყო.
3. გოგოს ლამაზი ცხვირპირი ჰქონდა
4. ის დიდი უცხვირ-პირო ვინმე იყო
5. დავით წვერ ულვაშს გაუფრთხილდი, ხომ იცი ნამუსიანი კაცი სწორედ წვერ-ულვაშიანი უნდა იყოს.
6. მალხაზიმ ჩქარჩქარა და ფუს-ფუსით ჩაიცვა ჩექმა.
7. ზაზას ტოლ-ამხანაგებმა ბევრი საჩუქარები მოუტანეს
8. მიხაკო უცოლ-შვილო მარტოხელა კაცია.
9. ეს პურმარილი მისი მოტანილია.
10. ორ-ღობეში ბოლო-ქანქარა დახტის.

**სავარჯიშო № 62. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მე ის ქვეყანის ბატონპატრონი მეგონა.
2. დროს ტარება ქართველთა ზნე ჩვეულებაა.
3. შორიდანვე დაინახა ცრემლ მორეული დედა-მისი.
4. მითქმა-მოთქმას საზღვარი არ ქონდა.
5. ნელნელა გათენდა და მზის კაშკაშა სხივებმა გაანათა დედა-მიწა.
6. შ. რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ 16 მარცვლიანი სტროფები გვხვდება.

7. ქვაფენილის გალმა-გამოლმა ბევრი ორმოები იყო.

8. რახა-რუხზე კი არა ჩურჩულზეც მეღვიძება.

9. გოგი უგზოუკვლოთ დეიკარქა.

10.წვერ-ულვაშიანი დევ-კაცი ცისფერ თვალება ქალს ბარბაცით მიჰყვებოდა.

**სავარჯიშო № 63. გაასწორეთ შეცდომები.**

თამაზიმ უცხოეთიდან თბილიში მიმავალ მეგობარს ქუთაიშში მცხოვრებ ბიძაშვილთან წერილი გამოატანა: ბიჭო გურამი ძალიანი მომენატრე, ამ დღებში ჩამოვალ საქართველოში და წევიდეთ თბილისში, ჩემ კლას მინდა შევხთე. თვები კვირეები და დღები ისე გადის რო ჩვენიანს ვერავის ვერ ვხედავ. ბევრი რამე მომენატრა: ჩვენებური ატამის ჩაკბეჩა მომინდა, ყურძენის შეჭმა ალუბალით პირის ჩატკბარუნებას რა ჯობია

იცი გურამი კიდო რა მომაგონდა? ჩვენი ფანჯარის პატარა სარკმელი გამახსენდა. ამ სარკმელის გაღება ცოტა ძნელი იყო. ვახტანგიმ და აკაკმა ვერაფრით ვერ ისწავლეს მისი გახსნა. კიდო შ. რუსთაველის ძეგლი გამახსენდა, ისე, ი. ხუცეს რატო არ უდგავენ ძეგლს

გახსოვს შ.რუსთაველის პროსპექტზე შენი ყურშა რო დევინახეთ? ყურშა, ყურშა! გამოვეკიდეთ და სად გაუჩინარდა ჩვენი ყურებ აცქვეტილი ძაღლი ველარ დევინახეთ

თფილისის ქუჩებში სულ ორ ორი და სამ სამი დავდიოდით. მე შენ და ლევანი ათასცხრაას სამოცდათვრამეტში მე დავიბადე , ათას-

ცხრაას სამოცა თუთხმეტში ლევანი. მე მე-2-ე კლასში რო წამიყვანეს მაშვინ ლევანი მე-6-ე კლასში იყო და სწორეთ იმ დღიდან დავძმაკაცდით. მერე ის მე-X-ე სკოლაში გადაიყვანეს და იშვიათად ვხედავდი. მის სახლამდე ასე კილომეტრნახევარი იქნებოდა. ერთხელ დედა ჩემმა ორნახევარი კილო ბალი მიყიდა სამნახევარი ლარი მომცა და ბევრი კანფეტები. მითხრა, სამი ბიჭები წადით ლევანისთანო. ოთხთავე წავედით. მათმა ძაან გეიხარენ ლევანის ნახვით. ამგენის სიხარული მეც გადმომედო. ლევანის მისი უბედურება არ ეყოფოდა, რო ეხლა ამათ თავისი უბედურება არ მეეყოლათ? მარა ლევანი მათ სახელს ძაან უფრთხილდება, თვითოეული მათთაგანი მისთვის ძვირფასია.

რაებს ბოდავენ ხოლმე ეს ბიჭები, რა ბავშურ სისულელეებს ყვებიან. არა, სადაო და საეჭო არაფერია. ჩვენ ყველა კარქი მეგობრები ვართ.

გახსოვს, როგორ გვიყვარდა ფშავური და მოხევური ხინკალი. არა ძაან უთავურები ვართ თვარა ხინკალის გაკეთებას რაღა უნდა?

ხან და ხან გამახსენდება ჩემი სახლ კარი, ავლულლულდები, გულ-გაგლეჯილი ქუჩა ქუჩა დავდივარ და ნაცნოფ სახეებს ვეძეფ. უკვე წვერ-ულვაშ-გათეთრებულო კაცი ვარ, სულ ასე გულ-ამოსკვნილმა უნდა ვიტირო?

პაპა ჩემი და მამიდა-ჩემი გამახსენდნენ. მაღალ-მაღალი, ხმელხმელი მოხუცები იყვნენ. კიდევ ბევრი ვილაცეები მენატრებიან. ეჰ რამდენი რამე მახსენდება, რა კარქი იყო ახალ-გაზრდობა!

შენი თამაზი ხელაძე

# VIII. ზმნების მართლწერა

*ცნობისათვის*: ზმნა ჰქვია მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველ სიტყვას. ზმნა ორგვარია: პირიანი (წერს) და უპირო (წერა).
პირიან ზმნას წინადადებაში შემასმენელი ჰქვია.

***ზმნის პირი და რიცხვი.***

- *ზმნა იმდენპირიანია, რამდენი პირის ნაცვალსახელიც შეეწყობა მას.*
- *ზმნის პირი ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური მოქმედი პირია, ობიექტური — სამოქმედო. პირი კი სამია: პირველი, მეორე, მესამე.*
- *პირიან ზმნას რიცხვის ორი ფორმა მოეპოვება: მხოლობითი და მრავლობითი.*

**სავარჯიშო 64. აღნიშნეთ რამდენპირიანია და რომელი პირები შეეწყობა შემდეგ ზმნებს.**

| | | |
|---|---|---|
| აშენებს | წუხს | ბრწყინავს |
| დგას | უყურებს | ვადასტურებთ |
| ეალერსება | ცურავენ | შესდგომია |
| ჰკითხა | ეგდო | გადმოჰყურებს |
| დატკბნენ | ვუვლიდით | დავტოვეთ |
| დახატეს | ანგრევ | გამომიტანა |
| ემალებიან | შეჭამა | ასრულებდნენ |
| დაუხატა | აფერადებდა | გიცდიან |
| ჭრიან | დაუსრულებია | ვცხოვრობ |
| გააკეთეთ | აშრიალებდნენ | მოჰფენოდა |

**სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები**

| მხ. რ. | მრ. რ. |
|---|---|
| 1. ვ——————————— | 1. ვ———————————თ |
| 2. (ხ), ჰ, ს, ——————— | 2. (ხ), ჰ, ს, ————————თ |
| 3. ——————————ს, ა, ო | 3.——————————ენ,ნენ,ან,ნ,ეს. |

*ცნობისათვის!*

- სუბიექტური მეორე პირის აღსანიშნად **შეიძლება შეგვხვდეს** ს 9 თანხმოვნის წინ: დ,თ,ტ, ძ,ც,წ,, ჯ,ჩ,ჭ (სთქვი, )
- ჰ შეიძლება შეგვხვდეს ბ,ფ,პ, გ,ქ,კ, ყ თანხმოვნების წინ (ჰგალობ)

- ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ სუბიექტური II პირის ნიშანი არ გვხვდება.
- ორიოდე ზმნაში გვაქვს ხ: ხ-არ, მო-ხ-ვალ.

*შენიშვნა:* სუბიექტური მეორე პირის ნიშანი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გაუქმებულია. ასე რომ, ისინი შეიძლება არც ვიხმაროთ (სთქვი და თქვი ორივე სწორია).

*გახსოვდეს!*

- თუ ზმნის ფუძე ვ თანხმოვნით იწყება, პირველ სუბიექტირ პირში ორი ვ უნდა დაიწეროს (ვვარჯიშობ, ვვარცხნი, ვვაჭრობ). ერთი პირის ნიშანია, მეორე — ფუძისეული.
- I სუბიექტური პირის ნიშანი ვ ზმნაში ყოველთვის იწერება უ და ო ხმოვნების წინაც (ვუწერ, ვომობ, დავობლდი, გავოცდი).

**სავარჯიშო № 65. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მე ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაშიდ ჩავარდი .
2. მაშინვე დამავიწყდა ჯავრი და მწუხარება და ზეზე წამოვარდი,
3. სკამზე უხერხულათ დავჯექი, თავი ვერ შევიკავე, გადმოვარდი და იატაკზე დავეცი.
4. არ შემიძლიან რა წყალშიდ ჩავარდე,
5. ვეცი კარებს და გარეთ გამოვარდი,
6. ბევრს ვარჯიშობდი თავს არ ვზოგავდი გული მწყდებოდა პატარა ტანის რო ვიყავი .
7. მე ჩემ პატარა დას თმას ვარცხნიდი ხოლმე.
8. სამწუხაროდ, მე ასე არ ვარაუდობდი და ძლიერ გაოცდი როცა ის დავინახე.
9. ღამ-ღამობით აქ ვაჭრობ ხოლმე და დილაობით კი სახში მივდივარ.
10. დღეს რო უკვირდები ეს თამაში ჩვენი ქვეყნის ბედს მაგონებს.

# ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

*ცნობისათვის:* ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

- **პირდაპირია ობიექტი,** რომელიც **ბრუნვას იცვლის.** I სერიის მწკრივებთან ის მიცემით ბრუნვაშია (კითხვაზე **რას შვრება?** მიუგებს **მიცემითი ბრუნვის** ფორმით. მაგ. *ხატავს ის **მას**. (კაცი სურათს),* ხოლო II და III სერიის მწკრივებთან — სახელობითში (კითხვაზე **რა ქნა?** მიუგებს **სახელობითი ბრუნვის** ფორმით. *დახატა მან **ის** (კაცმა სურათი).* კითხვაზე რა უქნია? **დაუხატავს მას ის (კაცს სურათი).**
- **ირიბი ობიექტი *ბრუნვაუცვლელია.* ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას.**
  *ემალება ის **მას** (ბავშვი **დედას**), დაემალა ის **მას** (ბავშვი **დედას**).*
- **თუ ზმნას პირდაპირი ობიექტური პირი ეწყობა, ის გარდამავალია** *(ხატავს ის **მას**, დახატა მან **ის**).* **თუ ზმნა ასეთ პირს არ შეიწყობს, ის გარდაუვალია** *(ემალება ის **მას**, დაემალა ის **მას**).*

### პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნები

| მხ. რ. | მრ. რ. |
|---|---|
| 1. მ———————— | 1. გვ———————— |
| 2. გ———————— | 2. გ————————თ |
| 3. ———————— | 3. ———————— |

*გახსოვდეს! პირდაპირ ობიექტურ III პირს ნიშანი არ უნდა.*

### ირიბი ობიექტური პირის ნიშნები

| მხ. რ. | მრ. რ. |
|---|---|
| 1. მ———————— | 1. გვ———————— |
| 2. გ———————— | 2. გ————————თ |
| 3. ჰ, ს, ———————— | 3. ჰ, ს, ————————(თ) |

*გახსოვდეს!*

- თუ ზმნის ფუძე მ თანხმოვნით იწყება, პირველი ობიექტური პირის მხოლობით რიცხვში ორი მ უნდა დაიწეროს ( მმალავს, მმართებს).
- ორი გვ იყრის თავს პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში, თუ ზმნის ფუძე იწყება გვ თანხმოვნით (გვგვრის, დაგვგვიანებია).

- ორი გ უნდა დაიწეროს, როცა გ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეს დაერთვის მეორე ობიექტური პირის ნიშანი (გგზავნის, მოგგუდავს).
- **ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებში** III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად ჰ იწერება გ, ქ, კ, ბ, ფ, პ, ყ თანხმოვნების წინ ( ჰკითხა, ჰქონდა, ჰყავს...), ს იწერება დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ ( სთხოვა, მოსჭრის, მისწერს...) ; ხმოვანთა და დანარჩენი თანხმოვნების წინ **ჰ** და **ს** პრეფიქსი დაკარგულია.

**სავარჯიშო № 66. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ლუარსაბს უნდა თქვას „ნუ დამარხავთ მეო", მარა ვერ ამბოფს.
2. ბიჭო ეს რა მომსვლია ეს რა დამართნიაო იძახდა წვერ-ულვაშ-გათეთრებული შუა ხნის კაცი.
4. მე საბედნიეროთ, იმ ქალის დანახვამ მხნეობა შემატა.
5. შენ თუ არ დამალე, ის მსუნაგი მელა მეც ჩამყლაპამსო სტიროდა მამალი.
6. მე თითქმის ერთ წელი მკურნალობდენ ჰოსპიტალში.
7. სამწუხაროდ გუშინ ჩვენ ლექციაზე რო დაგვიანებია კახასაც გაუგია.
8. თუ არ მეისვენებთ ორთავეს თავებს წაგლეჯთ.
9. მაინც და მაინც გინდა რომ ჯოჯოხეთში შენ გაგზავნონ?
10. რა გონია ჩემო ძმაო ყველაფერი გაგივა?

**სავარჯიშო № 67. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მანანა თავის ოთხი შვილებით სუფრას მიჯდომოდა.
2. ლევანის რა ლამაზი დედა ყოლია.
3. სიცილით თვალებიდამ ცრემლი ცვიოდათ.
4. თვალებ გადმოკაკლული ყვავი მუხის ხეს შეფარებოდა.
5. გლეხ-კაცობა კალიასავით მოფენოდა ჭალას.

6. თავ-ზარ-დაცებული შოშია ზემოდან დაცქეროდა ჯიხვს,

7. მას ტკივილისაგან სახე დაპრანჭოდა.

8. ის ბუჩქს მიდგომოდა და რაცხას ბუტ-ბუტებდა.

9. ბიჭს შალვარი შემოგლეჯოდა.

10. ცხვირი უცნაურათ გვერზე მოგრეხოდა.

**სავარჯიშო № 68. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ნინოს ვახტანგიზე მეტათ გოგი მოწონს.
2. რა აზრი ქონდა ამის გაკეთებას,
3. ის კარგა ხანია აღარ გავს წელ-გამართულ ვაშკაცს.
4. დედაკაცს მშვიდათ ძინამს.
5. ტრედმა ფრთა-ფრთას შემოკრა.
6. ისინი შენდობას თხოვდენ მღდელს.
7. მათ ერთმანეთს ერთგულობა შეჰფიცეს.
8. გურამიმ ლევანის ხბო ოც მანეთათ მიყიდა.
9. მათ ოჯახს ამ არა კაცმა საქვეყნოთ მოჭრა თავი.
10. ისინი ხელს არაფელს არ კიდებდენ.

***დაიმახსოვრე!***

- **ჰ და ს პრეფიქსები არ იწერება ერთპირიან ზმნებში** *(ბრუნავს, გმინავს, დგას, ქრის, დუმს, ჩანს, ყვავის ...).*
- **ჰ და ს პრეფიქსი არ იწერება ორპირიან გარდამავალ ზმნებში** *( ხატავ, ქსოვს, კრეფთ, ბარავენ, ვბარავ, ვკლავ, ვტეხ, ვთქვი....).*
- **რამდენიმე ზმნაში ს ფუძესთანაა შეზრდილი და მიუხედავად იმისა, რომ ზმნას ირიბი ობიექტური პირი არ ახლავს, მისი ნიშანი მაინც იწერება** *( გასტანს, გამოსცემს, გასცემს, გასწევს, ასწევს).*

- ჰ და ს პრეფიქსი იწერება ორპირიან გარდაუვალ ზმნებში. ე. ი. როცა ზმნას შეეწყობა ბრუნვაუცვლელი (ირიბი) ობიექტი, რომელიც ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას *(ჰყავს, ჰგავს, ჰგონია, სტკივა, მოსწყდა, და ა. შ.).*

- ჰ და ს პრეფიქსები ყოველთვის იხმარება სამპირიან ზმნებში, რადგან მათ შეეწყობათ ირიბი ობიექტი (ბრუნვაუცვლელი) *(მოჰგვრის, ჰკითხა, ჰპირდება, მისცემს, დასძენს, მოსჭრის...).*

- თუ ზმნის ფორმაში მესამე ობიექტურ პირთან ერთად პირველი სუბიექტური პირია წარმოდგენილი, ვ-ს შემდეგ ჰ და ს თავსართი შეიძლება ვიხმაროთ, შეიძლება — არა *(პარალელური ფორმებია: შევჰგებებივარ და შევგებებივარ, ვსწერდი და ვწერდი).*

- ჰ და ს პრეფიქსი არ იხმარება ზოგ ორპირიან გარდაუვალ ზმნაში *(რჩება ის მას, დარჩება ის მას, დარჩა ის მას და არა: ჰრჩება, დაჰრჩება, დაჰრჩა).* და ობიექტური წყობის ზოგ ზმნაში *(შია, შიოდა, შიოდეს და არა: ჰშია, ჰშიოდა, ჰშიოდეს).*

- ჰ და ს პრეფიქსი იხმარება III ირიბი ობიექტური პირის აღსანიშნავად სცივა-ტიპის ზმნებში: *სცივა, სციოდა, სციოდეს (მას); სცხელა, სცხელოდა, სცხელოდეს (მას). სწორია სძინავს (მას) და არა ძინავს.*

**სავარჯიშო № 69 . გაასწორეთ შეცდომები:**

1. ხელ-ჩართულმა ბრძოლამ მთელ ღამეს გატანა.
2. გამომცემლობა მერანმა წელს ასზე მეტი წიგნი გამოცა
3. მართველმა სასტიკი ბრძანება გაცა .
4. განსაცვიფრებელია ის ღვაწლი რომელიც მან გაწია
5. ის დედასავით ჰზრუნავს ბავშვებზე
6. მინდორში ბევრი ლამაზი ყვავილები ჰყვავიან
7. ბერი დასტკბება ამ მშვენიერის მთის სილამაზით
8. მონადირენი უცბათ შესდგნენ
9. ვარსქენი ფეხით შესდგა შუშანიკს
10. ქარი ჰქრის და ფოთლები ქარ და ქარ მიჰქრიან

**სავარჯიშო № 70 . გაასწორეთ შეცდომები:**

1. მთავრობა ამ საკითხზე სდუმს და სჩანს დიდ ხანს არც აპირებს დუმილის დარღვევას
2. როგორ თქვენც გაქვსთ რამე საჩივარი გაუკვირდა ადვოკატს.
3. ქორი ორივე ფეხებით გახლავსთ ჩამოკიდებული ბატონო უპასუხა გლახუნამ
4. მათ ჩემს მეტი არავი ყავსთ პატრონი ამოიგმინა ქალმა.
5. მაგათ არაუშავსთ რა
6. ქალები მიდგნენ ჭურჭელს და უცბათ გარეცხეს
7. ბატონის დანახვაზე შინა ყმები შესდგენ
8. გუშინ წინ ისინი ერთმანეთს დაეტაკენ
9. ბიჭები ფრთხილათ მიუახლივდენ ნოდარის
10. ღვინობის თვის დასაწყისში მამა და შვილი ერთმანეთს დაშორდენ.

***დაიმახსოვრე!***

- წარსულ დროში (წყვეტილში) კითხვაზე **რა ქნა?** ორპირიან ირიბობიექტიან და ერთპირიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იწერება **ნენ** და არა —ენ.

  ***სწორია: იდგნენ, გათბნენ, აშენდნენ, დაემალნენ*** *და არა: იდგენ, გათბენ, აშენდენ, დაემალენ.*

- ერთპირიან და ორპირიან ზმნებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ, მაგრამ ქვემდებარე მოთხრობითში ეწყობათ, წყვეტილში (კითხვაზე **რა ქნეს?**) მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მოუდით **–ეს** და არა –ენ.

  ***სწორია: ბავშვებმა იტირეს*** *და არა იტირენ,* ***მათ იცხოვრეს*** *და არა მათ იცხოვრენ.*

# ზმნისწინები

***ცნობისათვის:*** ზმნისწინი ჰქვია ზმნის წინა ნაწილს, ერთ ან ორმარცვლიან ელემენტს, რომელიც ზმნას თავში დაერთვის.

**ზმნისწინებია: მი , მო, ა(*ალ*), და, ჩა (*შთა*), შე, გა(*გან*), გადა (*გარდა*), წა (*წარ*), ამო (*აღმო*), ჩამო (*შთამო*), შემო, გამო, გადმო, წამო (*წარმო*).**

**ზმნისწინს აქვს 4 ფუნქცია:**
1. უჩვენებს მიმართულებას, *(მიაქვს, მოაქვს, გადააქვს, შეაქვს, გადმოაქვს, ამოაქვს და ა. შ.)*
2. აწარმოებს დროს *(წერს, დაწერს).*
3. მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული სახით *(ხატა, დახატა).*
4. გამოყენებულია ახალი მნიშვნელობის სიტყვათა საწარმოებლად *(მი-ხვდა, მო-ხვდა, შე-ხვდა, და-ხვდა).*

**გახსოვდეს.:**

- ზმნისწინთა ძველი სახეობების **(ალ, ალმო, გან, შთა, გარდა, წარ,)** გამოყენება უფრო ხშირია სახელზმნასთან და ბევრ შემთხვევაში ზმნისწინთა ძველსახეობიანი ფორმები ერთადერთია. მაგალითად, სიტყვებში: **ალ**ზრდა, **ალ**მზრდელი, **ალ**დგენა, **ალ**ნიშვნა **შთა**ბეჭდილება, **წარ**მოშობა, **წარ**მოშობილი და სხვ. არ შეიძლება ამ ზმნისწინთა გამარტივებული ფორმები ვიხმაროთ (აზრდა, ამზრდელი, ადგენა, ანიშვნა, ჩაბეჭდილება, წამოშობა, წამოშობილი).

- პირიან ზმნათა ფორმებში საქმე გვაქვს მათი გამოყენების შემდეგ შემთხვევებთან:

  **ა)** როცა ზმნისწინების ძველი და ახალი სახეობა **პარალელურად იხმარება** (განასხვავებს—გაასხვავებს, განასახიერებს—გაასახიერებს, განათავისუფლებს — გაათავისუფლებს, განაცხადებს – გააცხადებს, აღიმაღლებს —აიმაღლებს და ა. შ.). ასეთ შემთხვევებში ორივე ფორმა სწორად ითვლება.

  **ბ)** როცა ზმნისწინის ძველსახეობიანი ფორმა **ერთადერთია.** მაგალითად, განაგებს, განკურნავს, განაგრძობს, წარმოადგენს, წარმოშობს (შეუძლებელია: გააგებს, გაკურნავს, გააგრძობს, წამოადგენს, წამოშობს და მისთანა ფორმები).

  **გ) მომხდარია დიფერენციაცია**: თუ ძველი ზმნისწინი დაერთო ზმნას, სხვა მნიშვნელობა აქვს, თუ ახალი — სხვა. მაგალითად, **განაახლებს მუშაობას** ნიშნავს გააგრძელებს მუშაობას, ხოლო **გააახლებს** ნიშნავს ახლად აქცევს.

ასევე განსხვავებული მნიშვნელობისაა სიტყვები: განადიდებს და გაადიდებს, ალიზრდება (ბავშვი) და აიზრდება (მცენარე), განწმინდა (ცოდვათაგან) და გაწმინდა (ტალახისგან). არ შეიძლება ითქვას და დაიწეროს ასე: განადიდებს ოთახს, ან განწმინდა ტალახისაგან, ან აიზრდება ბავშვი და სხვ.

## ზმნისწინთა უმართებულო ხმარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვიცოდეთ:

- ალ ზმნისწინიან ფორმებში პირველი პირის სუბიექტური ნიშანი ვ მის შემდეგ იწერება *(ალ-ვ-ნიშნე, ალ-ვ-ზარდე).* არასწორია: *ავღნიშნე, ავღწერე.* **გამონაკლისია ზმნები: ვაღიარებ, ავღორძინდი, აქ ღ ფუძესთანაა შეზრდილი.**
- გან ზმნისწინისაგან მომდინარეობს **ნ** ელემენტი შეცდომით დაწერილ სიტყვებში *ანთავისუფლებს, ანზოგადებს* და სხვ. აქ **გან** ზმნისწინის **ნ** ელემენტი ფუძისეულად იქნა გაგებული, რაც არაა სწორი . უნდა იყოს: ***ათავისუფლებს, აზოგადებს, ავითარებს და მისთ.***
- ასევე უმართებულოა ვარდგენ, ვურდგენ და მისთ. ფორმები, სადაც **წარ** ზმნისწინის **რ** ფუძისეულ ელემენტადაა გაგებული. მართებული ფორმებია: ***ვადგენ, ადგენ, ადგენს, ვუდგენ, გიდგენ, წარვადგენ.***

**სავარჯიშო № 71. გაასწორეთ შეცდომები.**

1. გიგლას გაზრახვა სულ სხვა იყო.
2. მათმა ადგენითი სამუშაოები უკვე დაამთავრეს.
3. ამზრდელი ერის დიდი სიყვარული ქონდა ჩვენ მგოსანს.
4. მე გავეცი გაკარგულება
5. მე მალე გაგინთავისუფლეფ ოთახს.
6. გამანთავისუფლეთ თვარა გადმოვარდები აქიდან კისრით.
7. ქარხანა თან-და-თან ანვითარებდა წარმოებას.
8. თუ გავნთავისუფლდი, მე თითონ დავარცხნი მათ.
9. ჩვენმა დირექტორმა დღეს ლექციებიდან გაგვანთავისუფლა.
10. ბოვშებს ხშირათ ანთავისუფლებდნენ სკოლიდან.

**სავარჯიშო № 72. გაასწორეთ შეცდომები.**

1. პოლიციის განყოფილება გირდგენთ ამ თვეში მომხთარი დანაშაულების სიას.
2. ამ პროექტში ავტორი ანხორციელებს ახალ იდეას.
3. გვალფრთოვანებს მისი წარმატებები.
4. უნდა ავღნიშნო რომ როცა აღვწერე ეს ამბავი, გულზე მომეშვა.
5. ია ფრთხილათ ანცალკევებს კვერცხის გულს ცილისაგან .
6. მერაბი მალე მუშაობას გაახლებს და დიდ წარმატებებსაც მიაღწევს.
7. მე ხშირათ ვფიქრობ ჭეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილათ გვალფრთოვანებს და გვაღელვებს.
8. ამ ჟურნალში მე ვღნიშნავ და ვღნუსხავ ყველაფერს.
9. ბავშვებს პატრიოტული სულის-კვეთებით ვღზრდით.
10. ამ ნაშრომში, რომელსაც საბჭოს ვურდგენ განსახილველად ვანხორციელებ ჩემ სანუკვარ ოცნებებს და ვანვითარებ, ვანზოგადებ და ვანმტკიცებ ახალ შეხედულებებს.

**სავარჯიშო № 73. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ნუ ღელავ მე თითონ ავღწერ და ავღნუსხავ ყველაფერს.
2. თუ დროზედ გავნთავისუფლდი ხვალ დილით უკვე მანდ ვიქნები
3. სკოლა უნდა ღზრდიდეს განათლებულ და მაღალი ზნეობის ადამიანებს.
4. სამართველო ურდგენს სამინისტროს თავის მუშაობის ანგარიშს
5. ნიკო ღვინოს წყალში ანზავებს.
6. უნდა ავღნიშნო, რომ ეს თამაში ბავშვს კარგ ჩვევებს უნვითარებს.
7. წარმატების შეგრძნება მაღფრთოვანებდა.
8. იგი თავის ოცნებებს ხელოვნებაში ანხორციელებს

9. მწერალი ამ აზრს თავის მრავალ თხუზულებაში ანვითარებს

10. მთავარ როლს სპექტაკში მეფე ლირი მსახიობი რამაზი ჩხიკვაძე ანსახიერებს.

## თემის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები

***ც ნობისათვის:*** *ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის თემა ჰქვია.*

***თემის ნიშნებია:*** ***-ი*** *( ვთლ-ი),* ***-ავ*** *(ვხატ-ავ),* ***-ამ*** *(ვსვ-ამ),* ***-ებ*** *(ვაკეთ-ებ),* ***-ევ*** *(ინგრ-ევ-ა),* ***-ობ*** *(ვამაყ-ობ), იშვიათად* ***–ემ*** *(მივც-ემ) და* ***–ოფ*** *(ვყ-ოფ)*

***გახსოვდეს!***

- I თურმეობითში, (ე.ი. ზმნა უპასუხებს კითხვაზე რა უქნია?) ზმნებს გადაჰყვებათ -ავ და –ამ თემის ნიშანები.
  ***სწორია:*** *დაუხატავს, გაუბამს ( და არა: დაუხატია, გაუბია).*
- -ებ თემის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ შეცდომით ობ-ს ხმარობენ.
  ***სწორია: ჭიკჭიკებს, სრიალებს*** *(და არა: ჭიკჭიკობს, სრიალობს).*
- -ობ-ის ნაცვლად ზოგჯერ შეცდომით –ოფ-ს ხმარობენ.
  ***სწორია: ჩავაწყობ, ვამაყობ*** *( და არა: ჩავაწყოფ, ვამაყოფ).*

**სავარჯიშო № 74. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მთელი დღეა გულზე მჩხვლიტავს.
2. ბავშვი თითს ბზიკავს, ფეხს ბრეცავს.
3. ბერი კაცი ბევრ ბალახებს გლიჯავს, ძროხას წველს, რძეს დლვებავს, ცომს ზილავს.
4. პატარა მზეთ-უნახავი ლოყა წითელა ვაშლს კბიჩავს, შაქარს კვნიტავს და როცა ეჩხუბებიან, ხმას კმინდავს.

5. ქალი-შვილები მარწყვს კრეფავენ, ცხვარს კრიჭავენ, ამდენი შრომით ხან იღლებიან და თვალებს იფშვნიტავენ.
6. ეს დიდ-ვაჭარი ხალხს ღლიტავს, ყვლიფავს, მათ სასიცოცხლო ძალებს შრიტავს.
7. იგი წყვიტავს ჩვენთან ურთიერთობას.
8. ქალი ხალიჩას კეცავს, კაცი კაკალს ტეხავს, შეშას ჩეხავს, მერე ღამე ჯდება და ღვინოს ხეთქავს.
9. მამული-შვილი დიდ სახელს იხვეჭავს.
10. მუსიკოსი ყოველდღიურად ხვეწავს თავის ოსტატობას.

**სავარჯიშო № 75. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ბებია-ჩემი საბნებს ბერტყს, მერე კეცს და სახში მიაქ.
2. მოხუცი მოსავალს ლეწს.
3. ნიაღვარი ყველაფერს წალეკს.
4. ქარი მას თმებს უწეწს.
5. ის ჩვენს ბედნიერებას ჭედს.
6. მონადირე მწყერებს ხოცს.
7. თქვენ ბედს დეკანი გადწყვიტავს.
8. ჩემი გული შენს დანახვაზე ძალუმად ფეთქს.
9. ამასობაში ძაღლი ფეხებს გაფშიკავდა.
10. ეს ქალი მთელი დღეა ქვაბებს ხეხს.

*გახსოვდეს!*

- **.დაუშვებელიაავ თემის ნიშნის ხმარება ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნებთან ე.ი. ისეთ ზმნებთან, რომელთაც აწმყოს ფუძეში ე აქვთ და ნამყო წყვეტილში (კითხვა – რა ქნა?) ი:** *გრეხს-გრიხა, ცვეთს-ცვითა, წმენდს-წმინდა.* **მართებული ფორმებია:** *წყვეტს, ბრეცს, გრეხს, კბეჩს, კმენდს.*

- *ცნობისათვის: ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ეწოდება ზმნებს, რომელთაც ფუძის ე ხმოვანი II სერიის მწკრივებში ი-თი ეცვლებათ ( ვკრეფ –ვკრიფე, ვგრეხ- ვგრიხე) და სხვ. ხმოვანმონაცვლეა -ევ და –ენ სუფიქსიანი ზმნებიც: (დავადგენ – დავადგინე).*

***დაიმახსოვრე! ხმოვანმონაცლე ზმნებში ავ თემის ნიშანი არ იხმარება.***

*სწორია: **კრეფს, გრეხს, წყვეტს** ( და არა: კრიფავს, გრიხავს, წყვიტავს).*

- **მიუღებელია ავ თემის ნიშნის ხმარება არახმოვანმონაცვლე (არაფუძედრეკად) ზმნებში. სწორი ფორმებია: *კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეხს, ჭექს, ხეთქს, იხვეჭს, ჩეჩს, იღელს, ყეფს, წერს, ხვეწს. . .*** *( და არა: კვეთავს, კვეცავს, ტახავს, ჩეხავს...)*
- **აუცილებელია ავ თემის ნიშნის ხმარება ზმნებთან: *ბერტყავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ჟეჟავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, ნალეკავს, ნეწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს, კვებავს, ნვეთავს.***

*დაიმახსოვრე!* **-ავ ბოლოსართიან ზმნათაგან იწარმოება საწყისი ფორმა ა ნიშნის დართვით და დაბოლოებად მოუდით -ვა:** *ბარავს - ბარვა, თიბავს - თიბვა, ლესავს - ლესვა, ფეთქავს - ფეთქვა. უსუფიქსოებს მხოლოდ ა აქვთ: ტეხს - ტეხა, ყეფს - ყეფა, წერს - წერა, ხეთქს - ხეთქა.*

*გამონაკლისია **შთანთქმა**, რომლის პირიანი ფორმა ავ სუფიქსიანი იქნება და არა **ამ. სწორია: შთანთქავს, შთაუნთქავს, ჩანთქავს** (და არა: შთანთქამს, შთაუნთქამს, ჩანთქამს).*

**სავარჯიშო № 76. ჩაასწორეთ არასწორი ფორმეში.**

1. ნიკოს გაუხარდა, რომ თამარიც ისე აზროვნობდა, როგორც თითონ
2. ალა-მაჰმად-ხანი დიდიხანია აპირობდა საქართველოს თავს დასხმოდა.
3. მშიერი ბავშვი ყლაპვას ვერ ასწრობდა, ისე ხარბად თქვლეფავდა რძეს.
4. ვანოს მარტო დედის სიტყვები აძლობს, სხვა არაფერიც არ უნდა.
5. ქვეყანა მშვიდობით გადარჩა ამ უბედურობას.
6. ისეთი თვალით შეხედა რომ იაგო ჟროლებამ აიტანა.
7. ერთი მოწიფებული ბიჭი თავს წამოადგა ანზორის.
8. ზღვის ნაპირზე მდგარი ბავშები თითით უღერებენ ჩემზედ.
9. ერბოს ქილაში ჩაასხამთ და როდესაც გენებებათ იხმარებთ.
10. ხეთებმა ბერძნებს ბევრი რამ გონების მონაღვაწები უანდერძეს

**სავარჯიშო № 77. დაასრულეთ შეწყვეტილი სიტყვები.**

1. ყველაფერს ჩანთქ... ბნელი უფსკრული
2. გმირებს და სახელოვან მოღვაწეებს ქვეყნის შემოქმედებითი ძალი ბად...
3. წყლის ხმაური გოგიას ათასგავარ ფიქრს უბად ... და თავში.
4. აღარ შეჰფერ... ბერიკაცს ახაგაზრდული ქცევა.
5. ვაჟკაცს ნამუსის ქუდი ახურ...
6. კაცმა გულში არ უნდა ჩაიდოს ბოროტ.. .
7. გიორგის ჩემთვის დაბადების დღე არ მოულოც.. .
8. სოფელს ირგვლივ საუცხოო ტყეები აკრ.. .
9. თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმე.. .
10. მასწავლებელს უთქვ... , ხვალ საკონტროლო წერა გექნებათო.

**სავარჯიშო № 78. სწორ ფორმას ქვეშ ხაზი გაუსვით.**

კაცთმოყვარება თუ კაცთმოყვარეობა
მრავალგვაროვანება თუ მრავალგვაროვნება
ურჩობა თუ ურჩება
ქვეყნიერობა თუ ქვეყნიერება
ოცნებობა თუ ოცნება
მშვენიერება თუ მშვენიერობა
თვალსაჩინოობა თუ თვალსაჩინოება
თვითმოქმედება თუ თვითმოქმედობა
ბოროტება თუ ბოროტობა
ღვთისმოშიშება თუ ღვთისმოშიშობა

**სავარჯიშო № 79. გახაზეთ სწორი ფორმები.**

აკრია, შეჰფერობს, ცნობილობს, ცნობილობდა, ცნობს, შეჰფეროდა, ოცნებობა, აკრავს, უთანხმობა, უჭირავს, მშვენიერობა, უჭერია, ახურავს, აუბამს, ბოროტობა, უთანხმოება, თვალსაჩინოება, თვითმოქმედობა, თვალსაჩინოობა, ქვეყნიერობა, შესაბრალები, შესაბრალისი, შესაბრალი, შესაბამობა, შესაბამისობა.

## III სერიის მწკრივების წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

*გახსოვდეს!* -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს თემის ნიშნები აუცილებლად გადაჰყვებათ I თურმეობითში (კითხვა *რა მიქნია?*). მართებული ფორმებია: ***დამიხატავს, გამითიბავს, დამიკეტავს, დამირტყამს*** *(და არა: დამიხატია,გამითიბია, დამიკეტია,დამირტყია).*

**სავარჯიშო № 80. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ჩემია არ მომიპარია ურჯულო შენც ხომ იცი რომ არ მომიპარია
2. ეს კაბა ძალზედ მოხთენილად შეუკერია
3. რას გევხარ რანაირათ ჩაგიცვია
4. მას თავზედ თეთრი ქუდი დოუხურია
5. ჩემს დღეში ღვინო არ მისვია
6. შეუბიათ ჩემთვინ ყელზე მძივი და უთქვიათ ნეტა ე ბალღი ბედნიერი იყოსო
7. დედანულიანად გაუხიზნიათ ყველა
8. თვალის ჩინი დაუკარქია და თვალი არ მოუხუჭია
9. კაკლისქვეშ დიდი აკვანი დაუდგია
10. მამა სახლისს მისთვის დიდი ხელფასი დაუნიშნია

**სავარჯიშო № 81 გაასწორეთ შეცდომები:**

1. კაცი მოსდგომიყო ბაღ ბოსტანს და მუშაობდა.
2. მან თხოვა ქალს უკან გაყოლიყო.
3. არავის არაფერი არ შეუნიშნავს ის კი უკან გამოყოლიყო მათ.
4. ქვეყანას ახლად მოსული თეთრი თოვლი დასდებიყო.
5. ცაცხვს რომ არ მიჰყუდებიყო უთუოთ წაიქცეოდა.
6. ნეტა სულ არ გავსჩენიყავ დედაჩემსა

7. რა ვიცოდი რომ ეს დედი—ჩემის ხერხი იყო, რომ წერაკითხვა შემყვარებიყო.
8. ასეთი რამ აქამდე არსად მინახია და არც შენ გინახავ ალბათ.
9. ნიკოც ძალიან უნდოდა დიდი ხნის უნახავ მეგობარს აეროპორტში დახვედრიყო.
10. რუსთავში უცხოპლანეტელები უნახიათ.

*გახსოვდეს:*

- ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები II თურმეობითში (რა მექნა?) უნდა იხმარებოდეს -ოდ დაბოლოებით. მართებული ფორმებია: **გავ(ს)ჩენოდი, დავ(ს)დგომოდი, გავზრდოდი** და არა: გავსჩენიყავ, დავსდგომიყავ, გაზრდიყო.
- I თურმეობითში (რა მიქნია?) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I სუბიექტური პირის ფორმაში **ვ** თავსართიც უნდა იყოს წარმოდგენილი და **„ვარ"** მეშველი ზმნაც. სწორია: **გავზრდილვარ, ავღელვებულვარ** (და არა: გაზრდილვარ, აღელვებულვარ). II თურმეობითში (რა მექნა?) კი **ვ** თავსართი წარმოდგენილია მიმღეობური ნაწილის წინ, მაგრამ იგი არა აქვს მეშველ ზმნას. სწორია: **დავმდგარიყავი, ვყოფილიყავი** ( და არა: დამდგარვიყავი ან დავმდგარვიყავი, ყოფილვიყავი ან ვყოფილვიყავი).

## სავარჯიშო № 82. გაასწორეთ შეცდომები.

1. ის ცთილობდა მალე გაესაღებია თავის საქონელი.
2. უჩემოთ გინდოდათ ცოლ-ქმარს ეს სუფრა ჩაგეტარებია
3. თავი არ უნდოდა შეეწუხებია.
4. ცის ფერი კაბა უკვე გადაებრუნებია.
5. და ძმას ცეცხლი უკვე გაეჩაღებია.
6. ნათიას თაროებზე წიგნები კოხტად დაელაგებია.
7. საჭირო გახდა წითლათ გაეფერადებია ყველაფერი.
8. შენ შვილს შენზე დიდი სახლი აეშენებიოს.

9. მარეხის სახლი უკვე დაელაგებინა, ოთახები დაეხვეტნა, ჭურჭე-
ლი დაერეცხნა და იატაკიც მოეპრიალებია.
10. მღებავს კედლები გაელესა და შეეთეთრებია.

გახსოვდეს: III სერიის II თურმეობითსა (რა მექნა?) და II კავშირებითში (რამექნას?) უნდა ვიხმაროთ ფორმები: დაელაგებინა – დაელაგებინოს, გაეფერადებინა – გაეფერადებინოს. არ არის სწორი: გაეფერადებია, დაელაგებია. . .

**სავარჯიშო № 83. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მე მას გადავაწყვეტიებ რომ აღარსად არ წავიდეს.
2. მაღალ მაღალმა ვაშკაცმა ყუთი გადააბრუნებია.
3. არჩილიმ წიგნები თავის ოთახში აატანია და მაგიდაზე დააწყობია.
4. ფეხ საცმელები შევახვევიე და ქალაქში წავაღებიე.
5. კაცებმა სახლს სულ ჭრიჭინ ჭრიჭინი დააწყებიეს.
6. ჯარის კაცებს იარალი სწრაფათ დააყრევიეს.
7. მეჯინიბეს ჩალის ფერი ცხენები შეაბმევიეს.
8. ქალბატონმა სახლი მოახლეს დაალაგებია, ხოლო მისმა შვილებმა საწყალ ბიჭებს თელი დღე ყანა აბარვიეს.
9. ბევრი კეთილი საქმეები გავაკეთებიე.
10. მოსამსახურეებმა ხელი ყველას დააბანიეს.

*გახსოვდეს! შუალობითი კონტაქტის ფორმებში -ინ და -ევინ მაწარმოებელი სრულად უნდა დაიწეროს.*
*სწორია: აწერინებს, აბარვინებს, აშლევინებს, აკვლევინებს.*
*მცდარია: აწერიებს, აბარვიებს, აშლევიებს, აკვლევიებს.*

# რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში

*<u>ცნობისათვის:</u> ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში ორი ან სამი ერთნაირი ბგერის თავმოყრა გამოწვეულია ზმნისწინისეული და ძირისეული ხმოვნების, გვარისა და ქცევის ნიშნების თავმოყრით (ააშენებს, მიიპარება, შეეგება, მშვიდდება, მოოქვილი, მმართველი, დააარსა)*

**სავრჯიშო № 84. გაასწორეთ შეცდომები.**

1. გაზაფხულმა ახმაურა ღელეები, ატირა პატარ პატარა წყაროები, ააორთქლა დედა-მიწა.
2. მიხომ დაარსა ახალი პარტია.
3. საქმე მშვიდათ უნდა გაკეთო.
4. ამდენმა ნერვიულობამ ის დაავადა.
5. დედა-შვილმა გაათკეცეს მისი მოვლა.
6. ამ სიყვარულმა ის გაადამიანა.
7. როგორ მიზლაზნება ეს ოჯახქორი?
8. ეთერის ძალიან უნდოდა რომ ეს მესამე ოთახიც შეერთებინა.
9. რა უხეიროთ მიდიმოდიოდა თავის მოქროვილი ქამარით.
10. მან თავის უაზრო საქციელით მას ცხოვრება გაუარესა.

**სავარჯიშო № 85. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ელენემ თავისი ამგვარი საქციელით ვახტანგის ქორწილი ჩააშხამა, გაუბედურა და გაუგემურა.
2. დედამ შვილს კაბა გაუთოვა.
3. მას ჯორი ისე გაურჩდა რომ ფეხით მიყვა.
4. დედა ჩემი როცა მხედავს მშვიდება.
5. ქორი ჩემ თვალწინ დიდება და იძაბება.

6. ის მუშაობს სამართველოში, მართველია.

7. სად არის ჩემი დამალავი ანუ ის ვინც მე დამალა.

8. ამ ბავშვმა ყველაფერი დალეწა, ნანდვილი მტვრეველი გამოვა

9. ეს არის მტრის მუსვრელი?

10. მაჩვენედ პაპა ჩემის ცხოვრების გამრუდებელი.

11. ეს ქუჩა არის ჩვენი დედა-ქალაქის დამშვენებელი

12. ვინ არის ამ ბალის გამწვანებელი?

13. მზე ეთხოვებოდა სვეტიცხოველის მოქროვილ გუმბათებს.

14. შებინდა, ქუჩაში ფარნები აანთეს.

15. დავითს ყურთასმენაც და მხედველობაც საგრძნობლათ გაუმჯობესდა.

## ვ-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში

*დაიმახსოვრე!*

- **ვ** თანხმოვანი დაცულ უნდა იქნეს **ზმნურ** ფუძეთა თანხმოვნებს შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით (ბ, ფ, პ, მ) დაწყებული სუფიქსი მოსდევედეს: **მიწვდომა, მოკვდომა,..., დამხვდური, მხატვრული...,** **ამოვაძვრე, დავაძვრე, გაძვრება...** (მაგრამ **ამოძრობა, ამოსაძრობი, ამოძრომა, შეძრომა, საძრომი...,** და არა: ამოძვრომა, ამოძვრობა, ამოსაძვრობი, საძვრომი...)
  სწორია **წვრთნის** და არა წრთვენის.
- **ვ** თანხმოვანი დაცული უნდა იქნეს უწყვეტლის მწკრივის (კითხვაზე რას ვშრებოდი?) **-ოდ** და მეორე კავშირებითის ( კითხვაზე რა ვქნა?) **-ო** სუფიქსების დართვისას, თუ **ვ** ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს, ან **ვ** სუფიქსისეულია და თანხმოვნებს შორისაა მოქცეული: **იწვოდა, იგვოდა, ილტვოდა, ეკვროდა, იძვროდა, ილვწოდა.** მაგრამ გვაქვს: ებრძვის – ებრძოდა, ესვრის – ესროდა, ეტყვის – ეტყოდა, უძლვის – უძლოდა, დაისეტყვა – დაისეტყვოს, იელვა – იელვოს..

- ვ თანხმოვანი შენარჩუნებულია **-ევ** სუფიქსთან ფუძედრეკად ზმნათა წყვეტილის მწკრივის (კითხვაზე რა ქნეს?) III პირის მრავლობითში. **სწორია: შეერივნენ, შეესივნენ, შეეჩვივნენ, დაეწივნენ, მოეხვივნენ...**(და არა შეერიენიენ, შეესიენ, შეეჩვიენ, დაეწიენ, მოეხვიენ ...)

### სავარჯიშო № 86. გაასწორეთ შეცდომები.

1. ძალიან ძნელია ვარსკვლავის მონდომა ცაშით.
2. ჩვენ გუნდს გამოცდილი მწრთვნელი წრთვნის.
3. ამ ქალაქში ჭრელი მოსახლეობა გვხდება.
4. იქ დამხდური ვერაფრით ვერ გაბედავს თქვენ უდიერათ მობყრობას.
5. მამიდა ჩემი მხარტული კითხვის დიდოსტატია.
6. ამოვაძრე ჩემი ქახალდები დასტა დასტათ.
7. რაღა მექნა დავიძრე ყველა კბილები ერთდღეს.
8. გაძრება გამოძრება და გაუჩენელს გააჩენს.
9. ზანგები შეერიენ თეთრ კანიანებს.
10. კალიები შეესიენ ბაღ ვენახებს.

### სავარჯიშო № 87. გაასწორეთ შეცდომები.

1. ეს დარბაზები ორ დღეში ერთჯელ იგოდა.
2. ეს დედა-კაცი სულ მისკენ ილტოდა.
3. სახლკარი საცოდავათ იწოდა ცეცხლი ბრიალებდა.
4. ბავში თავსაფარ წაკრულ ქალს ეკროდა
5. შ. რუსთაველი მე-XII-ე საუკუნეში იღწვოდა
6. ვ. გორგასალი სპარსეთს ებრძვოდა.
7. ჩემი შვილისშვილი იმათ თოფს არ ესვროდა.
8. თავგზა არეულ ხალხს წინ თეთრ წვერა მოხუცი უძღვოდა.
9. ნეტა არ დეისეტყოს წელს ბაღ-ვენახები.
10. იქნება იელოს რომ რამე დევინახო.

*გაითვალისწინეთ: თანხმოვანი ვ შენარჩუნებულია წყვეტილის მწკრივის (კითხვაზე რა ვქენი?) მხოლობითი რიცხვის I და II პირისა და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც პირველ თურმეობითში (კითხვაზე რა მიქნია?) ვ ბგერას წარმოგვიდგენენ ფუძეში: ვაწყობ – დავაწყვე, დავაწყვეთ, დააწყვეს, დამიწყვია, ვაცხობ – გამოვაცხვე, გამომიცხვია; ვანდობ – მივანდვე, მიმინდვია. მაგრამ: განვაგრძობ – განვაგრძე – განმიგრძია; ვამკობ – შევამკე – შემიმკია ; ვაქრობ – ჩავაქრე – ჩამიქრია; ვაშრობ – გავაშრე —გამიშრია; ვაცხრობ – დავაცხრე – დამიცხრია.*

## სავარჯიშო № 88. გაასწორეთ შეცდომები.

1. აი, უკვე რამდენი აგურები დავაწყე.
2. შუა ღამისას მათ დააწყეს გეგმა რაფრათ გაქცეულიყვნენ.
3. მე ბალიში დავალტე ცრემლებით.
4. თვითოეული ვაშკაცი დავათრე და ბარბაცბარბაცით გაუშვი სახში.
5. გუშინ წინ გემრიელგემრიელი ნამცხვრები გამოვაცხე.
6. არა ბატონო ეს ტორტი მე არ გამომიცხია.
7. ჩემი თვალის ჩინი მას მივანდე.
8. შენთვის მომინდია რაც გინდა ის კითხე.
9. ჩავაქვრე სანთელი ოთახში ბნელოდა.
10. გავაშვრე სარეცხი ქარი არ ჰქროდა.

*არ დაგავიწყდეს!*
**-ავ და -ევ ბოლოსართიან ზმნებთან შუალობითი კონტაქტის ფორმებში ვ თანხმოვანი არ იკარგება. სწორია: აბედვინებს, ახატვინებს, აკვლევინებს,** ( და არა: აბედინებს, ახატინებს, აკვლეინებს).

## სავარჯიშო № 89. გაასწორეთ შეცდომები.

1. რას აბედინებს ამ თითის სიგრძე ბავშს.
2. მასწავლებელი მთელი დღე ამ ხეს ახატინებდა ბავშებს.
3. ძაან ბევრს ამუშავებს გლეხ კაცებს მიწასაც აბარიებს, ყანასაც

ათესინებს და ვენახსაც ასხვლევიებს.

4. სახლისთვის საჭირო ფიცრებს სახერხ ქარხანაში ახერხიებენ.
5. საქორწილო კაბას დედას შეაკერიებს და მოაქარგინებს.
6. ბიძა-შვილები მზეთ-უნახავს დაეწიენ და სახში დააბრუნენ.
7. თანა-მშრომლები მართველს მოეხვიენ და პატიება თხოვეს.
8. ასეთი შვილი დედას თავს მოაკვლევიებს.
9. ამ კარებს თეთრათ შევალებიებ.
10. ეკლესიის კედლები შარშან მოახატინეს ერთერთ ცნობილ მხატვარს.

## რიცხვში მონაცვლე ზმნები

*გახსოვდეს*:

- ერთზე ითქმის **ჯდომა,** მრავალზე **სხდომა.**
  *მე ვზივარ, ჩვენ ვსხედვართ.* თუ სუბიექტი კრებითი სახელია, მაშინ მრავლობითის ფუძე მხოლობითის ფორმით უნდა ვიხმაროთ: მაგ: ***ხალხი დასხდა***.

- ერთზე ითქმის **ვარდნა**, მრავალზე **ცვენა (//ცვივნა)**.
  *ბუზი წყალში ჩავარდა, ბუზები წყალში ჩაცვივდნენ.*
  მრავლობითის ფორმაა საჭირო მხოლობითში მაშინ, როცა სუბიექტად კრებითი სახელია (ხალხი) ან ისეთი სახელი, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება (მაგ: ფქვილი, ნაცარი, ფეტვი და სხვა). *ხალხი მდინარეში ჩაცვივდა, ივანეს თვალში მტვერი ჩაუცვივდა.*

- ერთზე ითქმის **კვდომა**, მრავალზე – **ხოცვა**.
  *ის კვდება, ისინი იხოცებიან.* ზოგჯერ "ხოცვის" ადგილზე გვხვდება "ამოწყდომა "*( მთელი სოფელი ამოწყდა)*

- თუ სუბიექტი მხოლობითშია, ითქმის **გდება**. თუ მრავლობითში – **ყრა.** *ქვას ჩავაგდებ, ქვებს ჩავყრი.*

- **ყრა** ფუძე გამოიყენება აგრეთვე, როცა ობიექტი კრებითი სახელია, ან ისეთი სახელი, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება. მაგ: *ალაზანში ძროხას ვყრიდით, ქათმებს საკენკი დავუყარე.*

- **მოკვლა** ფუძე ობიექტის მხოლობით რიცხვს აღნიშნავს ხოლო **დახოცვა** – მრავლობითს: *მოვკალი მგელი, დავხოცეთ მგლები.*

- ერთ ობიექტზე ითქმის **სმა,** მრავალზე **სხმა.** მაგ: *ბავშვი ნავში ჩავსვი. ბავშვები ნავში ჩავსხი.*

- **სხმა** შეიძლება სხვა ზმნასაც შეენაცვლოს, ოღონდ სხვა შინაარსით (ერთზე ითქმის **მოიბა** და ბევრზე **მოისხა**), ან **დაცემა** — დასხმა ( *თავს* **დაეცა** *ერთი, მაგრამ თავს* **დაესხა** *მრავალი. ის თავს დაეცა მტრის ჯარს, მაგრამ მას თავს დაესხნენ თათრები).*

- ერთმანეთს ენაცვლება აგრეთვე: **ტეხა** და **მტვრევა** *(გატეხა ჭიქა, დაამტვრია ჭიქები);* **აღება** და **აკრეფა** *(აიღო ძირს დავარდნილი წიგნი; აკრიფა ძირს დაცვენილი წიგნები);* **გაგდება** და **გარეკვა** *(გააგდო ძაღლი, მაგრამ გარეკა ცხვარი).*

### .სავარჯიშო № 90. გაასწორეთ შეცდომები.

1. მე და ნინო დილიდან აქ ვზივართ.
2. მამაკაცები მორებზე ჩამოჯდენ.
3. ხალხი დაჯდა. ბავშვებიც გვერდით მიუჯდენ ხანში შესულ მამაკაცებს.
4. დედა-შვილი ოთახის კუთხეში დაჯდენ.
5. და-ძმას ხელიდან გაუვარდა მთელი ფული.
6. დედა-შვილს მაშინვე ბავშვების გაგდება მოუნდათ.
7. დაძახილზე სახლიდან ქალები გამოვარდნენ.
8. მხოლოდ ერთი ლამაზ ფრთება გუგული მოკვდა, კუდმაკრატელა მერცხლები კი ყველანი მოკვდნენ.
9. ულვაშ გაპარსული კაცები და თმა გაშლილი ქალები სიცილით

მოკვდნენ, როცა მათ გვერდით თავ გადაპარსული ბოვშები დაჯდნენ.

10. ბიჭები სულ მოუთქმელად გავარდნენ რო ბევრი შეშები მოეტანათ ჭადის გამოსაცხობათ.

**სავარჯიშო № 91. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მე და დედა ჩემი სამზარეულოში დავჯექით, ბაბუა-ჩემი და ბებია ჩემიც გვერდით მოგვიჯდნენ და საამოთ ვისაუბრეთ.
2. თუ ასე ცუდათ მოიქცევით შიმშილით მოქკლავთ და სახლიდან გაგადებთ.
3. რატო დააგდე აქ ეს ფურცლები
4. მაღალ მაღალ კაცს ჯოხი შემთხვევით გაუვარდა ხელიდან ქუდები კი თითონ გადაჰყარა.
5. დედა შვილობამ, დასვი ეგ პირ-ტიტველა ბიჭები და სერიოზულათ ელაპარიკე.
6. ეილე ბიჭო ეს წიგნები და წეიკითხე თვარა მარტო ღვინოს სმა და ჭიქების გატეხვა არ გეყოფა.
7. რამ ჩაგაგდებია გაურეცხავი ქათმები მოსახარშათ? ან ვინ დაამტვრია ეს თეფშები ასე უსულ-გულოთ
8. ეზოში გაუსხლავი ხეები საცოდავათ ეგდო.
9. როდის ჩავარდენ ისინი ასეთ გაჭირვებაში?
10. ბავშვები რო ნავში ჩავსვით არ ცივოდა.

# IX. სახელზმნა

## საწყისი

***ცნობისათვის:*** ისეთ სიტყვას, რომელსაც სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც, სახელზმნა ჰქვია. სახელზმნა ორგვარია: **საწყისი და მიმღეობა**.საწყისი წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი *( წერა, შენება, ხტომა)* , ხოლო მიმღეობა — როგორც ზედსართავი სახელი ( აშენებული, დაუხატავი, დაჭრილი).
საწყისის მაწარმოებელია ბოლოსართი -ა *(ჭრ-ა, ხატვ-ა),* ზოგ საწყისს ა ნიშნის წინ უჩნდება -ოლ, -ომ, -ნ ბოლოსართი *( ქრ-ოლ-ა, დგ-ომ-ა, თხოვ-ნ-ა).*
გვაქვს სხვაგვარად ნაწარმოები საწყისებიც: *ლოდინი, ტირილი, სიხარული, ქუხილი...*

საწყისის წერის დროს გავრცელებულია შემდეგი სახის შეცდომები:

- უთემისნიშნო ზმნებში უმართებულოდ გაჩენილი -ავ თემის ნიშნის ვ თავს იჩენს საწყისშიც. მაგ. ჩეხს/ჩეხ**ავს** > ჩეხ**ვ**ა, ტეხს/ტეხ**ავს** > ტეხ**ვ**ა. და ა. შ. ***სწორი ფორმებია: ჩეხა, ტეხა, ყეფა, ქროლა და მისთ.***
    - *შენიშვნა:* **რეცხავს** ზმნისთვის საწყისის სწორი ფორმაა **რეცხვა** და არა რეცხა.
- **სიტყვები: ქეიფი, ღალატი, ყოყმანი, შეცდომა, ლოდინი და სხვ. თვითონ საწყისებია და არ საჭიროებენ თემის ნიშნის დამატებას.** ამიტომ უმართებულო ფორმებია: ქეიფობა, ღალატობა, ყოყმანობა, შეცდომილება, ლოდნა და ა. შ.
- ზმნებისთვის **არწევს, შეეჯიბრება, შეახრჩოლებს** საწყისი არის **რწევა, შეჯიბრება, შეხრჩოლება** და არა: რწება, შეჯიბრი, შეხრჩოლვა.
- **წვრთნის** ზმნის საწყისია **წვრთნა** და არა გავრცელებული წრთვნა

### სავარჯიშო № 92. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას.

რეკვა, აჩეხვა, წვრთვნა, გადარჩომა, ჩარჩენა, შობვა, აჩეხა, გადარჩენა, წვრთნა, ჩარჩობა, ლოდინი, მუდარა, შეჯიბრება, წრთვნა, ლოდნა, შეჯიბრი, მუდარება, რეცხვა, რწევა, ფრენა, ფრინვა, რწება, რეცხა, რეკა, შეხვეწება, შეცდომილება, ყოყმანობა, ღალატი, ქროლა, ქეიფი, ქეიფობა, ქროლვა, ღალატობა, ყოყმანი, შეცდომა, შეხვეწნა, შეხვეწნა.

### სავარჯიშო № 93. გაასწორეთ შეცდომები.

1. ერთ დღეს მოინდომა ნახევარი ჰექტარი ტყის აჩეხვა.

2. გადავრჩი მარა რათ გინდა ვაი ამ გადარჩომას.

3. ლოდნა დაუწყე, მეინტერესებოდა რას მეტყოდა.

4 ონისემ მუდარებით შეჰხედა დათას.

5. ეკლესიაში მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა.

6. კალია სხვადასხვა გზას ირჩევს ფრინვის დროს.

7. ირაკლის ამხანაგებს იმ ფულით ქეიფობა გადაეწყვიტათ.

8 იმ დღეს ჩემ ყოყმანობას ბოლო მოელო.

9. დიდ ინტერესს იწვევს შეჯიბრი ფეხბურთში რომელიც ხვალ დაიწყება.

10. შეხვერწებაზე არ მოგახსენებ· შენი ჭირიმე, ჩვენ ვის უნდა შევეხვეწნეთ?

**სავარჯიშო № 94. გაასწორეთ შეცდომები.**

1.ქარის ქროლვა ტემპერატურათა სხვაობით არის განპირობებული.

2. ღირსეული მეუღლის პოვა ადვილი არ არის, მაგრამ ზურაბმა მაინც იპოვნა იგი.

3. ხომ იცი, შეხვეწებას არ დაგიწყებ.

4. ამდენმა შრომამ, წრთვნამ და წვალებამ ბოლოს მაინც გამოიღო შედეგი.

5. დაღალვა რას მიქვიან, საქმე ხომ გავაკეთეთ, ეს არის მთავარი.

6. მიჯნურის წინ ტრთოლვა და კრთომა განსაკუთრებით ახასიათებთ სარაინდო ეპოსის პერსონაჟებს.

7. მტერობა და შუღლი არის ყველა უბედურობის წყარო.

8. ჩვენს ქალაქში გახშირდა უცხოელების ცარცვა-გლეჯვა.

9. თხოვა ძალიან უძნელდებოდა, მაგრამ ბოლოს ნანამ მაინც სთხოვა რეზოს დახმარება.

10. ახლა ყოყმანობის და ლოდნის დრო არ არის.

# მიმღეობა

***ცნობისათვის:*** მიმღეობა ჰქვია ზმნის უღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისე გამოიყენება, როგორც ზედსართავი სახელი: *დამწერი, დასაწერი, დაწერილი, დაუწერელი...*

გამოყოფენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის მიმღეობებს. **მოქმედებითი გვარის მიმღეობა** მიუთითებს მოქმედ საგანზე. მისი მაწარმოებელია **მ-** თავსართი ან **მ-ელ და მა-ელ** თავსართ-ბოლოსართი *(მ-კერავი, მ-შენებ-ელ-ი, და-მა-არსებ-ელ-ი)*. ორიოდე მიმღეობა ნაწარმოებია **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**) თავსართ-ბოლოსართით *(მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი;* ამგვარ მიმღეობებს არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული). შეცდომების დიდი ნაწილი მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსების უმართებულო ხმარებაზე მოდის. სალიტერატურო ნორმაა **მ-ელ** თავსდართ-ბოლოსართით ნაწარმოები მიმღეობის ფორმები. სწორია: **შე-მ-მართვ-ელ-ი** და არა შემმართავი, ან **მო-მ-ჯადოებ-ელ-ი** და არა მომჯადოები, **მ-შველ-ელ-ი** და არა მშველი, **შე-მ-ცოდვ-ელ-ი** და არა შემცოდავი.

- შენიშვნა: რამდენიმე შემთხვევაში ნორმად მიჩნეულია მ- თავსართიანი მიმღეობები. **სწორია: მცოცავი, შემგნები, შემტყობი, სულთამხუთავი** ( და არა: მცოცველი, შემგნებელი, შემტყობელი, სულთამხუთველი).

**ვნებითი გვარის მიმღეობა** სამოქმედო საგნის მდგომარეობას გამოხატავს (აშენებული, მოტანილი, დასაწერი). ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმები იწარმოება:ა) თავსართის დართვით (**ნა**-კეთები, **უ**-ნახავი, ნა-სა-ღები);
ბ) ბოლოსართის დართვით (დაწერ-**ილ**-ი, გალექს-**ილ**-ი, დახატ-**ულ**-ი);
გ) თვსართ-ბოლოსართით ( გა-**უ**-კეთებ-**ელ**-ი, გა-**სა**-კეთებ-**ელ**-ი, და-**მ**-ჭკნ-**არ**-ი). გავრცელებულ ილ და ულ ბოლოსართიან პარალელურ ფორმათაგან უმართებულოა **-ულ** ბოლოსართიანი ფორმები: **სწორია : გალექსილი, აბურძგნილი, შეფუთნილი** ( და არა: გალექსული, აბურძგნული, შეფუთნული).

**საშუალი გვარის მიმღეობას** აწარმოებს **მ** - თავსართი და თავსართ-ბოლოსართები: **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**), **მ-არე** (დისიმილაციით **მ-ალე**), **მო-ე** ( მ-ცურავი, მ-ბრწყინავი, მ-ძინ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-დუმ-არ-ე, მ-ხურვ-ალ-ე, მო-ბიბინ-ე, მო-თამაშ-ე).

***გახსოვდეს!***

- რიცხვში მონაცვლე ზმნათა მნიშვნელობა გადმოჰყვებათ მათგან ნაწარმოებ სახელზმნებსაც. **ამიტომ ერთზე ითქმის დამჯდარი, ბევრზე — დამსხდარი.** *( სკამზე ჩამომჯდარი კაცი, მაგრამ ჩამომსხდარი კაცები)*;

  **ერთზე ითქმის გადაგდებული, ბევრზე — გადაყრილი** *(მდინარეში გადაგდებული ქვა, მაგრამ გადაყრილი ქვები);*
  **ერთზე ითქმის ჩავარდნილი, ბევრზე — ჩაცვენილი** *( გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი, მაგრამ გაჭირვებაში ჩაცვენილი ადამიანები).*

- **მ-ზე დაწყებული ზმნისაგან მ თავსართით ნაწარმოებ მიმღეობაში ორი მ მოიყრის თავს** ( მ-მართველი, და-მ-მორჩილებელი).

- **ზოგიერთ სახელზმნას ზმნისწინის ძველი და ახალი სახით ხმარება განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს:** წასული (ბავშვი) — წარსული (დრო), აღზრდილი (ბავშვი) —აზრდილი (ხე) ...

- **ზოგიერთ მიმღეობას გა- და და-** ზმნისწინით გარჩეული აქვს ერთია საგანი თუ ერთზე მეტი: *გათლილი (ფიცარი) — დათლილი (ფიცრები), გაგ ზავნილი (წერილი) — დაგ ზავნილი (წერილები), გარეცხილი (თეფში) — დარეცხილი (ჭურჭელი)..*

- ***სწორია: გავსებული** (და არა გავსილი), **დაღლილი** (და არა დაღალული), **ნასამართლევი** (და არა ნასამართლები), **შეცივებული** (და არა შეცივნული), **გამომშრალი** (და არა გამოშრობილი), **დაკიდებული**( და არა დაკიდული), **მოუსყიდველი** ( და არა მოუსყიდავი), **შესრულებული** და არა შენასრულები), **ნაჩხუბარი** ( და არა ნაჩხუბი), **დამდურებული** ( და არა ნამდურავი), **შეცოდებული** ( და არა შენაცოდი), **საეჭვო** (და არა საეჭველი), **სასაცილო** (და არა საცინელი), **მოსატყუებელი** ( და არა: მოსატყვილებელი ან მოსატყუარი), **საცოდნელი** ( და არა საცოდნი, საცოდნარი ან საცოდინარი)...*

**სავარჯიშო № 95 გაასწორეთ შეცდომები.**

1. რა გაქს მოსარიდი ადექი და ყველაფერი უთხარი.
2. მაგდანამ ყველას თავი დაუკრა და დადგა მოსამართლის წინაშე საკითხავად მომზადილი.
3. ვინ არის შენი მოსატყვილებელი, შენი მოსატყუარი კბილი დიდი ხანია გამოვიცვალე.
4. მათთან ერთად არსენაც კვნესის, რათგან ბედს ყველაზე მეტი საკვნესარი მისთვის მიუთვლია.
5. პეტრემ საწვიმო მოსასხამის ყაბალახი ჩამოიხურა.
6. მალხაზიმ სწორეთ სანატრო საქმე გამიკეთა.
7. ცოდვა გამხილებული სჯობს.
8. ჩემი აზრით, ეს საქმე არ არის მოსაწონარი.
9. საცინელი რა მჭირს? სატირალად მაქს საქმე.
10. იქნებ ისეთი ვინმე გიყვარს, ვინც შენი საკადრო არ არა?

**სავარჯიშო № 96. გაასწორეთ შეცდომები.**

1. საქართველოს დამჩოქებელი და დამორჩილებელი მტერი ძნელი მოსაძებნია.
2. ბოთლები გავსილი იყო ცივი ღვინით.
3. განსაშჯელი უარყოფს კაკაბაძეს მკვლელობას.
4. ქოხიდან ოდნავ ბჟუტავი სინათლე გამოდიოდა.
5. ქუჩაში მთავრობის სასახლიდან გადმოვარდნილი პროკლამაციები ეყარა.
6. ქუჩაში დაგდებული სიგარეტის ნამწვავები ჩვენს უკულტურობაზე მეტყველებს.
7. მის მაგიდაზე კოხტად დათლილი ფანქარი იდო.
8. ამ საბრალოს დამარხავიც აღარ დარჩა
9. მორებზე ჩამომჯდარი ბავშვები სალაშქროდ ემზადებოდნენ.
10. რა აბურძგნული დადის ეს ჩვენი მეზობელი.

***დაიმახსოვრე!*** კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან რიცხვში მონაცვლე ზმნების მრავლობითის ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობის ფორმები იხმარება.

**სწორია: დამსხდარი ხალხი, გადაყრილი ნაგავი** *და არა: დამჯდარი ხალხი, გადაგდებული ნაგავი.*

**სავარჯიშო № 97. გახაზეთ სწორი ფორმები.**

შეცოდებული, მონაბარი, შენაგდები, შეშფოთებული, შეგდებული, შენაშფოთი, შენაცოდი, მობარებული, შენაძრწოლი, შეძრწუნებული, შენაგლეჯი, ჩრდილი, ნაჩრდილები, დამდურებული, შესრულებული, შენასრულები, მოუსყიდველი, ნაქმნარი, საეჭველი, ნაქმნი, მოუსყიდავი, საეჭვო.

პარალელური ფორმებია: დამმშვენებელი //დამამშვენებელი, გამმრუდებელი // გამამრუდებელი, გამმწვანებელი //გამამწვანებელი.

**სავარჯიშო № 98. ჩასვით სწორი ფორმა.**

1. სხვენზე (შენაგდებ/შეგდებულ) ძველ სკივრში რაღაც ტანსაცმელი მაქვს შენახული.
2.(შენაძრწუნები/შეძრწუნებული) დედაკაცი დღისითაც ვერ რჩებოდა სახლში მარტო.
3.ბიჭს (აბურძგნილი/ აბურძგნული) თმა ჰქონდა.
4.ცოდვა ( გამხილებული/ გამხელილი) სჯობიაო.
5.ქალს ღრმა ფიქრისაგან (შეჭმუხნილი/ შეჭმუხნული) შუბლი ოდნავ გაეხსნა.
6.ეს მოთხრობა ჩემ მიერაა (გალექსული / გალექსილი).
7.გოგი სავარძელში იჯდა, ფეხები შალით ჰქონდა (შეფუთნილი/ შეფუთნული).
8.კარგად (გამოცხობილ /გამომცხვარ) პურს არაფერი სჯობია.
9.კედელი კარგად არ იყო (გამოშრობილი/ გამომშრალი).
10.ჩვენი ინსპექტორი (მოუსყიდავი /მოუსყიდველი) კაცია.

**სავარჯიშო № 99. ჩასვით სწორი ფორმა.**

1.ვასო დიდი ხანია თავის მეზობელზე (დამდურებული / ნამდურავი) იყო.
2.მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა (შენასრულები/ შესრულებული) სამუშაოს ხარისხზე.
3.აკაკიმ დაინახა კერიაზე (დაკიდებული/დაკიდული) ჯაჭვი.
4.ტყეში (შეჯგუფული/შეჯგუფებული) მგლები მზის ამოსვლას ელოდნენ.
5.აუზი კამკამა წყლით არის (ავსილი/ავსებული)

6.ამ გრძნობით ვართ ყველანი (აღვსებული/აღვსილი)

7.არსაკიძე (მოუწვევლად/უწვევლად) შეივლიდა ხოლმე კოლონკელიძის სახლში.

8.კაჭკაჭი შორს (გაიტყუილებდა/გაიტყუებდა) ქათმებს.

9.მალე მთელმა ტანმა დაუწყო (ქავება/ქავილი)

10.ხის ტოტზე (შესკუპებულმა/შესკუპულმა) მამალმა ხმამაღლა დაიყივლა.

**სავარჯიშო № 100. ჩასვით სწორი ფორმა.**

1.(უკურნალი/ უკურნებელი) სენის წამალი ღვინოა.

2.ახალგაზრდა კაცი (უკურთხ/უკურთხებელ) მიწაში გდია.

3.საიდანღაც (შეუწყვეტელი/შეუწყვეტი) სიმღერა ისმოდა.

4.ჩემი გადაწყვეტილება (ურყევი/ ურყეველი) იყო.

5.ამქვეყნად (უცოდველო/უცოდველი) არავინაა.

6.კორუფციას მაშინ დავამარცხებთ, როცა (მოუსყიდავი მოუსყიდველი) მინისტრები და ჩინოვნიკები გვეყოლება.

7.ეს საქციელი სრულიად (შეუფერები/შეუფერებელი) იყო მითვის.

8.ეს სულაც არ არის (შეუძლები/ შეუძლებელი).

9.(შეუმჩნეველი/შეუმჩნევი) არავინ დარჩენია.

10ქეთო მეტად (მოურიდავი/მოურიდებელი) დედაკაცი იყო.

# X. ზმნიზედები

***ცნობისათვის:*** ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელ სიტყვას, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა და სივრცეში, ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა მიზნით ხდება იგი, ან კიდევ, რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი.

- ზმნიზედები ქართულში მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმათაგან მიიღება. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის **თ** დაბოლოებით გაფორმებულია პირველადი ზმნიზედები (წინათ , ზემოთ, ქვემოთ). **დ**-ზე დაბოლოებული ზმნიზედები ნაწარმოებია ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან (თეთრად, ბევრად, კარგად, ძველად).

*დაიმახსოვრე!*

- მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან მიღებული ზმნიზედების ბოლოს **თ** უნდა დაიწეროს:
  სწორია: **წინათ, ქვემოთ, ზემოთ, აქეთ, იქით, გარეთ, უკეთ (შემოკლებული სახეა სიტყვისა უკეთესად,) მარცხნით (მარცხნივ), მარჯვნით (მარჯვნივ), ეგრეთ, მხრით (მხრივ), უნებლიეთ და სხვ.** (და არა: წინად, ქვემოდ, გარედ,უნებლიედ... ).

- ზმნიზედები, რომლებიც ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგანაა მიღებული და მიუგებს კითხვაზე როგორ? – უნდა დაიწეროს **დ**ონით:
  **სწორია: კარგად, ჩუმად, უცბად, წესიერად, უქმად, ბლომად, გაისად, მთლად, ადვილად და სხვა.**( და არა: კარგათ, ჩუმათ, გაისათ...).

  **სწორია ალბათ** (და არა ალბად).

## სავარჯიშო № 101. გახაზეთ სწორი ფორმა.

აგრემც / ასემც
ამაღამდელი / ამეღამდელი
არასგზით / არაგზით
აქა-იქ / იქა-აქ
აქეთ / აქით
ახლავე / ეხლავე
იქედან / იქიდან
როგორ / რაგვრად
სადამდი / სადამდე
საიდამ / საიდან
საიდანმე / საიდგანმე
მანამ / მინამ
წინათ / წინად / წინედ
ამაღამ / ამეღამ
არასდროს / არადროს
არსაიდან / არსიდან
აქიდან / აქედან
აქეთობას / აქითობას
ეხლანდელი / ახლანდელი
იქეთ / იქით
როდისმე / როსმე
საცა / სადაც
საიდან / საიდგან
საიდგანლაც / საიდგანლაც
სანამდე / მინამდე
ხანდახან / ხანდისხან

**სავარჯიშო № 102. გაასწორეთ შეცდომები.**

1.გარედ თოვდა, ზევით ქალი და კაცი გამოჩთა.

2. ნანამ ალბად არ იცის რო ბევრ დავალებებს გვაძლევს.

3. ოქროსფერ-თმიანი ქალი ნელა წევიდა ზევიდ-ზევიდ.

4. ბევრი გზები გამოვიარე, მარა ამაოთ.

5. აშკარათ გამოჩნთა რო ის არ არის შრომისმოყვარე.

6. ტყე შემოდგომაზე ყვითლათ და წითლათ მოკლეთ წითელყვითლათ აბრიალდა.

7. ვახტანგიმ უცბად ცერათ დამიწყო ცქერა.

8. მე-2-ე კლასში უკვე კარგათ ვკითხულობდი.

9. ჭირ-ნახული ბლომ ბლომათ დეეყარათ ქარში.

10.დედაჩემმა სამწუხაროთ სწორეთ გუშინ დაკარქა თავის ქინძის-თავი შენ ეზოში.

**სავარჯიშო № 103. გაასწორეთ შეცდომები.**

1.რა საცოდავათ კნავის ჩვენი კნუტი!

2. სულელათ არ უნდა ჩაგთვალონ, ჩემო ბატონო!

3. საოცრათ დამღალა ამდენმა შრომამ.

4. ანანო შესანიშნავათ მღერის.

5. ალბად ამაზე წინათ ვერც კი ვიოცნებებდი.

6. ზეით ნუ წახვალთ, იქ არავინ გელით.

7. გახარებული დედა უნებლიედ ატირდა.

8. ზეიდან არ გადმოხედო, ქვეიდან უკედ ჩანს.

9. ქალი ნელნელა, სვენებსვენებით მიდიოდა.

10. აღმართალმართ მივდიოდი მე ნელა.

# XI. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სავარჯიშოები

## უცხოური სიტყვების მართლწერა

**ცნობისათვის:** ქართულ ენას თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრ სხვა ენასთან (ბერძნულთან, სპარსულთან, არაბულთან, თურქულთან, რუსულთან . . ) ჰქონდა კონტაქტი. ამის შედეგად უცხო ენებიდან ქართულში მრავალი სიტყვა შემოდიოდა. ზოგი მათგანი ენაში დამკვიდრდა და დღეს მათი უცხოური წარმომავლობა არც კი იგრძნობა.

XIX-XX საუკუნეებში დიდი რაოდენობით მკვიდრდება ენაში ე. წ. საერთაშორისო სიტყვები ( ძირითადად ბერძნულ-ლათინური ძირებისგან ნაწარმოები).

ენამ სიტყვა შეიძლება ისესხოს ამა თუ იმ ენიდან უშუალოდ ან სხვა ენის მეშვეობით. ქართულ ენაში ევროპული ენების კუთვნილი ბევრი სიტყვა შემოსულია რუსულის გზით. ზოგი ევროპული სიტყვა რუსულში სახეს იცვლის და ისე შემოდის ქართულში (მაგალითად, ლათინური tio (ფრანგ. tion) დაბოლოების სახელები რუსულში -ция· თი ბოლოვდება და ქართულშიც -ცია დაბოლოებით არის შემოსული. ფრანგ. revolution, რუს. революция, ქართ. რევოლუცია).

**გახსოვდეს:**

- უმახვილო 0-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები, აგრეთვე საკუთარი სახელები, გვარები და გეოგრაფიული სახელები ო-თი უნდა გადმოიცეს.
  **სწორია: ოდეკალონი, კომპოტი, კომპილაცია, ბორის გოდუნოვი, ვორონცოვი, ტოლსტოი, ოდესა, ორიოლი, პოლტავა** (და არა: ადეკალონი, კამპოტი, ბარის გადუნოვი, ვარანცოვი, ტალსტოი, ადესა, არიოლი, პალტავა).
  *გამონაკლისია: კანტორა, კატლეტი, კაპიკი, კამოდი, ლატარია.*

- რუსულ და რუსული გზით ქართულში შემოსულ სიტყვებში Ю უნდა გადმოიცეს **იუ ჯგუფით.**
  **სწორია: კოსტიუმი, ვესტიბიული, მანიკიური, რეზიუმე, ავანტიურა, სიურპრიზი,** (და არა: კოსტუმი, ვესტიბული, მანიკური, რეზუმე, ავანტურა, სურპრიზი,) და მისთ.
  *გამონაკლისია: დუჟინი, ბროშურა, პარაშუტი, კაფსული...*

- გერმანულიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში EI დიფთონგი **აი**-თი უნდა გადმოიცეს.
  **სწორია: აინშტაინი, რაიხსტაგი, რაინი, ცვაიგი, ლაიფციგი** (და არა: ეინშტეინი, რეიხსტაგი, რეინი, ცვეიგი, ლეიფციგი) და ა.შ.
  ***შენიშვნა:*** ეს წესი არ ვრცელდება იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან შესულია რუსულში და შემდეგ რუსულიდან ქართულში. (ეიზენშტეინი, რუბინშტეინი).

- ევროპული ენებიდან მომდინარე **ლა** და **ლუ** ჯგუფებიანი სიტყვები, რომელიც რუსულ ენაში ЛЯ და ЛЮ კომპლექსებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიცეს მხოლოდ **ლა** და **ლუ** ჯგუფებით.

**სწორია:** **აკუმულაცია, აკუმულატორი, ასიმილაცია, იზოლაცია, იზოლატორი, კანცელარია, კომპილატორი, მალარია, პლაჟი, ტრანსლაცია, ალუმინი, ილუზია, პლუსი, რეზოლუცია, ჰალუცინაცია** (და არა: აკუმულიაცია, აკუმულიატორი, ასიმილიაცია, იზოლიაცია, იზოლიატორი, კანცელიარია, კომპილიატორი, მალიარია, პლიაჟი, ტრანსლიაცია, ალიუმინი, ილიუზია, პლიუსი, რეზოლიუცია, ჰალიუცინაცია).

- ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში X –ს გადმოსაცემად ქართულში ყველა შემთხვევაში გამოიყენება **ქ** და არა **ხ.**
  **სწორია: ბრონქები, ქლორი, ქოლერა, ქარტია, არქაიზმი** (და არა: ბრონხები, ხლორი, ხოლერა, ხარტია, არხაიზმი).

- ბერძნული და ლათინური წარმოშობის სიტყვებში **თ** ბგერა ქართული **თ** –თი უნდა გადმოიცეს (და არა ტ-თი), ხოლო **ტ** — ქართული ტ-თი
  **სწორია: სიმპათია, ერითროციტები, ესთეტიკა, მეტაფიზიკა** (და არა: სიმპატია, ერიტროციტები, ესტეტიკა, მეთაფიზიკა).

- eu და au დიფთონგის შემცველი სიტყვები ქართულში უნდა დაიწეროს **ევ**-ით (და არა ეუ-თი ან ეი-თ) და **ავ**–ით (და არა აუ-თი).
  **სწორია: ლევკემია, ლევკოციტები** ( და არა: ლეიკემია, ლეიკოციტები).
  გამონაკლისია სიტყვა **ნეიტრალური.**
  **სწორია: ავტონომია, ტავტოლოგია** ( და არა: აუტონომია, ტაუტოლოგია).
  გამონაკლისია სიტყვა **აუდიტორია.**

- ლათინურიდან (გერმანულ-რუსული გზით) მომდინარე სიტყვებში QU უნდა გადმოიცეს **კვ** (და არა ქვ) კომპლექსით.
  **სწორია: ადეკვატური, ეკვივალენტი, კვორუმი** (და არა: ადექვატური, ექვივალენტი, ქვორუმი) და მისთ.

- უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომლებიც რუსულში ея–ზე ბოლოვდება, ქართულში ეა დაბოლოებით უნდა გადმოიცეს.
  **სწორია; ასამბლეა. ბაკალეა, გალანტერეა, გალერეა, იდეა, ეპოპეა** (და არა: ასამბლეია, ბაკალეია, გალანტერეია, გალერეია, იდეია, ეპოპეია).

- ინგლისური th-ს გადმოსაცემად უნდა ვიხმაროთ ქართული **თ.** <u>სწორია:</u> **აგათა** (Agatha), *მაგრამ კრისტი (Christie),* **ჯონათანი** (Jonathan), **კათრინი** (Katharine) (და არა ქეტრინი).

- ტრადიციით განმტკიცებული და ფართოდ გავრცელებული ფორმები უნდა ვიხმაროთ ძველი სახით **პარიზი** (და არა პარი), **ვაშინგტონი** (და არა ვოშინგტონი).

- უცხოურ სიტყვებში, გვარებსა და სახელებში ორმაგი თანხმოვნები ქართულად ერთით გადმოიცემა.
 **სწორია: ფელინი** (და არა ფელლინი Fellini), **მისია** (და არა მისსია), ანა (და არა ანნა).
- **სწორია: შექსპირი** (და არა შეკსპირი Shakespeare), **იორქშირი** (და არა იორკშირი (Yorkshire) (მაგრამ იორკი), **ჰემფშირი** (და არა ჰემპშირი Hampshire), **მონტგომერი** (Montgomery), **ბირმინგემი** (Birmingham). (და არა: მონტჰომერი, ბირმინჰემი).

**უცხო ენებიდან საჭიროების გარეშე შემოტანილ მშობლიური ენის ბუნებისთვის შეუფერებელ სიტყვებს ბარბარიზმი ეწოდება.**

***გახსოვდეს!*** **ბარბარიზმების ხმარება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია!**

**სავარჯიშო № 104. გახაზეთ ქართული სიტყვები.**

საროჩკა, მაროჟნი, მალინა, ტრენერი, ტამოჟნია, რუგზაკი, პერანგი, აივანი, ნაყინი, კაპუსტა, ბალკონი, ჟუაჩკა, კვასი, არკა, თალი, ბურახი, კომბოსტო, სუდია, პორციის, მსაჯი, ზურგჩანთა, ნაჩნიკი, შკაფი, ულუფა, კერძი, შინელი, კევი, არენდატორი, მაგიდის ნათურა, მეურვე, მეურვეობა, ჟოლო, მოიჯარე, კარადა, კლიონკა, სალდათი, საბაჟო, მუშამბა, ჯარისკაცი, პაგონი, პაგონებიანი, ქურა, სამხრე, პლიტა, შახმატი, სამხრეებიანი, კალბასი, პაკალენიე, ხრახნი, ტორმუზი, შპიონი, შურუპი, ჯაშუში, გლუშიტელი, თაობა, პეპელნიცა, კლუბნიკა, პლასკაგუბცი, მაყუჩი, მოტორი, ქანჩი, ბრტყელტუჩა, კლუჩი, მუხრუჭი, სიგნალი, ძრავა, საყვირი, მარწყვი, შოფერი, ბაგაჟნიკი, მძღოლი, მოიკა, საბარგული, პაკრიშკა, საბურავი, მწვრთნელი, სვარკა, ატვიორტკა, შედუღება, შტანგა, შხაპი, ძელი, სემიჩკა, სოკი, მზესუმზირა, წვენი, სახრახნისი, სუნამო, იუბკა, საფერფლე, ზმეიკა, ქვედატანი, კერასინკა, თავსაფარი, ელვა, იკრა, დუხოვკა, ნავთქურა, ხიზილალა, ჭადრაკი, დუხი, ჰაერლუმელი, დუში, კასინკა, სამრეხცაო, ფიალეტივი, ჩულანი, იისფერი, შნუროკი, თასმა, ზონარი, შუბა, ქურქი, საკუჭნაო.

**სავარჯიშო № 105. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით.**

1. ნათელამ შკაფიდან ძვირფასი შუბა გადმოიღო, ჩაიცვა და ბალკონზე გავიდა.
2. შოფერმა რულს ხელი მაგრად ჩასჭიდა და პავაროტში შეუხვია.
3. ანამ მაგიდას კლიონკა გადააფარა და ზედ სუფთა თეფშები და რამდენიმე სტაქანი დააწყო.
4. ლაპარაკში ცალხელა სალდათიც ჩაერია,რომელსაც სერი ფერის შინელი ეცვა.
5. ტამოჟნიაზე ბაგაჟის შემოწმებისა და რეგისტრაციაში გასვლის შემდეგ აეროპორტის მოსაცდელ ზალაში შევედით.
6. გოჩას მხარზე ოქროსფერი პაგონები უბზინავდა, ფეხზე კი შავი საპოშკები ეცვა.
7. „ნიკორას“ მაღაზიებში კალბასისა და სასისკის უამრავი სახეობა იყიდება.
8. ზამთარში გაყინულ სახლებს ელექტრონის პლიტებითა და კერასინკებით ათბობენ.
9. ფეხბურთის კამანდის ტრენერმა ბურთი ისეთი ძალით დაარტყა, რომ შტანგა კინაღამ წააქცია.
10. ნაჩალნიკმა ბაგაჟნიკი გახსნა და პაკრიშკები, პლასკაგუბცი, შურუპები და კლუჩი ამიოღო.

**სავარჯიშო № 106. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით.**

1. ყველამ იცოდა, რომ ეს კაცი, რომელიც ახლა ბალკონზე იდგა, შპიონი იყო.

2. ერთ დროს ქალაქში ყველგან იყიდებოდა კვასი, ახლა მხოლოდ პივას, სოკებს და მაროჟნს თუ იყიდის კაცი.

3. ნინო არკიან სახლში ცხოვრობდა. მის სამსახურთანაც ორი დიდი არკა იყო ერთმანეთზე გადაბმული.

4. რესტორანში შესულმა კლიენტმა ერთი პორცია ხბოს მწვადი და შემწვარი კარტოშკა მოითხოვა.

5. მარშუტკაში მჯდარ ნიკოს ძალიან უნდოდა რიკოთის პერევალამდე მალე მიეღწიათ.

6. ავტობუსების ასტანოვკაზე მდგარი ბიჭები სემიჩკას აკნატუნებდნენ და ჟუაჩკას ღეჭავდნენ.

7. კედლის გაყოლებაზე წიგნის პოლკები ჩაემწკრივებინათ, კუთხეში კი შკაფები დაედგათ.

8. ამას სვარკა სჭირდება, ისე არფერი გამოვაო, - თქვა მალიარმა.

9. ნიკოს მანქანას გლუშიტელი გაუფუჭდა და სიგნალიც არ უვარგოდა.

10. ამბობენ, მალინის მურაბა გაციებას უხდებაო.

**სავარჯიშო № 107. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით.**

1. ვანომ საროჩკა პოლზე დააგდო.
2. ნაჩალნიკი სად არის?
3. ოფიციანტკამ ორი პორცია მაროჟნი მოიტანა.
4. ამ მაღაზიაში კარგი ბულკები და პონჩიკები იყიდება.
5. ჩემი ნასკები და მაიკები ნინოს შკაფში შეუნახავს.
6. გოგო-ბიჭები საგულაოდ წავიდნენ.
7. ამ ბანკაში წყალი ვინ ჩაასხა?

8. დედა, კარტოშკა შემიწვი!

9.ნიკოს სეკრეტარშას კარიჩნი კოსტუმი და სერი იუბკა ეცვა.

10.ჩემი კრაოტი ფანჯარასთან იდგა.

ცნობისათვის: სხადასხვა უცხო ენიდან ქართულში შემოსული და დამკვიდრებულია მრავალი საერთაშორისო ტერმინი (ე.წ.ინტერნაციონალური ლექსიკა),რომელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს:

- ამგვარ ტერმინთა ქართული შესატყვისის წარმოებისათვის ამოსავალია სიტყვის ძირი, რომელსაც მაწარმოებელი ბოლოსართი დაერთვის: ექსპერიმენტ-ი >ექსპერიმენტ-ულ-ი (და არა ექსპერიმენტალური),

  პრინციპ-ი>პრიმციპ-ულ-ი (და არა პრინციპიალური), დემონსტრაცია > დემონსტაციული ( და არა დემონსტატიული)

- ა-ზე და ე-ზე დაბოლოებული სიტყვები სუფიქსთა დართვის შედეგად ამ ხმოვნებს მოიკვეცენ. სწორია: პროფესია >პროფესიული, ლირიკა >ლირიკული ( და არა ლირიული), რევოლუცია > რევოლუციური ( და არა რევოლუციონური), რომანტიკა >რომანტიკული (და არა რომანტიული).

  გამონაკლისია სიტყვა პროზა, რომელიც არ შეიკვეცება და გვექნება პროზაული ( და არა პროზული), პროზაიკოსი (და არა პროზაიკი ან პროზაისტი).

**სავარჯიშო № 108. ხაზი გაუსვით სწორ ფორმებს.**

დიამეტრალური, დიამეტრული, ექსპერიმეტალური, ექსპერიმენტული, ტექსტუალური, ტექსტობრივი, ბაქტერიული, ბაქტერიალული, პროფესიული,პროფესიონალური,ფუნდამენტური, ფუნდამენტალური, მონუმენტალური, მონუმენტური, პროვინციული, პროვინციალური, პროფესიული, პროფესიონალური, ანტიკური, ანტიური, რომანტიული, რომანტიკული.

**სავარჯიშო № 109. დაასრულეთ დაუმთავრებელი სიტყვები.**

1. ჩემს მეგობარს დეფექტ. . . მეტყველება ჰქონდა.
2. ბიჭებს ერთმანეთისაგან დიამეტრ. . . განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.
3. კახა პირველ ექპერიმენტ. . . სკოლაში სწავლობს.

4. ზურაბ წერეთელი ნიუ-იორკში მონუმენტ . . . ქანდაკების დადგმას აპირებს.

5. ეს მონოგრაფია ფუნდამენტ. . . მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს.

**სავრჯიშო № 110. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ბაქტერიალური იარაღის გამოყენება აკრძალულია გაეროს კონვენციით.
2. პიესის თარგმანი ტექსტუალურად ახლოს დგას ორიგინალთან.
3. ეს ჩვეულებრივი პროვინციალური ამბავი იყო.
4. თედო თავისი პრინციპიალურობით ყველასგან გამოირჩეოდა.
5. ქარხნის გამოშვებული ყველა დეტალი დეფექტიური იყო.

**სავარჯიშო № 111. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ქართულ ენაზე იქმნებამრავალი შესანიშნავი პროზული ნაწარმოებები.
2. ამ ბოლო დროს არც თუ ისე ცოტა პროზაიკული ნაწარმოებები შეიქმნა.
3. არალეგალური ბრძოლისათვის საჭიროა ბევრი კონსპირატიული ბინები.
4. ვახტანგიმ თავისი დემონსტრატიული გამოსვლებით ყველას თავი მოაბეზრა.
5. ეთერიმ ზამთრისთვის აბლეპიხის პავიდლო და მალინის კამპოტი გააკეთა.
6. გახარებულმა მასპინძელმა ბაკალი მაღლა ასწია და სტუმარი გულთბილათ ადღეგძელა.

7. თფილისიდან წასვლის შემდეგ მიხეილ ვარანცოვი ადესაში დასახლდა.

8. კოსტუმების მხატვარმა ფილმის პერსონაჟების ჩაცმულობაზედ დიდხანს იფიქრა.

9. ვესტიბულში შემოვიდა ავანტიურისტად ცნობილი კაცი.

10. ქალის მანიკურიან თითებს სიყვითლე გადაჰკრავდა.

**სავარჯიშო № 112. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ასიმილიაცია და დისიმილიაცია ფონეტიკური მოვლენებია.
2. ყველაფერს აქვს თავისი პლიუსი და მინუსი.
3. აჭარის პლიაჟს ბევრი აფხაზეთის პლიაჟს ამჯობინებდა.
4. ამ სახლს ალიუმინის კარ-ფანჯარა ექნება.
5. ისეა შეშინებული, ალბათ მალე გალიუცინაციაც დაეწყება.
6. პატიმრებმა მე-4-ე იზოლიატორიდანაც მოახერხეს გაქცევა.
7. მინისტრის განცხადებას პრეზიდენტმა რეზოლიუცია უყოყმანოთ დაადო.
8. ხოლერა მეტათ საშიში დაავადებაა.
9. იმ ღამეს სავადმყოფოში ბრონხიალური ასტმის შეტევით ორი ავანტყოფი მოიყვანეს.
10. ეს სიმპატიური მამაკაცი სამწუხაროთ ლეიკემიითა ავად.

**სავარჯიშო № 113. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ჩვენ პარლამენტში ხშირათ ქვორუმი არ იკრიბება და ამის გამო ბევრი სხდომები იშლება.
2. ხვალ ცისფერ გალერიაში საშემოდგომო გამოფენა იხსნება, რომელსაც როგორც ყოველთვის წელსაც უამრავი დამთვალიერებლები ეყოლება.
3. იგი ხან თეისტი იყო ხან ატეისტი.

4. მას ბავშობიდან იტაცებდა ატლეტიკური ვარჯიშები, თითონაც გამორჩეული ატლეტი იყო.
5. შოთა რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში უხვათ იყენებს ეპიტეტებს.
6. როგორც კი ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე კაზარმულ მდგომარეობაზედ გადაიყვანეს მე-VIII პოლკი.
7. ძველი თბილისის კოლორიტს ყარაჩოღელები და კინტოები ქმნიდენ.
8. ხირომანტია და ხირომანტობა ერთობ გავრცელებული საქმიანობაა ჩვენ ქალაქში.
9. მიწის თხილს სხვანაირად არახისს ეძახიან, ძველი ქაღალდების მცველს კი - არხივარიუსს.
10. თუ ცურვა არ იცი, ზღვაში აუცილებლათ დაიღრჩობი.

**სავარჯიშო № 114. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ვანომ კოკტეილით და ლიკიორით სავსე ჭიქები მაგიდაზე გაშლილ რუქაზე დადო.
2. ჩვენს ზოოპარკში ახალი ბეგემოთი მოუყვანიათ.
3. ირანის შახი ქართლკახეთის დაზყრობას ცთილობდა.
4. სასახლის ეთიკეტი სწორეთ ამგვარ სიმკაცრეს და სიზუსტეს ითხოვდა მისგან.
5. კირილემ ახალი გალსტუკების გაკეთება დაიწყო.
6. დაჭრილი მებრძოლები გოსპიტალში მიჰყავდათ.
7. ღენერალმა ღერბიან ქახალდს სასწრაფოთ მოაწერა ხელი.
8. ამ წიგნის ორი ეკზემპლარი ბიბლიოტეკას გავუგზავნეთ.
9. ტრალიკულად დალუპულ ახალგაზრდა მეცნიერს მთელი ინსტიტუტი გლოვობდა.
10. ძალიან უნდოდა ამ ექსპერიმენტში მიეღო მონაწილეობა.

**სავარჯიშო № 115. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ჩვენ არ გვაკმაყოფილეფს მიხწეული შედეგები.
2. დიდი ვაივაგლახით შევახწიეთ ვაგონში.
3. ვახო და კობა ბრთხილად მივიდენ სახლის კარებთან.
4. სკივრის ბსკერს მოშაო ფერი გადაჰკრავდა.
5. ნიკო სტვენა-შტვენით მიუყვებოდა ჩაბნელებულ ქუჩას.
6. მგზავრი ურმის ნაკვლევს წააწყდა და ხელით ფრთხილათ მოშინჯა.
7. ოსტატი ფიცარს ასალაშინებს.
8. ელიკოს არ უნდოდა ნაუცბათევად გაეცა პასუხი.
9. ეშმაკმა მაცთუნა და სწორეთ აქ მომიყვანა.
10. ირანის შახმა თავის ლაშქარს თბილისი გააცარცვინა.

**სავარჯიშო № 116. გაასწორეთ შეცდომები.**

1. „თავსაფრიანმა დედაკაცმა" ერთ ბოლჩაში გამოკრა თელი თავისი ავლადიდება.
2. ნოველის ბოლოს მამა მეზობელის ვენახში ილრჩობს თავს.
3. ნოდარი განძრახ დაბრუნდა უკან, თუმცა ეგონა მის განძრახვას ვერავინ მიხვთებოდა.
4. საჭმელს გემოს პიმპილი და მარილი აძლევს, მით უმეტეს, თუ საქმე ინდოურის საცივს ეხება.
5. ბაზრობაზე ხშირათ იეფფასიანი და უვარგისი საქონელი იყიდება.
6. ამის დანახვა ყოველთვის იამება ქრისტეან კაცს.
7. ილიას ლარსში რუსი აფიცერი შეხვთა.
8. ამ ეგრედწოდებულ დემოკრატულ სახელმწიფოს დემოკრატულობის არფერი სცხია.
9. ნიკავ, რას დამზგავსებიხარ, რა დაგმართნია?
10. ბავშვებო გახსოვდეთ ორცნებიანი კომპოზიტები დეფიზით იწერება!

# ჟარგონი, დიალექტიზმები, არქაიზმები

*ცნობისათვის:* ჟარგონი ცალკეული ფენის, ასაკობრივი კატეგორიის თუ პროფესიის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი მეტყველებაა.

**დიალექტიზმი** ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მოვლენაა. როგორც წესი, სალიტერატურო ენაში მას აქვს თავისი შესატყვისი.

**არქაიზმი** მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვები, გამოთქმები და გრამატიკული ფორმებია.

**გახსოვდეს! ჟარგონის და დიალექტიზმის ხმარება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია!**

**სავარჯიშო № 117. შეცვალეთ ჟარგონული სიტყვები და გამართეთ წინადადებები.**

1. რა მაგარი ადგილია!
2. ნუ გამიხურე საქმე, მე ვიცი, რასაც ვეტყვი!
3. რას ბაზრობ, სიმონ! ჩემი ტაჩკა ნახე? ხო საკაიფოა? ორმოცი ათასი გადავიხადე.
4. - წამოხვალ კინოში? - ჰკითხა ნიკამ.
   - ბაზარი არაა, -უპასუხა გიომ.
5. მოკეტე, თორემ დაგბრიდავ.
6. ათი ლარი ისე აახია ბიძამისს, რო საწყალი კაცი აზრზე ვერ მოვიდა.
7. რისთვის გაასალეს ის საცოდავი ბიჭი, ვერავინ მოტვინა.
8. სიგარეტის დიდი პარტია გაასუხარეს და დიდი მაყუთი მოხიეს.
9. ეს კაცი ჩვენი უბნის ბარიგა იყო და ზონაზე გაუშვეს.
10. არ გინდა რიჟა ბაზარი, ყველაფერი იასნია.

**სავარჯიშო № 118. შეცვალეთ ჟარგონული სიტყვები და გამართეთ წინადადებები.**

1. მაგრა მევასება ეს გოგო.
2. აახვიე აქედან, თორე...
3. ამ გოგოს დანახვაზე ვეცემი.
4. ბირჟაზე ორი ბიჭი ერთმანეთს ეხიპიშებოდა.
5. ნიკა ორი დღეა შარაფობს.
6. კაროჩე, მოკეტე რა!
7. ან დამიმესიჯე, ან დააზვანოკე.
8. დამამისთქოლებინე, მე ბალანსი მომიკვდა. .
9. მაგარი ხოხმა რამეები ვიცი.
10. გუშინ „კოფე ჰაუსში" კაი პონტი გაიჩითა.

**სავარჯიშო № 119. შეცვალეთ დიალექტური ფორმები სალიტერატურო სიტყვებით.**

1. როდის ჩამოდი, ბიჭო, სოფლიდან?
2. რაია აგი, ჯო?
3. ჩვენმა ბიამ წელს კარგად მოისხა.
4. ეს ბჟოლა რამხელა გაიზარდა.
5. ეხლა უკვე ძაან გვიანია.
6. მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გაძრესო.
7. ამელამ ალბათ იქნება ქარი.
8. საცხა დეიკარქა, ველარ ვიპოვნეთ.
9. გადიარს ხიდს და მივა.
10. იქინე რომ გეიარ, ნონა ნახე.

**სავარჯიშო № 120. შეცვალეთ დიალექტური ფორმები სალიტერატურო სიტყვებით.**

1. ბაბა, ნენა როის მოვა?
2. რა დაგემართენ, მეიტანეთ ერთი საინი!
3. იმგენის ამბავს შენ მასწავლი მე? ჯერ იქინე მივლენ და თუ იქინეი არავინ დოუხვთათ, ქე წამოვლენ სახში.
4. ზურიკელა , ბიჭო, ზურიკელა, არ გეყურება?
5. რეიზა მეუბნები ამას? რო მოვკტებოდე, კაია, მარა ხო ხედავ, სიკვტილსაც აღარ უნდებვარ!
6. დოუჯინია წელს ქალი უნდა შევირთოო.
7. დოუმუწია პირი და წკუმს არ იღებს.
8. ამას მისდღემჩი ვერ მევიფიქრებდი. რავა თქვენც დიპლომი გინდებლარიენ?
9. ე ბოვშები ვისია?
10. შენი წინდა სოველია.

**სავარჯიშო № 121. ხაზი გაუსვით არქაულ ფორმებს.**

1. იგი მშვენიერ ტაიჭზე იჯდა.
2. მყვარი გულისწამლებად ყიყინებდა.
3. მან ტყიდან თავისი ჰუნე გამოაჭენა.
4. საით მიემართებიან ეს ზეპურნი დედანი?
5. მუნ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად.
6. გიხაროდენ! ჩვენ გავიმარჯვეთ!
7. ეს სიტყვები გულში სამსჭვალივით მოხვდა.
8. არა აქუნდათ ცული და წერაქვი.
9. თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა.
10. მშვენიერი ბანოვანი მირონინებდა ქუჩაში.

# XII. სტილის საკითხები

*ცნობისათვის:* ენათმეცნიერების დარგს, რომელიც სწავლობს ენის გამომხატველობით საშუალებებს სტილისტიკა ეწოდება. წინადადება შეიძლება იყოს გრამატიკულად სწორი, მაგრამ სტილის თვალსაზრისით გაუმართავი. როდესაც ენობრივი საშუალებები არ შეესაბამება გადმოსაცემ შინაარსს, წინადადება სტილისტურად უნდა გასწორდეს.

სტილურ ხარვეზებად მიიჩნევა:

- *ტავტოლოგია* , ანუ ისეთი განმეორება, როცა მთქმელი ვერ ახერხებს თავისი სათქმელის გამართულად, მოკლედ და ნათლად გამოხატვას და გაუაზრებლად, უმიზნოდ იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს. ტავტოლოგიის კლასიკური ნიმუშია ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" ერთ-ერთი მოქმედი გმირის - გლახა ჭრიაშვილის მეტყველება: *„მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავართ, როგორც მოგეხსენებათ. პაპაჩემი ა ზაური ეხლებით ნუკ ზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ საიდამ მეცოდინება, დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა"*

**სტილურ ხარვეზად ითვლება ერთი და იმავე სიტყვის განმეორება ტექსტის მცირე მონაკვეთზე. მაგ.:** *ლევანმა ქიშკარი შეაღო და* ***აღმოჩნდა*** *იმ პატარა ბაღში, რომელიც, როგორც* ***აღმოჩნდა,*** *ადრე თავად ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა; სოფიომ ტყეში* ***შესვლა*** *მოინდომა, სადაც* ***შესვლა*** *მეტად სახიფათო იყო. ტავტოლოგიის თავიდან აცილება სინონიმური სიტყვების ჩანაცვლებით შეიძლება.*

სასურველი არა არის ერთი ფუძიდან ნაწარმოები სიტყვების თავმოყრა ერთ ფრაზაში. *მაგ.„ გამოამზეურა მზის სინათლეზე ".* გამომზეურება თვისთავად მზის სინათლეზე გატანას ნიშნავს, ამიტომ ამ ფრაზაში ორივეს ერთად ხმარება გაუმართლებელია.

- ენობრივი შეცდომა ხშირად იმის შედეგია, რომ სიტყვის მნიშვნელობა არ არის სათანადოდ გაცნობიერებული. ამ ტიპის შეცდომათაგან ერთ-ერთი გავრცელებული სახეა **პარონიმია**. პარონიმები ჰქვია გარეგნულად რამდენადმე მსგავს, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რომლებიც ბგერობრივი მსგავსების გამო ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ. მაგალითად, პარონიმებია: აღთქმა და აღქმა, აფექტი და ეფექტი, სწორად და სწორედ, დიპლომანტი და დიპლომატი.

• **კალკი** ეწოდება ახალი სიტყვების ან გამოთქმების წარმოქმნას სხვა ენის ლექსიკური ერთეულების მიბაძვით, მისი პირდაპირ სიტყვასიტყვითი თარგმნის გზით. კალკირება ენის ლექსიკური ფონდის შევსება -გამდიდრების ერთ-ერთი გზაა, მაგრამ, როცა ენას აქვს საკუთარი ლექსიკური ერთეული, კალკირებული ფორმები სტილურ შეცდომად მიიჩნევა და უნდა გასწორდეს. მაგალითად, რუსულიდან არის კალკირებული ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: გაყიდვაშია, შეხებაშია, არ მაწყობს და მისთ ( უნდა ითქვას და დაიწეროს: იყიდება, ეხება, ჩემთვის არ არის ხელსაყრელი).

• **ატროფია.** ამ ტერმინით სტილისტიკაში აღინიშნება სიტყვის გრძნობის დაჩლუნგება, რასაც შედეგად მოსდევს სიტყვის გამოყენება არასწორი ან არაზუსტი მნიშვნელობით, სიტყვათა უმართებულო შეხამება, ფუჭსიტყვაობა. მაგ.: „მანანამ თვალი მოჰკრა მისი სახის შემზარავ, უებრო გამომეტყველებას". შეუძლებელია ადამიანს ერთდროულად ჰქონდეს შემზარავი და უებრო(ე.ი.შეუდარებელი,სწორუპოვარი)გამომეტყველება. ან კიდევ: „სტუმარი სკამიდან ადგა და კარებისაკენ გაილურსა" ( უნდა იყოს გაიძურწა).

**სავარჯიშო № 122. შეარჩიეთ სწორი ფორმა.**

1. ნინოს (ტყუპი ბავშვები, ტყუპები) ჰყავს.
2. მგლის (ფარა, ხროვა, ჯოგი) თვალს მიეფარა.
3. მძიმე ხვედრი (ეწია, ხვდა) ქალბატონ ელენეს.
4. (დაუფასებელია, ფასდაუდებელია) ილია ჭავჭავაძის ამაგი ქართველი ერის წინაშე.
5. სტუდენტებს ძალიან უნდოდათ გოდერძი ჩოხელის ახალი (კინოს, ფილმის) ნახვა.
6. რაიონის ადგილობრივი (მკვიდრნი, მაცხოვრებლები) მოუთმენლად ელოდნენ ახალი ხიდის გახსნას.
7. ეკოლოგიური კატასტროფით (გამოწვეული, აღმოცენებული) საფრთხე მეტად აღელვებდა ქალაქის ხელმძღვანელობას.
8. ხალხი სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე (განლაგდა, მოთავსდა).

9. ავტოკატასტროფაში (დაშავებული, დაზარალებული) მოქალაქე საავადმყოფოში მოათავსეს.

10. მწერალ ერეკლე ეპიტაშვილს (მაღალი, დიდი) ჰონორარი გადაუხადეს თავისი ბოლო წიგნისათვის.

**სავარჯიშო № 123. შეარჩიეთ სწორი ფორმა.**

1. სამწუხაროდ, ბევრი თანამდებობის პირი ვერ ასრულებს (მინიჭებულ, დაკისრებულ) მოვალეობას.
2. საარჩევნო (კომპანია, კამპანია)გადამწყვეტ ფაზაში შედის.
3. აუცილებელი (შეიქმნა, შეიქნა) ამ საკითხის საგანგებო შესწავლა.
4. ჩვენი მეგობარი ერთი თვის (წინ, უკან) დანიშნეს (საპასუხისმგებლო, პასუხისმგებელ) თანამდებობაზე.
5. დედა ფულს (ეკონომიურად, ეკონომიკურად) ხარჯავდა.
6. ქართველმა მოჭადრაკეებმა (სანაქებო, სასახელო) გამარჯვება მოიპოვეს.
7. ამბობენ, ადამიანის უფლებები ზოგ ქვეყანაში (სასტიკად, მეტისმეტად) ირღვევაო.
8. ქალაქში ყველას უკვირდა,·ეს რა ბედი (ეწვია, ეწია) რევაზსო.
9. შვილო, (ბოდიშით, ბოდიში) ცუდად მესმის, ერთხელ კიდევ (გადმორეკე, დარეკე).
10. ჩვენს ბიბლიოთეკას ზაფხულში კიდევ ერთხელ ( ჩაუტარეს რემონტი, შეაკეთეს).

**სავარჯიშო № 124. შეარჩიეთ სწორი ფორმა.**

1. ეს ჩვენი (ნომერ პირველი, უპირველესი ) ამოცანაა.
2. ასეთი პირობები ჩვენ ნამდვილად (არ გვაწყობს, ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი)
3. კახა უკვე (საცოლე, საცოლო) ბიჭია.
4. დღეს მაღაზია „პარნასში" (იყიდება, გაყიდვაშია)ზურაბ ქარუმიძის ახალი რომანი.
5. (აშკარაა, სახეზეა) ის შედეგები, რაც თქვენმა უნიათობამ გამოიწვია.
6. ამ ამბის გამო რამდენიმე კაცი (პატიმრობაში აიყვანეს, დააპატიმრეს.)
7. მარიამმა (სწორად, სწორედ) გაიგო ჩემი ნათქვამი.
8. სხდომის დასასრულს (სიტყვაში გამოვიდა, სიტყვა წარმოთქვა) ღვაწლმოსილი მკვლევარი.
9. მას მუშაობის სურვილი ( არ აქვს, არ მოეპოვება).
10. პეტრეს ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება (გააჩნია, აქვს).

**სავარჯიშო № 125.შეარჩიეთ სწორი ფორმა.**

1. ბოლო 20 წელიწადში ამ ქალაქში მოსახლეობა ორჯერ (გაიზარდა, გადიდდა).
2. კრებამ დასახა დაწესებულებაში (რეორგანიზაციის მოხდენის, გარდაქმნის) ღონისძიებები.
3. შოთა რუსთაველი (იძახის, აცხადებს): „სიყვარული აღგვამაღლებს".

4. ჩვენს ტყეებში უხვად (ბინადრობს, მოიპოვება) ციყვი, მელა და კურდღელი.
5. ახლა გამოვიანგარიშოთ ან ქიმიური ნაერთის ( მასიური, მასობრივი, მასური) წონა.
6. ქეთევან ვაშაკიძემ, რომელმაც დიდი წარმატება (მოიპოვა, მიაღწია) პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე, მადლობა (მოუხადა, გადაუხადა) თავის პედაგოგებს.
7. ჩვენი სკოლის ბავშვები კვირას ქალაქში ავტობუსით ( გაისეირნებენ, გასეირნებას მოაწყობენ).
8. მოლაპარაკება მინდა (ვაწარმოო, გავმართო) ცნობილ გერმანულ გამომცემლობასთან.
9. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნოდარი (სამუშაოდ გაანაწილეს, სამუშაოდ გააგზავნეს) სოფლის სკოლაში.
10. ამ საქციელით ნიკომ (ლაფი გადაავლო, ლაფი გადაასხა, ლაფში ამოსვარა) თავის ოჯახს.

**სავარჯიშო № 126. გაასწორეთ სტილური ხარვეზები.**

1. მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან, რადგან საქმეების მორეგულირება კარგად მეხერხება.
2. საქმე იმაშია, რომ ბებია შეცდომით სხვა ავტობუსზე ავიდა.
3. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ამ ორგანიზაციაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს.
4. თამარს ბევრი კარგი თვისება გააჩნია და ამიტომაც მოიპოვა თანამშრომელთა პატივისცემა.
5. გენერალურმა პროკურორმა კონტროლზე აიყვანა ამ ფირმის საქმიანობა

6. ასეთი ცუდი განათება, ამ ოთახს რომ მოეპოვება, ჩვენ არ გვაწყობს.
7. საქმე იმაშია, რომ თქვენ ვერ მოაგროვეთ ხმების საჭირო რაოდენობა.
8. მე ჩემი ავტობიოგრაფია ჩემი ხელით დავწერე.
9. ქალაქის წყლით მომარაგებაში ბოლო ხანს შეფერხებას ადგილი არ ჰქონია.
10. ტურისტულმა სააგენტომ ბოდიში გადაუხადა უცხოელებს, რათა ვერ უზრუნველყო მათი სვანეთში წაყვანა.

**სავარჯიშო № 127. გაასწორეთ სტილური ხარვეზები.**

1. ოთახში უკრავდა წყნარი მუსიკა.
2. მე ამაზე აღარ გავივრცობი, მაგრამ მინდა სწორად ვიყო გაგებული.
3. ამ მოთხრობებს უკანა ფონად ომის სიდუხჭირე აქვს წამძღვარებული.
4. ერთ-ერთ ინტერვიუში მყავდა ის ნახსენები ჩემთან მიმართებაში.
5. თავმჯდომარემ ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენა და ძალიან მინდა პარლამენტი არ შევიდეს შეცდომაში.
6. დიდი ხანია მკურნალობას გავდივარ ექიმთან
7. ვაწარმოებთ ჟალუზებს, რკინის კარ-ფანჯრებს.
8. ეს ინფორმაცია პირველად ჩვენს ეთერში გაჟღერდა.
9. ეს ახალგაზრდა, რომელიც ახლა ძებნაშია, იარაღით დადიოდა ქალაქში.
10. თბილისი დღეს მაღალ სტუმრებს მასპინძლობს.

## XIII. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

*ცნობისათვის: შემასმენელი მხოლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს, როცა*

- ***ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია:*** *ბავშვი წერს.*
- ***ქვემდებარედ რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელია:*** *ათი წავიდა, ბევრი გაისტუმრა, ყველა მხიარულობდა.*
- ***ქვემდებარედ კრებითი სახელია;*** *ხალხი ლაპარაკობდა, გუნდი დაიშალა, სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა.*
- ***თუ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი ან ისეთი სახელი, რომელიც შინაარსობრივად ერთზე მეტს აღნიშნავს:*** *ორი კაცი მოდიოდა, რამდენიმე ამხანაგი გვესტუმრა, ბევრი ალტაცებული დარჩა.*
- ***ქვემდებარე უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელია და დასმულია -ებიან მრავლობითში;*** *სკამები დგას, მდინარეები ადიდდა.*
- ***ქვემდებარედ და-ძმის ტიპის კომპოზიტია:*** *დედ-მამა ჩამოვიდა, ცოლ-ქმარი საუბრობდა.*

*გახსოვდეს! თუ ქვემდებარე კრებითი სახელია და შემასმენელი რიცხვში მონაცვლე ზმნით არის გამოხატული, გამოიყენება ამ უკანასკნელის მრავლობითი რიცხვის ფუძე მხოლობითი რიცხვის ფორმით. სწორია* ***ხალხი დასხდა*** *და არა ხალხი დაჯდა.*

**სავარჯიშო № 128. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ყველა შინმოუსვლელ შვილსა და ახლობელებზე ფიქრობდენ
2. ბევრი ჩასხდენ გემში.
3. ქუჩაში უამრავი გოგო-ბიჭები ირეოდნენ.
4. ფრინველთა მთელი გუნდი წამოიშალენ.
5. ხალხმა დეიხურეს ქუდები და წევიდ წამოვიდენ.
6. ნაძვთან ორი მუშა საუბრობდენ.
7. ცის კიდურზე ათასამდე მერცხალი შეკრებილიყვნენ.
8. რამდენიმე მთიული შორი-ახლოს იდგენ.
9. გაზაფხულზე ზვავები დადნებიან და იები ამოიწვერებიან.
10. ასეთი სახელოსნოები მთელს საქართველოში არსებობდნენ.

**სავარჯიშო № 129. გაასწორეთ შეცდომები.**

1.გუშინ ჩემი ქმარ-შვილი სანადოროთ წავიდნენ.

2. გურამის და-ძმა გერმანიაში ცხოვრობენ.

3. მამა-შვილმა ისეთი კოცონი დაანთეს, ალი ცას სწვდებოდა.

4. დედა-შვილმა ღიმილით შეხედეს მიხოს.

5. დედამთილ-მამამთილმა წყნეთში მიაკითხეს პატარძალს.

6. ჰაერში უამრავი კოღო-ბუზი დაფრინავდენ.

7. ცხენების რემა მოულოდნელათ აჭიხვინდენ.

8. ხალხს ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, ვინ იყო დამნაშავე.

9. თბილისელი ყმაწვილკაცობა შეყვარებული იყვნენ ამ უმშვენიერეს ასულზე.

10. მტრედები ცაში დაფრინავს.

**სავარჯიშო № 130. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ძროხები საწყალობლად აზმუვლდა.

2. შაშვები მთელი დღეა გალობს და გალობს.

3. ჭრელ-ჭრელი პეპლები ეზოში ნაზად დაფარფატებს.

4. ისინი დიდი ხნის მეგობრებია.

5. სტუდენტობა მოთმინებით იჯდა აუდიტორიაში.

6. უჭმელ-უსმელი და დაღლილი ცხვარი მინდორში დაეგდო.

7. ჩემმა ალუბალმა წელს კარგათ მოიბა ნაყოფი.

8. ხალხო! დაჯექით და მომისმინეთ!

9. ხალხი სიცილით კვდებოდა.

10. ტყემ მოიბა ფოთოლი.

**სავარჯიშო № 131. შეცვალეთ კრებითი სახელით წარმოდგენილი ქვემდებარე არაკრებითი სახელით და გამართეთ წინადადებები.**

1. რემა ჭიხვინ-ჭიხვინით გარბოდა მინდორში.
2. ხალხი უკმაყოფილო იყო ხელისუფლების გადაწყვეტილებით.
3. სტუდენტობა ცდილობს კარგი განათლება მიიღოს.
4. ირმის ჯოგი ფერდობს მიუყვებოდა.
5. კალია შეესია ნახნავ-ნათესებს.
6. ცხვარი იმდენი იყო, რო მთელი ფერდობი გადათეთრდა.
7. კოლტი ღრუტუნით მოეფინა ჭალას.
8. ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდა.
9. ფარა წინ მიიწევდა.
10. მშიერი მგლების ხროვა ტყეში დაძრწოდა.

გახსოვდეს!
შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს, როცა

- **ქვემდებარედ მრავლობით რიცხვში დასმული სულიერი საგანია:** *ბავშვები თამაშობენ, ძროხები ბღავიან.*
- **ქვემდებარე ნართანიან მრავლობითშია:** *წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან.*
- **ქვემდებარედ გამოყენებული უსულო საგანი გაპიროვნებულია და მას ცოცხალი არსების შესაფერისი მოქმედება მიეწერება:** *ყვავილები საუბრობენ; ახალი ქალაქები იზრდებიან.*

**სავარჯიშო № 132. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მეგობრებმა შეწყვიტა ლაპარაკი, ქალებიც გაჩუმდა.
2. ფრინველები შემოეხვია კაკალს.
3. ყველანი ფეხზე იდგა ქუდ- მოხდილები
4. სამივენი ჭამას შეუდგა.

5. ცაზე მნათობნი მთელი ღამე მხიარულობდა.

6. ასე ლაპარაკობდა შეშინებული ხეები.

7. მცენარეებმა კანკალი დაიწყო.

8. ყვავილებმა ერთმანეთს გადახედა და თავი გააქნია.

9. ძროხები ყურისწამღებად ბღავის.

10. ძაღლები გულ-საკლავად ყეფს.

**სავარჯიშო № 133. გაასწორეთ შეცდომები.**

1. მდინარენი ადიდდა და ხიდეები წაიღო.
2. „ჩვენი ჯგუფის ქალნო და ვაჟნო, წამოდი, კინოში გეპატიჟე-ბით!"— პათეთიკურად შესძახა ირაკლიმ თანაჯგუფელებს.
3. აიშალა ფრინველნი, აშრიალდა ხეთა ფოთოლნი, აიქოჩრა ტალღანი — გაწვიმდა.
4. ნატო და დათო თავდავიწყებით ცეკვავდა.
5. გუშინ ზურაბიმ და დავითიმ კარგად ითევზავა, გურამიმ და თამაზიმ კი ინადირა.
6. საღამოს მარიამიმ და ირაკლიმ ბევრი საქმეები გააკეთა.
7. ორიოდე მეგობარი და ათიოდე ნათესავი ეწვიენ ნუგზარის.
8. ტყე და ველი ამწვანდენ.
9. გოგონა და ვაჟი გაჩუმებული იყო.
10. მის ეზოში იზრდებოდენ კაკალის, ბალის და ტყემალის ხეები.

# XIV. სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანა

*ცნობისათვის:* სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანისას დასაშვებია მისი გაკვეთა ნებისმიერ ნაწილში. აკრძალულია მხოლოდ ერთი ასოს ან უმარცვლო თანხმოვანთკომპლექსის დატოვება ან გადატანა.

სიტყვის გადატანისას მისი ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია ფუძის გამიჯვნა დამხმარე ელემეტისგან (აფიქსები, თანდებულები, ზმნისწინი...) მაგალითად, სახლ-ში, მაგიდა-ზე, აღ-წერს...

ასევე უმჯობესია რთული სიტყვების ბუნებრივ საზღვარზე გაკვეთა (ცოლ-ქმარი, სპორტ-დარბაზი, თვით-მმართველობა, ხუროთ-მოძღვარი...).

**სავარჯიშო № 134. ჩამოთვლილი სიტყვები გაკვეთეთ გადასატანად.**

| | |
|---|---|
| გვგვრის | გააადამიანა |
| შეეერთებინა | უარზეა |
| კრწანისი | მატარებელი |
| გრიალებს | კლავს |
| ბრდღვნის | წყნეთი |
| გლეჯს | მაყვალას |
| ცეცხლს | ოცნება |
| ალია | ია |
| ხელმძღვანელი | ანთია |
| არია | ეზო |
| მიჩანჩალებს |ააელვარა |

**სავარჯიშო № 135. ჩამოთვლილი სიტყვები გაკვეთეთ გადასატანად.**

| | |
|---|---|
| სახელმწიფოებრივი | წარმოგიდგენთ |
| სახლ-კარი | პარლამენტი |
| ერთთვიანი | ტელევიზია |
| ცოლშვილიანი | დაგვგვიანებია |
| სიუხვე | ნაზია |
| სია | გია |
| ენა | პირველხარისხოვანი |
| უსაქმურად | კურდღელი |
| ბრიალებს | ცოლ-შვილი |
| წიგნი | სასახელო |

# პ უ ნ ქ ტ უ ა ც ი ა

(წესები და სავარჯიშოები)

# XV. სასვენი ნიშნები

## *ცნობისათვის:* სასვენ ნიშანთა ერთობლიობას პუნქტუაცია ეწოდება.

ნაწერ თუ ნაბეჭ ტექსტში ამჟამად შემდეგი სასვენი ნიშნები გამოიყენება: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!), მძიმე (,), წერტილ-მძიმე (;), ორწერტილი (:), მრავალწერტილი (...), ტირე (—), დეფისი (-), ფრჩხილები ( ), ბრჭყალები („ “).

სასვენი ნიშნები იხმარება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, მაგალითად, კითხვისა და ძახილის ნიშანი (?!), ძახილის ნიშანი და მრავალწერტილი (!..), კითხვის ნიშანი და მრავლწერტილი (?..), მძიმე და ტირე (,—), კითხვის ნიშანი და ტირე (?—), ძახილის ნიშანი და ტირე (!—).

ზოგი ნიშანი იხმარება არაპირდაპირი დანიშნულებითაც (როგორც ტექნიკური ნიშანი); მაგალითად, წერტილი — სიტყვის შემოკლების ნიშნად, დეფისი — გადატანის ნიშნად და სხვ. ჩვენ მათს ამგვარ გამოყენებასაც სასვენ ნიშნებთან ერთად განვიხილავთ.

## წერტილი

- **წერტილი დაისმის თხრობითი წინადადების ბოლოს და გვიჩვენებს, რომ აზრი (წინადადება) აქ დასრულდა. მაგ.,** *დილით მერცხლის ჭიკჭიკმა გამაღვიძა.*
- **წერტილი დაისმის სახელდებითი წინადადების ბოლოსაც. მაგ.,** *უდაბნო. საღამო.სასადილო ოთახი. მკრთალი სინათლე.*
- **წერტილი დაისმის პროგრამების, მოხსენებების ან სამეცნიერო ნაშრომის გეგმის შედგენის დროს საკითხების ჩამოთვლისას და რიგითი ნომრის აღსანიშნავად ხმარებული ასოებისა და რომაული ან არაბული ციფრების შემდეგ.**

  - *შენიშვნა: გეგმის შედგენისა და საკითხების ჩამოთვლისას წერტილის ნაცვლად შეიძლება დაიწეროს წერტილ-მძიმეც. საკითხების დანომრვისას ასოებისა და ციფრების შემდეგ შეიძლება წერტილის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ფრჩხილი: ა) ბ) 4) 5) და ა.შ. ამ შემთხვევაში ფრჩხილის შემდეგ წერტილი საჭირო არ არის.*

- **წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლების ნიშნადაც:** *პროფ. (პროფესორი) გვ. (გვერდი), წ. (წელი), ქ. (ქალაქი), ე.ი. (ესე იგი), ე. წ. (ეგრეთ წოდებული), მაგ. (მაგალითად), წწ. (წლები), სს. (საუკუნეები), და სხვ.*

**სავარჯიშო № 1. დასვით სასვენი ნიშნები.**

- გათენდა მზე ამოვიდა მინდორ-ველი განათდა გამოჩნდა კავკასიონის მაღალი მთები ლამაზად მოჩანდა უძველესი

სვანური კოშკები ირგვლივ სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა ცა იყო ლურჯი და უსაზღვრო

- დილაა თენდება ღამის ჩუმი გმინვა და კვნესა ნელ-ნელა მატულობს
- „სტუდენტური დღეების“ პროგრამა (2003-2004 წწ )

I სტუდენტური დღეების საზეიმო გახსნა

II რექტორის შესავალი სიტყვა

III სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ა ჰუმანიტარული ფაკულტეტები (თსუ I კორპუსი, III სართ, აუდიტ 108)

ბ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ფაკულტეტები (თსუ II კორპუსი, II სართ აუდიტ 242)

## კითხვის ნიშანი

**კითხვის ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს.** *მაგ.:როდის მიდიხარ სოფელში? ნატო უკვე მოვიდა? — იკითხა თამარმა.*

**სავარჯიშო № 2. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- განა თქვენც ჩვენთან ერთად არ მოდიხართ
- — შინა ხარ — გაიკვირვა მარიამმა
- აქ საიდან გაჩნდი შე მადლიანო შენა
- დღეს წავიდეთ თუ ხვალ
- როდის ჩამოხვედი ამერიკიდან აქ დიდი ხნითა ხარ
- — რა გქვია — ჰკითხა გივიმ უცნობს
- — რა დღეა დღეს —ჰკითხა დედამ შვილს. განა სკოლაში არ უნდა წახვიდე
- ნუთუ ამით დამთავრდება ყველაფერი მეტი არაფერი მოხდება
- — რომელ ინსტიტუტში სწავლობ რომელ კურსზე ხარ რომელ კორპუსში გიტარდება ლექციები —მიაყარა კითხვები ვახტანგმა დიდი ხნის უნახავ მეგობარს
- ნეტა იწვიმებს ქოლგა წავიღო თუ შინ დავტოვო

## ძახილის ნიშანი

**დაიმახსოვრე: ძახილის ნიშანი დაისმის:**

1. **ძახილის წინადადების ბოლოს:** ქრისტე აღდგა!
2. **ბრძანებითი წინადადების ბოლოს:** აბა, ახლავე წადი!

3. მიმართვასთან (როცა მიმართვა ცალკეა ხმარებული ან დიდი გრძნობით წარმოითქმის და წინადადების თავშია ან ბოლოში) *შვილებო! ძმებო! მიყვარხართ! მიყვარხართ, შვილებო! ძმებო!*
4. ცალკე ხმარებულ შორისდებულთან; ან როცა იგი წინადადების თავშია ან ბოლოში და წარმოთქმულია დიდი გრძნობით: *ვაშა! ბრავო!*
5. ძახილის ნიშნით გამოიყოფა მიგებითი ნაწილაკი , თუ ის ცალკე დგას და ძლიერ ემოციას გამოხატავს: *დიახ! არა!*

*გახსოვდეს: როცა კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება, აღტაცება, კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად იწერება. მაგ: სახლში არ მიშვებ, დედაჩემო?!*

სავარჯიშო № 3. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს
- რა მშვენიერია რა სასიამოვნოა
- — ჩამობრძანდი მანქანიდან — შესძახეს ვანოს
- — ყოჩაღ ყოჩაღ —ყვიროდნენ მეზობლები
- მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას
- ბავშვები ყვიროდნენ დეიდა ქეთო დეიდა ქეთო ეკა ჩამოვიდა
- ჭკვიანი ხარ ჩემო თეკლე ძალიან ჭკვიანი
- ჩვენთან მობრძანდი რუსუდან
- — ჰო კარგი ახლა გაჩუმდი – გულმოსულმა მიაძახა ქალმა
- — ხალხო სმენა იყოს და გაგონება – დაიყვირა ელგუჯამ
- ოხ ოხ რა ამინდია ლამის ცა ჩამოიქცეს
- — უჰ – წამოიძახა მან მოწონების ნიშნად.
- ჩემო საყვარელო ბიჭუნავ ძალიან მომენატრე
- აბა ვახტანგ გაგვიძეხ
- აუჰ, რა თოფია რა თოფი
- ხალხო ასეთი რამ სად გაგონილა
- — როგორ თუ არ წამოხვალ — გაცხარდა თამაზი
- მათ ბედნიერებას თუ მოვესწრები მერე მე რა მიჭირს
- განა მას ჩემს მეტი დარდი არა აქვს
- მომღერლობა ხომ არ დაგიწყია ჩემო ანი
- რა საშინელებაა უშუქობა!
- მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა
- ვაიმე ვაიმე მიშველეთ ვილუპები

## მრავალწერტილი

ცნობისათვის: მრავალწერტილი დაისმის:

1) როცა სათქმელი დაუმთავრებელია, შეწყვეტილ-დაყოვნებულია, ნაწილ-ნაწილ წარმოითქმის, ძირითადი მიზეზი ამისა არის მთქმელის მძიმე სულიერი მდგომარეობა, ავადმყოფობა, უღონობა, გრძნობათა სიჭარბე, შეგნებულად აზრის არ დამთავრება. ამასთან, თუ წინადადების შინაარსი მოითხოვს, მრავალწერტილის წინ ძახილის ან კითხვის ნიშანებიც დაისმის.

*მართალო ხარ, მართალი, მაგრამ...*

*კიდევ!..კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!..მოვდივარ, მოვდივარ!..*

*ატირებულ ბავშვი ძლივს ლუღლუღებდა: „მას... მას...მას...წავლე... ბე...ლო.. . მე... მე... არაფერი ვიცი.“*

2) როცა ციტატა არასრულია.

*პოემის დასაწყისში რუსთველი ასე ახასიათებს როსტევან მეფეს:*

*„იყო არაბეთს როსტევან ,მეფე ღვთისაგან სვიანი,*
*მაღალი, უხვი, მდაბალი...“*

3) მრავალწერტილით აღინიშნება შეფერხება ენის მოკიდებისას, ბორძიკისას.

*„საკ...კკვირველია!.. საოც...ცცარია!“*

**სავარჯიშო № 4. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- — თქვენ აქ რა გინდათ ვინ ბრძანდებით
  — უკაცრავად მე მე ხმა ჩაუწყდა ბიჭს ველარ მიცანით
- — დედდა მ მოდი — დაიძახა ყმაწვილმა.
- — მერე რა მოხდება — იკითხა მარომ.
  — მერე მერე ჩვენ — ველარ დაამთავრა სიტყვა ბიჭმა.
- ავადმყოფმა თვალი გაახილა. წყ წყალი თქვა და თვალი დახუჭა.
- — არ გაბედო თორემ — აკივლდა ქალი.
- — გამ...გამარჯობა , ჯაყო!
  — ნათლია კნიაზს ვახლავარ
  —კაცო სადა ხარ სად და დაიკარგე
- მტკი თქვა ვარსქენისაგან შეშინებულმა დიაკონმა.
- ნესტანი ასე მიმართავს ტარიელს: " ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა".
- პოემის დასაწყისში ვაჟა ბუნების სურათს აღწერს: „ დღემ დაიხურა პირბადე "
- — ქალო როგორ გიკითხო ხომ მშვიდობით ბრძანდები — მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და სკამზე ჩამოჯდა
  — ვართ შენის ლოცვითა და კურთხ
  — მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი — უთხრა მკვახედ ოთარააანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა
- პატარა ნუცა ფეხზე წამოდგა და ხმამღლა დაიწყო: „ყაყაჩოსა სიწითლითა "

**გახსოვდეს: მრავალწერტილით აღინიშნება არასრული ციტატა, როცა მის დედანთან შედარებით აკლია თავი, ბოლო ან შუა ნაწილი.**

*„მირბის,მიმაფრენს ... ჩემი მერანი“;*

*ილიას „აჩრდილში“ მოხუცი ასე ევედრება ღვთისმშობელს: „... ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“*

**შენიშვნა: ზოგჯერ მრავალწერტილი გამოიყენება ტექნიკურ ნიშნად და იხმარება სახელებსა და გვარებში გამოტოვებული ასოების ნაცვლად, როცა ავტორს არ სურს დაასახელოს ადრესატის ვინაობა. მაგალითად ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ ლექსს სათაურად აქვს „თავად ა. ჭ...ძის ასულს ეკ...ნას“ („თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“).**

## XVI. მ ძ ი მ ე

## მძიმე შერწყმულ წინადადებაში

### 1) მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში

დაიმახსოვრეთ: შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წევრები, ცალკე სინტაქსურად მათთან დაკავშირებულ სიტყვასთან ერთად, ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით, თუ მათ შესაერთებლად გამოყენებული არ არის კავშირები „და“, „თუ“, „ან“ *(იგი ჩუმად იდგა და ხალხს ათვალიერებდა; ნაცვალი თუ იასაული მის ეზოში ვერ გაიჭაჭანებდა; ის მშობლებთან ან მეგობრებთან ერთობოდა).*

მძიმე დაისმის შერწყმულ წინადადებაში, როცა გვაქვს:

1. რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:

   *ქალი წამოდგა, ყველას გაუღიმა და დაემშვიდობა.*
2. რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:

   *მინდორში უკვე აყვავდა ია, ენძელა და ყოჩივარდა.*
3. ა) რამდენიმე დამატება (პირდაპირი, ირიბი) ერთ შემასმენელთან:

   *დედამ ნინოს უყიდა ჩანთა, წიგნები, რვეულები და ფერადი ფანქრები.*

   *შვილებს ეფერებოდა მიწას, მზეს, ხეს, ტყეს, ვარსკვლავებს.*

   ბ) რამდენიმე ერთი მნიშვნელობის უბრალო დამატება ერთ საერთო წევრთან:

   *იგი ფიქრობდა წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე.*
4. რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება ერთ საერთო წევრთან: *მდინარე მიდიოდა წყნარად, ჩუმად, თამამად.*
5. რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრება საზღვრულ წევრთან:

   *ბავშვებს დაურიგეს წითელი, ყვითელი, ლურჯი და მწვანე ბურთები.*

   **შენიშვნა:** რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება ერთგვარია, როცა ყოველი მათგანი უშუალოდ არის დაკავშირებული საზღვრულ წევრთან: *მაგ.: დედამ ნიკას წითელი, ყვითელი, ცისფერი და მწვანე ფანქრები უყიდა; ბნელი, მშვიდი და წყნარი საღამო იყო.*

რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება არაერთგვაროვანია, როცა ყოველი წინა განსაზღვრავს საზღვრულ წევრს მომდევნო განსაზღვრებიანად. არაერთგვარ განსაზღვრებებს შორის მძიმე არ დაისმის, მათ შორის და კავშირი არ იხმარება *მაგ.: ბებიამ სოფოს შავი ტყავის ჩანთა აჩუქა; ია მშვენიერი პაწაწინა სურნელოვანი ყვავილია.*

- **გახსოვდეს! „და" ან „თუ" კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები ერთმანეთისაგან მძიმით არ გამოიყოფა:** *ქალი და კაცი სახლში შევიდნენ; ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა — ყველა აქ მოსულიყო.*
- **მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება** *(ამ საკითხს ან დეკანი გადაწყვეტს, ან დეკანის მოადგილე),* **მაგრამ თუ „ან" კავშირი ერთხელ არის ნახმარი, ერთგვარ წევრებს შორის მძიმე არ დაისმის** *(ამ საკითხს გადაწყვეტს დეკანი ან დეკანის მოადგილე).*

## სავარჯიშო № 5. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები, გაასწორეთ შეცდომები.

- სტუდენტები მთელი დღე კითხულობენ წერენ სწავლობენ
- მურია იღრინება ყეფს ტრიალებს
- საღამოს დათო ადგა ოთახში შევიდა წიგნი აიღო და ბაღში გავიდა.
- მარიამმა კარგად იცოდა რუსული ინგლისური და გერმანული ენები
- ამ ქალაქში ცხოვრობენ ქართველები რუსები სომხები თათრები
- გლეხებს მოჰყავთ ხორბალი ქერი შვრია და სიმინდი
- ავადმყოფები ბრმები დავრდომილები ტაძრის წინ იდგნენ და ლოცულობდნენ
- მარიამმა სახლი მორთო რბილი ტახტებით კარგი სკამებით სარკით
- დაიტანჯა ტირილით კვნესით ოხვრით
- ჰაერი დატვირთულია ნესტით ბუღითა და მტვრით
- ოთახში სანთლების მკრთალი ნაზი ციმციმა შუქი აკიაფდა
- გარეთ ნელი თბილი ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა
- საუზმის სადილისა და ვახშმის დროს შევხვდებით ხოლმე
- კეთილშობილი ჭკვიანი ერთგული ცხოველია ძაღლი
- ტუჩებზე უცნაური გაურკვეველი და დამცინავი ღიმილი აუთამაშდა

- სასტუმროებში ბარებში მანქანებში ტევა აღარ იყო
- ეზოებში შუკებსა და ორღობეებში ძაღლები დარბოდნენ
- ეტყობოდა, ობლად უდედოდ იყო გაზრდილი
- ამაყად მრისხანედ მედგრად იდგა ის ქალი ჩემ წინაშე
- წყნეთიდან კოჯრიდან ოქროყანიდან პანტიანიდან უამრავი მაწონი ჩამოჰქონდათ თბილისში.

## მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში

**ცნობისათვის:**

1. მძიმე დაისმის:

ა) შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გამოსაყოფად: მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული გამლიერებითი „კიდეც“ ნაწილაკის წინ, თუ იგი გამეორებულია: *ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს.*

ბ) უკუთქმით წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირად გამოყენებულ „ც(ა)“ ნაწილაკდართული უარყოფითი ნაწილაკების წინ, რომლებიც განმეორებულია: არც...არც, აღარც...აღარც, ვეღარც...ვეღარც, ნურც...ნურც: *ეს არც ადამიანის, არც ცხოველის, არც მწერის ხმა არ არის.*

გ) მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე: როგორც ...ისე, არა მარტო...არამედ, არა თუ...არამედ და სხვა. წყვილის მეორე ცალის წინ მძიმე დაისმის: *როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს.*

- შენიშვნა: ზოგჯერ „არამედ“ გამოტოვებულია: *მზეთუნახავი კი არა, ანგელოზი იყო, ნამდვილი ანგელოზი.* მძიმე ამ შემთხვევაშიც დაისმის.

2. მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების (ხან...ხან, ან...ან, გინდ....გინდ, თუნდ...თუნდ) წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება; *მაგ.: ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა; ან დედა დაგირეკავს, ან მამა გამოგივლის.*

3. მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების (მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არ...არამედ, კი არ ..... არამედ) წინ. *მაგ.: ბიჭები დაშოშმინდნენ, მაგრამ იმ ადგილს კი მაინც არ შორდებოდნენ.*

ცნობისათვის: 1. როცა წინადადებაში სიტყვები ზედიზედ მეორდება, განმეორებულ სიტყვებს შორის მძიმე დაისმის: *ხვალ შინ იქნება, უეჭველად იქნება!*

2. მძიმე დაისმის შესადარებლად გამოყენებულ კავშირებთან „როგორც“, „თითქოს“, „ვიდრე“, როცა ისინი წინ უძღვიან შესადარებელ სიტყვას *( წყალი ცივი იყო, როგორც ყინული).*

## სავარჯიშო № 6. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- იმ დღიდან ამაზე აღარც ვდარდობდი აღარც ვნაღვლობდი
- ჩაფიქრდა გურამი ვერც წინ წავიდა ვეღარც უკან დაბრუნდა აღარ იცის რა ქნას
- ნურც მკვდარს გამწირავ ნურც ცოცხალს
- ეს ჭაღარა კაცი ხან აქ ხან იქ გამოჩნდებოდა ხოლმე
- შაშვები )ალიან შეწუხდნენ: ვერც ბარტყები დაზარდეს ვერც ქურდი იპოვეს.
- კიდეც ვლხინობდი კიდეც ვმღეროდი
- არა მარტო ჩემი ახლობლები არამედ ყველა მკაცრად გავაფრთხილე არ დაეგვიანებინათ
- მორბის მურია აღარც ისვენებს არც დგება არც წვება
- სეტყვას ვაზისთვის არა მარტო მტევნები არამედ ფოთლებიც კი დაუმტვრევია
- პატარა ელენეს ტალახით არა მარტო ფეხები ცხვირიც კი დაუსვრია
- უმცროს შვილს ხან ძალიან ვანებივრებდი ხან მკაცრად ველაპარაკებოდი

## სავარჯიშო№ 7. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- დათო ხან მზეს ხატავდა ხან ყვავილებს ხან ტანკებსა და მანქანებს
- მოდი წავიდეთ ვნახოთ ან სიმართლეს გავარკვევთ ან იმას მაინც გავიგებთ ვის მივაკითხოთ
- მომღერლებმა მიკროფონები მოიმარჯვეს მაგრამ თითქმის ცარიელი დარბაზის დანახვაზე ხასიათი გაუფუჭდათ
- ჭკვიანი მაგრამ ცოტა ეშმაკიც იყო ჩვენი ვანო
- მაისის თბილი მაგრამ წვიმიანი დღე ჩემში სევდას იწვევდა
- ნინო პროფესორისათვის შეკითხვის დასმას აპირებდა მაგრამ ვერ გაბედა.

- რაც გინდა მთხოვე ოღონდ მისი სახელი აღარ მიხსენო
- გიორგი ხან დედას შეხედავდა ხან მამას
- წავიდეთ ვნახოთ ან მკვდარს შევხვდებით ან ცოცხალს
- გინდ რეგვენისათვის გისწავლებია გინდ მკვდრისათვის გიწამლია
- ახლა სოლომონი არაფერს თაკილობდა ოღონდაც ოჯახი გამოეკვება.

სავარჯიშო № 8. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- ტვირთი ძალიან მსუბუქია თუმცა მოცულობით საკმაოდ დიდია
- მისი დუმილი ქალს კი არ აწყნარებდა არამედ უფრო აფორიაქებდა
- ნიკო ტანით დიდია თუმცა ასაკით პატარაა.
- ასე უზრუნველად უდარდელად ცხოვრობდნენ სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში და ვერც გრძნობდნენ, რამდენი საქმე დაუგროვდათ.
- რამდენჯერ მომნატრებია, ჩემო ქალაქო, შენი პატარა მოკირწყლული ქუჩები ჩუქურთმიანი აივნები წითელი კრამიტით დახურული სახლები
- ყოველ გლეხს ოჯახში უხვად ჰქონდა მატყლი და ძაფი მახათი და ნემსები ხორბალი და პური ღვინო და სიმინდი
- სუფრაზე ეწყო სველი დოქი შოთები მწნილი კიტრი და ყველი
- კახა ხან თავდაუზოგავად შრომობდა ხან მეგობრებთან მიიჩქაროდა გასართობად
- სიცხიანი ბავშვი ვერ წყნარდებოდა ჭირვეულობდა ტიროდა
- ახლაც თვალწინ მიდგას მისი დამჭკნარი დაღარული დანაოჭებული მაგრამ საოცრად კეთილი სახე

**სავარჯიშო № 9. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- მოსწავლეები მთის ფერდობს ნელ-ნელა უდარდელად სიცილ-კისკისით შეუყვნენ
- მასწავლებელი ჩამორჩენილ მოსწავლეს ხან უჯავრდებოდა ხან ეფერებოდა ხან ამხნევებდა
- ჩანთა სავსე ჰქონდა სხვადასხვა ნივთებით: კალმებით წიგნებით რვეულებით რაღაც ფურცლებით და უცნაური ნახატებით
- ვერც მგელი შემაშინებს ვერც - ტურა
- ადგა ამხედრდა მელია ულვაშს გადისო ხელია კუდზე ეჟვანი შეიბა ხმლით დაიმშვენა წელია

**სავარჯიშო № 10. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ოდესღაც თქვენც ხომ ჩემს სკოლაში სწავლობდით ჩემს საყვარელ სკოლაში
- ქალი ლამაზი იყო საოცრად ლამაზი
- ბნელა ბნელა ჩემს სულში ისე ბნელა როგორც ჯოჯოხეთში
- რა ეშველება ახლა მარტო სულ მარტო დარჩა
- დაწყნარდი გენაცვალე დამშვიდდი და ისე მიპასუხე
- დიდხანს ძალიან დიდხანს მჯეროდა რომ თოვლის ბაბუა არსებობდა
- მომწონს უზომოდ მომწონს ფარჯიანის ნახატები
- ახალგაზრდები ისე უყურებდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ 80 წლის მოხუცს როგორც საოცრებას
- წვიმა როგორც სქელი ფარდა ისე ჩამოეფარა ჩემს ფანჯარას

**სავარჯიშო № 11.** დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- როგორც გამოცდილი და ფრთხილი კაცი ზაზა ადრიანად შეუდგა თადარიგს.
- გაღმიდან თითქოს ათასი კაცი ერთად აყვირდაო ხმაური გაისმა
- თითქოს გულში ვიღაცას უჯავრდებაო რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა.
- მშვენიერი წყარო ცივი როგორც ყინული და წმინდა როგორც ბროლი გადმოჩუხჩუხებდა იქვე
- როგორც შაჰის ლაშქარი ისე შემოხვეოდა ხალხი უცნობ ბიჭს
- ამას ვერასდროს ვერასდროს შევეგუები

## მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

*ცნობისათვის:* წინადადების წევრი ზოგჯერ შეიძლება პაუზით გამოეყოს მეზობელ სიტყვებს და განცალკევებით დადგეს. ამ მოვლენას განკერძოება ჰქვია, ხოლო თვით წევრს — განკერძოებული. გარდა განკერძოებული წევრებისა, გვაქვს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც განცალკევები დგანან, მაგრამ წინადადების წევრის განკერძოებას არ წარმოადგენენ.

**განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებია: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული.**

## მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან

*ცნობისათვის:* წინადადების წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, განსაზღვრება ჰქვია *(გაზაფხულის მზიანი და თბილი დღე იყო).*

განკერძოებულ განსაზღვრებას, ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან განსხვავებით, ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა, იძლევა დამატებით შემავსებელ ცნობას არსებითი სახელით ან გაარსებითებული სახელით გადმოცემული წევრის შესახებ და წინადადებაში თავისი საზღვრული წევრისაგან ინტონაციითა და პაუზით გამოიყოფა, *(გაზაფხულის დღე იყო, მზიანი, თბილი).*

განკერძოებული განსაზღვრება უმთავრესად საზღვრული წევრის შემდეგაა, მაგრამ იშვიათად უსწრებს მას. განკერძოებული განსაზღვრება თავისი მომყოლი სიტყვებითურთ გამოიყოფა მძიმით (როცა წინადადების თავშია ან ბოლოში), ან მძიმეებით (როცა წინადადების შუაშია). იშვიათად განკერძოებულ განსაზღვრებასთან შეიძლება დაისვას ორწერტილი ან ტირე *(გიორგი კარგი ყმაწვილია: წესიერი, განათლებული; დღეს ახალი ამბავი გავიგე — სასიამოვნო და საგულისხმო).*

**სავარჯიშო № 12. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- უცხოეთში მცხოვრები ქართველი სტუდენტები შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი ახალგაზრდები ოცნებობდნენ სამშობლოში დაბრუნებაზე.
- მანანა თავიდან ფეხებამდე დასველებული ოთახში სიცილით შემოვიდა
- ამ პატარა გოგონამ გასოცარი ნიჭის მქონემ უკვე რამდენ რამეს მიაღწია
- ზურაბი გარინდებული ხმას არ იღებდა
- დედამისმა ადრე დაქვრივებულმა მარტოხელა ქალმა დიდი წვალებით გამოზარდა სოსო
- სკოლის დირექტორი აღელვებული მოსწავლეთა ამგვარი ქცევით მშობელთა კრების მოწვევას აპირებდა
- პეტრე ბეჯითი ბიჭი იყო დაუზარელი
- მან კი შერცხვენილმა როგორ უნდა შემომხედოს თვალებში
- ჩემთან ერთად იმგზავრა ჭაღარა ქალბატონმა დარბაისელმა და ცხოვრებით დაბრძენებულმა
- ზვიადმა მთებმა ცად ამაყად აზიდულებმა ჯანღი გადაიყარეს
- „მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი

  მას აქეთ იქით აქანებს სიო საამო და ნელი“

**სავარჯიშო № 13. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- წამოსულს მამის სახლიდან ნანულის აღარსად დაედგომებოდა
- დახვეწილი ხალხი ყოფილა განათლებული და ბრძენი
- გოგის ფიქრებში წასულს გასროლის ხმა არც გაუგია
- მშვენიერი დილა გათენდა თბილი მზიანი
- შინ მისულს დაღლილ-დაქანცულს სავარძელში ჩასძინებოდა
- დედამისი დიდად განათლებული ადამიანი მეტად განიცდიდა შვილის უწიგნურობას
- გიგას მშვენიერი ცოლი ჰყავს ტანადი ცისფერთვალება
- როგორც გამოცდილ მთასვლელს რჩევას ყველა თამაზს ეკითხებოდა
- მე გახარებული და ბედნიერი შვილთან შესახვედრად გავრბოდი

**სავარჯიშო № 14. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- იგი ვით ცოცხალი მუდამ ჩვენთან იქნება და გაგვამხნევებს
- ონისეს როგორც მარტო ერთ რამეზე დაფიქრებულს სხვა ვერა წარმოედგინა რა
- ყველა გონიერი კაცი თუნდა უწიგნოც ზოგჯერ მწიგნობრისთვისაც კი ოსტატია
- სოფელსაც აქვს თავისი დარდი ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული
- ბოროტი იყო რუქა თუმცა ჭკვიანი
- ნიკა ისედაც ჭკუამხიარული უფრო გახალისდა
- აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი ნაყოფიერი და დაუვიწყარი
- ცხენოსნები რიცხვით ოცდახუთამდე თანდათან უახლოვდებოდნენ სოფელს

**სავარჯიშო№ 15. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- შორს გამოჩნდა ქალი ახლად შეღერებული თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული
- პირველი ორატორი წინა რიგში მჯდომი ხან დარბაზს გადახედავდა ხან ისევ სიტყვას ითხოვდა

- ალნაგობით ალვის ხეს ჰგავდა მაღალი თხელი ტანკენარი
- დედამისმა შავებში ჩაცმულმა სანდომიანმა ქალმა თავაზიანად დამიკრა თავი
- სტუმარი სიცივით გათოშილი ცეცხლს ეფიცხებოდა
- თენგიზი ყველგან დაეძებდა თავის მოსკოველ მეგობარს ამ ქალაქში პირველად ჩამოსულს
- მაიას ლამაზი კაბა ეცვა დედის მოქარგული
- ის იყო ხალხი იშლებოდა, რომ დარბაზში შემოვიდა კონკურსში გამარჯვებული ანა ბედნიერი და მომღიმარი
- ერთი ქალი შავთვალება და გრძელცხვირა ყველას ეკამათებოდა.

**სავარჯიშო № 16. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- გასაოცარი რომანი იყო საინტერესო მაღალმხატვრული და შინაარსიანი
- ნამდვილი ფერია იყო ნაზი და ჰაეროვანი
- ჩემს სოფელს დიდი მინდვრები აკრავს თვალუწვდენელი
- მომხიბლავი იყო დიანა მშვენიერი
- ერთმა პიროვნებამ  დიდი გავლენის მქონე კაცმა ხელი შეუშალა საქმე ბოლომდე მიეყვანა
- მამამისივით უცნაურია სიტყვაძვირი ჯმუხი
- მოსამართლემ კოპებშეკრულმა ხმამაღლა და გამოთქმით წაიკითხა განაჩენი
- ვახტანგს ამის გამგონეს თვალზე ცრემლი მოადგა
- ვეცოდებოდი იმასაც იმ ცხონებულსაც.

**სავარჯიშო № 17. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ მარტო სხვების დაუხმარებლად
- ქალი ფანჯარასთან იდგა გაღიმებული ალერსიანი
- ის კი მაღალი და მოხდენილი ამაყად მიუყვებოდა მელიქიშვილის ქუჩას
- შენ კი ქართველი ხარ ჩვენი მხრისა
- მისი სახლი ან უკეთ რომ ვთქვათ სასახლე ქალაქის ცენტრში იდგა
- პატარა ელენეს საჩუქრად წიგნი ვუყიდე ნახატებიანი
- ზოგს საჩხუბრად გამზადებულს ხელში ჯოხი ეჭირა
- მთელს ეზოში ისმოდა ნინიკოს ერეკლეს უმცროსი დის ტირილი

## მძიმე დანართთან

*ცნობისათვის:* დანართი სახელით გადმოცემული წინადადების რომელიმე წევრის შესახებ დამატებითი ცნობის შემცველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია, რომელიც მისამართ წევრთან შეერთებულია პაუზით ან საგანგებო საკავშირებელი სიტყვით *(ჩვენ, ბავშვებს, ეს ძალიან გვახარებდა; ჩემი მეგობარი, სახელად ირაკლი, მსოფლიო ჩემპიონია ჭიდაობაში ).*

დაიმახსოვრე! 1) დანართი წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუვრცობლად (ე.ი. ცალკე ერთეულად). მაგ.: *ისინი ჩემს უფრის ძმს, ვანოს, უმზერდნენ.*

2) უპირატესად დანართი გავრცობილია მომყოლი სიტყვებით ან სიტყვით . *მაგ.: კართან დაეინახეთ ქალი, გიორგის დედა.*

3) ასახსნელ-განსამარტავ წევრებთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია, როგორც საკუთრივ კავშირები (მაიგივებელი), ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები: ესე იგი (ე.ი.), ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, უმთავრესად, კი, მეტადრე, ისიც, სიგრძით, სპეციალობით, წოდებით, სახელად, მეტსახელად, გვარად, ტომით, მოდგმით, წარმოშობით, ეროვნებით და მისთ. მაგ.: ეს დიდად ახდენდა გაელენას ხალხის ზნეობაზე, ე.ი. მორალზე.

*არ დაგავიწყდეს, რომ დანართი ცალკე თუ თავისი მიმყოლი სიტყვებით წინადადებისაგან გამოიყოფა მძიმეებით (როცა შუაშია), მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში).*

***ზოგჯერ უკავშირო დანართი ტირეთი ან ფრჩხილებით გამოიყოფა ( ჩემი მეგობრები — ნინო რუხაძე და ლელა ნიჟარაძე — გუშინ ქორწილში წავიდნენ).***

**სავარჯიშო № 18. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- შენს მშობლებს მიხეილსა და სალომეს მთელი სოფელი დიდ პატივს სცემს
- ამ სტატიას შენს დეიდაშვილს ირინეს ვათარგმნინებ
- თქვენ ახალგაზრდებმა არ იცით დროის ფასი
- ჩემი და ნანა ყოველთვის მზად არის დახმარება გაგიწიოს
- მარინეს დედამთილმა სოფიომ მშვენიერი მასპინძლობა გაგვიწია
- მარჯვნივ თბილისის ულამაზესი უბანია სოლოლაკი
- თქვენ მეცნიერები ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ სულ წიგნებში იქექებით
- მე ელიზბარს ამის დაჯერება არ მინდოდა
- ჩვენ ექიმებმა არ უნდა დავუშვათ ამ დაავადების ქალაქში გავრცელება

**სავარჯიშო № 19. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- თორნიკე, ჩემი უფრისი ძმა უნივერსიტეტში სწავლობს.
- იქვე იდგა ლევან ჩხეიძე, შესანიშნავი ადამიანი და სწავლული.
- ამ ახალ წამლებს ვერაფერი გავუგე, ამბობდა დავითი, მოხუცი ექიმი.
- ნონა, ახალბედა სტუდენტი, მორცხვად იღიმებოდა და აუდიტორიას ეძებდა.
- ნაბდიანი კაცი, გუგუა ფიჩიტაური, იყო სასიძო.
- თითოეული სტუმარი, ანუ წვეული, ვალდებულია თემის ადათ-წესები დაიცვას.
- ჩემმა მეზობელმა, ივანემ, ბუნებით კეთილმა კაცმა, ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა.
- მისი უფროსი შვილი, ათი წლის ირაკლი, წიგნს კითხულობდა.
- თავად მოსე გძელაძეს, დიდად პატივცემულ და კარგი გვარის შვილს, ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა.
- ჭიშკართან დავინახე ხანში შესული კაცი, ნიკოს მამა.

**სავარჯიშო № 20. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ყვავილები ყველას უყვარს, განსაკუთრებით ქალებს.
- მათი ნათესავი, სახელდობრ, მანანა, უნდა გაგვესეირნებინა.
- საქართველოს მინერალური წყლები, მაგალითად, ბორჯომი და ნაბეღლავი, საქვეყნოდ არის ცნობილი.
- ვთქვათ, დღეს გადარჩი, ხვალ რას აპირებ?
- ჩვენი ქუჩის აღმართი, სიგრძით ხუთასი მეტრი, ძლივს ავიარეთ.
- დედამისი, სახელად სალომე, მუდამ თან დაჰყვებოდა.
- ეს ბიჭი, მეტსახელად ჭკუისკოლოფა, ყველას ძალიან უყვარდა.
- როგორც დიდოსტატს და ჩემპიონს, მას ყველა სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდა.
- აპრილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე.
- როგორც ბრძენი ადამიანი, თემური ჯერ კოლეგებს მოეთათბირს და გადაწყვეტილება მერე მიიღო.
- მათ უკვე წაიკითხეს ეს წიგნი, თამარმა და დავითმა.
- ეს ამბავი ბებიაშენს არ უამბო, ერისთავის ქალს.
- ეს იყო უმცროსი ბრეგაძე, სერაპიონი.

**დაიმახსოვრე:**
**1) დანართს ამხსნელ-დამაზუსტებლად შეიძლება მოსდევდეს სხვა დანართი ან დანართები. ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა.** *მაგ: ახლალა გამახსენდა შალვა, ჩემი ტოლი, მეგობარი, სტუდენტი, შალვა მურვანიძე.*

**2) დანართი იშვიათად მისამართი წევრის განმეორებაა, ოღონდ იგი, როგორც წესი, გავრცობილია სხვა სიტყვებით.** *მაგ: კედელზე ეხატავდი სურათებს, უმთავრესად მწყემსების სურათებს.*

## ავარჯიშო № 21. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- ჩვენს ახალგაზრდა თანამშრომელს, ჩემს უახლოეს მეგობარს, დიდი მადლობა უთხრეს გაწეული შრომისათვის.
- ქუთაისელ მანანას, მაია ნაკაშიძის ბიძაშვილს, პეტრე კობახიძის ნათლულს, თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლა გადაუწყვეტია.
- მათ მფარველობდა მეფის ძმისწული, დიდი მთავარი ნიკოლოზი.
- დღეს შემთხვევით შევხვდი ერთ ჩემს ძველ ნაცნობს, სვანს, გვარად მარგიანს, რომელმაც მესტიაში დამპატიჟა.
- წმინდა გიორგის ხატი კი, აი, ეს ხატი, ახლა თქვენ რომ უყურებთ, რამდენიმე არაკაცმა სვანეთის ერთი ეკლესიიდან მოიპარა.
- მარიამი, ათი წლის მარიამი, ზეპირად უშეცდომოდ ყვებოდა ვეფხისტყაოსანს.
- ამ სახლს, ბაბუაჩემის აშენებულ დიდ სახლს, სიყვარულით იმერულ სასახლეს ვეძახდით.
- თუთიყუში, ჩემი საყვარელი თუთიყუში, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
- მთელი ცხოვრება მიხმობდა პარიზი, ჩემი ოცნების ქალაქი.

## მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან

***ცნობისათვის:*** გარემოება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც ზმნას ახლავს და გვიჩვენებს თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება.

ზოგჯერ ერთ გარემოებას ახლავს მასთან აზრობრივად დაკავშირებული სხვა გარემოება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მას *(აქ, ქალაქის ამ უბანში, ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა; გუშინ, სამ საათზე, მე და ნინო ერთმანეთს შევხვდით)*. ასეთ გარემოებას განკერძოებული გარემოება ჰქვია.

ქართულში ფართოდაა გავრცელებული ადგილის, დროის და ვითარების გარემოებათა განკერძოების შემთხვევები, იშვიათია მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოება.

**განკერძოებული გარემოება წინადადებაში მძიმეებით გამიყოფა.**

**სავარჯიშო № 22. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- „მთის მწვერვალზე ცის მახლობლად მერცხლის ბუდედ რაღაც მოსჩანს"
- იქ იმ ოთახში მარტო გოგონები ისხდნენ.
- გზის იქით ბექობზე ნაძვნარის გვერდით კოხტა სასტუმრო აუშენებიათ
- წინათ აქ ირგვლივ ყველგან გაუვალი ტყე იყო
- ეტყობა, აქ ქობულეთში თბილისთან შედარებით სინესტეა
- იქით გზის გასწვრივ ალუბლის ხეები ყვაოდა
- გუშინ საღამოს რვა საათზე ინგლისიდან დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა დამირეკა
- ერთხელ ღამით ძლიან გვიან როცა ყელაფერი უკვე დავიწყებული მქონდა ლევანი მეწვია და ისევ ამაფორიაქა
- მეც თქვენსავით მთიელი ვარ კავკასიიდან
- მე წელს პირველად ვნახე მთები აქ ყაზბეგში
- სახლის უკან დიდი კაკლის ხის ქვეშ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ჩამომსხდარიყვნენ.

სავარჯიშო № **23. დასვით სასვენი ნიშნები.**

- საღამოობით შებინდებისას ერთად ვიკრიბებოდით და საჭირბოროტო საკითხებზე ვმსჯელობდით
- ერთხელ ნასადილევს სანამ საბანაოდ ჩავიდოდით გაწვიმდა
- ჩვიდმეტ თებერვალს ხუთშაბათს საღამოს ცხრა საათზე გაბადრული მომადგა ეკა და ახალი ამბავი მითხრა
- მიხეილმა თავისებურად მამაშვილურად დაარიგა ლევანი და ისე გაუშვა შინ
- მთელი დღე შრომობდა ფუსფუსებდა ჭიანჭველასავით

- შეუპოვრად ებრძოდა გიორგი მტერს უშიშრად
- ძალიან მხიარულად ცხოვრობთ ლაღად  უზრუნველად
- ავადმყოფმა ისევ დაიწყო საუბარი თუმცა სუსტად არათანაბრად
- მხნედ იყავით ყოჩაღად უშიშრად ვაჟკაცურად
- ისე სხვათა შორის არც მე მაწყენდა დასვენება და ევროპაში გასეირნება
- მან მშვიდად თუმცა მტკიცედ დააფიქსირა თავისი პოზიცია

## მძიმე "გარდა" და "მიუხედავად" თანდებულიან სახელებთან

***გახსოვდეს:*** მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული **გარდა და მიუხედავად** თანდებულიანი გამოთქმები.*( მაგ: ყველამ ვიცით, ზოგის გარდა; ბებოს, ჩემ გარდა, კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა; მიუხედავად ამისა, იგი ოჯახის დიდი მოსიყვარულე იყო).*

განკერძოებულია აგრეთვე გამოთქმები: **პირველ ყოვლისა, უწინარეს ყოვლისა, უპირველესად ყოვლისა.**

**სავარჯიშო № 24. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- მაღაზიაში გამყიდველის გარდა არავინ იყო
- ახალგაზრდას გარდა განათლებისა ცხოვრებაში სწორ გზაზე ვერაფერი დააყენებს
- ყველა პირველკურსელმა გარდა ერთისა წარმატებით ჩააბარა გამოცდა
- იმისი სატკივარი შვილის მეტს არავის ესმოდა
- დავითს წიგნების გარდა სხვა სიმდიდრე არ ჰქონდა
- მიუხედავად იმისა რომ დაბერდა მაინც ლამაზი იყო
- მიუხედავად სიბნელისა შეშინებული  ნინო შუქს მაინც არ ანთებდა
- ოჯახის  წევრები მოსეს გამოკლებით მხარს ლამარას უჭერდნენ
- მოუხედვად ყველაფრისა მე ისევ მიყვარხარ და მენატრები
- უპირველეს ყოვლისა მინდა ჯანმრთელობა გისურვოთ
- გიორგის გარდა იქ ბევრის სხვაც იყო
- ეს უპირველეს ყოვლისა  შენ გეხება

# მძიმე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

*ცნობისათვის:* ჩართული ჰქვია სიტყვებს, სიტყვათშეერთებებს და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ მოუბარის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადებების მნიშვნელობასთან, იძლევიან გამონათქვამის საერთო შეფასებას, მიუთითებენ აზრის წყაროზე და ა.შ.

ჩართული არ წარმოადგენს წინადადების წევრს, არ დაესმის კითხვა, ვერ ამყარებს გრამატიკულ კავშირს წინადადების წევრებთან.

**ჩართული გვხვდება წინადადების თავში, ბოლოში, შუაში. გამოიყოფა მძიმით, როცა წინადადების თავშია ან ბოლოში და მძიმეებით, როცა წინადადების შუაშია მოქცეული.**

1) ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში: *რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ცხადია, მართლაც, ტყუილია, მახსოვს, მე რომ მკითხოთ, არც მეტი არც ნაკლები, ბოლოს და ბოლოს..*

2) აზრი მიჩნეული საეჭვოდ, საიუოდ, გამოთქმულია მთქმელის ვარაუდი: *მგონი, ჩანს, ალბათ, ცოტა არ იყოს, თუ არ ვცდები, ვინ იცის, ასე თუ ისე, ერთიც ვნახოთ, ვფიქრობ..*

3) ხდება რაიმე ფაქტის შეფასება, განზოგადება: *ჩვეულებრივ, როგორც წესი, როგორც ვიცით, საზოგადოდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საერთოდ..*

4) გამოხატავს მთქმელის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას: *სამწუხაროდ, ბედად, რაღაც ეშმაკად, ღვთით, ჩემდა ბედად, რა ვქნა, მტრისას..*

5) მითითებულია აზრის წყარო: *ჩემი აზრით, რომ იტყვიან, ამბობენ, როგორც ძველად ამბობდნენ, მისი წარმოდგენით, გაზეთების ცნობით..*

6) უჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას სტილისადმი:. *უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასე ვთქვათ, უფრო სწორად. . .*

7) მიემართება თანამოსაუბრეს, იპყრობს მის ყურადღებას: *ნუ გაგიკვირდებათ, თუ გნებავთ, როგორც გეტყობათ, ასე გასინჯეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი . . .*

8) ჩართული სიტყვები და გამოთქმები გამოყენებულია აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით დასალაგებლად, ან გვიჩვენებს დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან: *ჯერ ერთი... მეორე, თანაც, ერთი მხრივ — მეორე მხრივ, პირველი..., მეორე...,ერთი სიტყვით, ამგვარად, ამრიგად, როგორც მოგახსენეთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოკლედ, მით უმეტეს, მაგალითად, პირიქით, სხვათა შორის., სამაგიეროდ . .*

9) ჩართულია საალერსი სიტყვები და გამოთქმები, ზოგიერთი ფიცის ფორმულა, რომელიც შორისდებულის მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევენ: ***შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი კვნესამე, გეთაყვა, დედაშვილობამ, ძმობამ, შვილოსა, ღმერთმანი, ჩემმა მზემ, გეფიცები და სხვ.***

ჩართულის ფუნქციის შესრულება შეუძლია მრავალსიტყვიან წინადადებასაც. ამ შემთხვევაში ის შეიძლება ტირეებით გამოიყოს ან ჩაისვას ფრჩხილებში *(უკვე წელიწადზე მეტია ნიკო —ასე ეძახდნენ მეზობლის ბიჭს — გერმანიაში წასულიყო და მისგან არაფერი ისმოდა).*

**სავარჯიშო № 25. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ეს მართლაც სამწუხარო ამბავი იყო
- ერთი სიტყვით ამას უკვე აღარაფერი ეშველება
- ასეთი იყო არჩევნების ჩატარების ასე ვთქვათ ევროპული მოდელი
- მარიამი ცოტა არ იყოს გამხდარი მეჩვენა
- რაღაც დამამშვიდებელი თუ გნებავთ ლმობიერი იყო ჩვენი დირექტორის ბოლო გამოსვლა
- ბილეთი დაახლოებით ათასმა კაცმა შეიძინა
- მისი ვარაუდით ზაფხულში სულ ცოტა 500 ლარი ექნებოდა
- რა თქმა უნდა მე მისი წაყვანა აღარ მინდა
- რასაკვირველია მე მოვითხოვ ყველა წიგნი ფაქიზად შეინახოთ
- ვფიქრობ ამის გაკეთება ძნელი არ იქნება

**სავარჯიშო № 26.** დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- როგორც გეტყობათ ამ ქალქში პირველად ხართ
- ბედად წვიმამაც გადაიღო
- დეიდა სხვათა შორის ხაჭაპურით გაგვიმასპინძლდა
- მას უძილობა აღარ აწუხებს პირიქით ბევრი სძინავს
- როგორც ჩანს სტუმრები ძალიან დაიგვიანებენ
- ამ ქალს ეტყობა იქ არავინ ელოდა
- მე შენ გეტყვი ხელფასი გვაქვს ნორმალური
- დავითი ჩოგბურთს კარგად თამაშობს სამაგიეროდ ფეხბურთში მოიკოჭლებს

- ეს ამბავი როგორც თვითონ მიხვდებით ხალხმა გვიან გაიგო
- დრო თურმე საუკეთესო მკურნალია
- თავი ნუ მომიკვდება შენ არსად გაგიშვა
- თუ გიყვარდე არ მიმატოვო შენი ჭირიმე

## მძიმე მიმართვასთან

*ცნობისათვის:* მიმართვა ჰქვია წინადადების გარეთ მდგომ ან მის შემადგენლობაში შემავალ, მაგრამ წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას, რომელიც ასახელებს მას, ვისკენაც არის მიმართული საუბარი. მაგ.: *წამოდექით, ყმაწვილებო, სკოლაში გაგვიანდებათ!*

***დაიმახსოვრე!*** **მიმართვა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელია.** ის შეიძლება იდგეს წინადადების თავში, შუაში, ბოლოში.

ა) წინადადების თავში მოქცეული მიმართვის შემდეგ იწერება მძიმე, თუ იგი დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული. მაგ.: *კაბა, სად არის გელა?*

თუ მიმართვა დიდი გრძნობით არის წარმოთქმული, მაშინ ძახილის ნიშანი იწერება მაგ: *მეგობრებო! ნუ შეშინდებით!*

ბ) წინადადების შუაში მოქცეული მიმართვა მძიმეებით გამოიყოფა: *თქვენ წინაშე, ბატონო მაიორო, ბოდიშს ვიხდი.*

გ) თუ წინადადება მიმართვით მთავრდება, მის წინ მძიმე იწერება, ბოლოში კი წინადადების შესატყვისი ნიშანი: *არ მოდიხარ, ნანა?*

**სავარჯიშო № 27. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ბავშვებო თქვენ გაიხარეთ როგორ დამეხმარეთ
- მაპატიე მშვენიერო ქალიშვილო სად გაირუჯე ასე ლამაზად
- ვაი შენს დამკარგავს ჩემო პეტრე
- წავიდეთ ბატონო მინისტრო პრესკონფერენცია უკვე დაიწყო
- რა დაგემართა შე კაცო გამაგრდი ასე როგორ შეიძლება
- წადი შვილო ღმერთმა ხელი მოგიმართოს
- ფრთხილად შვილო ფრთხილად იყავი
- დამშვიდდით ქალბატონო დაწყნარდეთ ნუ ღელავთ
- ვაგლახ შენ არსენა ოძელაშვილო
- მადლობელი ვარ ჩემო ძვირფასო მეგობრებო ყველაფრისათვის

- ასე არ შეიძლება ჩემო ბატონო
- მოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანი
- ახლა შენ იყოს რჯულძაღლო ხელს არ ჩავარდეს სხვისასა

## მძიმე მიგებით ნაწილაკსა და შორისდებულთან

*ცნობისათვის:* მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი (ჰო, კი, დიახ), უარყოფითი (არა, ვერა). წინადადებაში ისინი, თუ დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული, მძიმით გამოიყოფა. თუ დიდი გრძნობით- ძახილის ნიშნით.

შორისდებული გრძნობას და ნება-სურვილს გამოხატავს. თუ დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული, მძიმით გამოიყოფა; თუ დიდი გრძნობით- ძახილის ნიშნით.

**სავარჯიშო№ 28. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- არა თქვენ ცდებით.
- არა ღმერთმანი არ შემიძლია
- ჰო ეგ სხვა საქმეა .
- დიახ დიახ ყველაფერი კარგად გავიგეთ
- კი კი არ დავაგვიანებ
- არა ვერ დაგეთანხმებით
- დიახ ეს ჩემი ბიძაშვილია
- ღმერთმა ადიდოს შენი ძალი წმინდაო გიორგი
- აბა რა ძნელია ეს ყველაფერი
- ახ ახლა ყველაფერს იტყვიან
- ვიშ რა დილაა ვიშ ვიშ
- იფ რა გემრიელია
-ოხ ბატონ ზურაბს გაუმარჯოს
- ყოჩაღ რა კარგად უპასუხე
- უი შე საწყალო ჰმ ახლა რაღას გააწყობ დამშვიდდი
- ვაიმე დედა ფეხი
- უიმე უიმე ეს რა ამბავია
- ოლოლო ვერ გამოიცან
- არიქა მარჯვედ იყავით
- არა აყვავდეს იმედი გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა
- აუუ მაგას როგორ ამბობ შენ რომ არ გენდო ვიღას ვენდო
- მაშ აქაც.ლაპარაკობენ ქართულად?
- ჰა ჰა ჰა გულიანად გადაიხარხარა ზურაბმა

- ვაი ვაი ვიშვიშებდა ბებია
- მიაუ მიაუ  გაისმა მეორე ოთახიდან

*ცნობისათვის: რთული შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები დეფისით იწერება (ვაი-ვაი, ხა-ხა-ხა, წკაპ-წკაპ და სხვ.). დეფისით არ იწერება შორისდებულთა რიგებში შემავალი იდიომატური გამოთქმები: თქვენმა მზემ, დილა მშვიდობისა, ძილი ნებისა, შენი ჭირიმე და სხვ*

## მძიმე რთულ წინადადებაში

### მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში

***ცნობისათვის:*** რთული  თანწყობილი ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან

გახსოვდეთ!. **როგორც უკავშირო, ასევე კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები, თუ მათ არ აერთებთ და კავშირი, ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა** *(ბავშვი ხან იცინოდა, ხან ტიროდა; მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი; მზე ამოვიდა და არემარე განათდა).*

მძიმე დაისმის კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში:

ა) მაცალკევებელი კავშირების ან. . .ან, ხან. . .ხან წინ, გარდა პირველად ხმარებულისა (თუ „და“ კავშირი არ არის ნახმარი): *ხან წვიმს, ხან თოვს.*

ბ) მაპირისპირებელი კავშირების „მაგრამ“, „ხოლო“ წინ: *დაუშალეს, მაგრამ მაინც წავიდა.*

გ) მძიმე არ დაისმის მაპირისპირებელი კავშირის „კი“-ს წინ, არამედ იწერება წინადადებათა საზღვარზე: *ნინო ადგილზე დარჩა, ეკა კი გაიქცა.*

გახსოვდეთ! მძიმით გამოიყოფა უკავშირო თანწყობილ წინადადებათა ნაწილები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულნი არ არიან „და“ კავშირით: *მარტი გავიდა, გათბა დღე, დარები დგება მზიანი.*

**სავარჯიშო № 29 დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ხან ევროპის დიდ ქალაქებს ვესტუმრე ხან რუსეთის პატარა სოფლები მოვინახულე
- ანა ბათუმში პირველად იყო ქობულეთი კი ბევრჯერ უნახავს
- ნანას ამ ქალაქში ბევრი მეგობარი ჰყავდა მაგრამ  დათოს გარდა არავის შეხვედრია

- გადიოდა დღეები თენგიზი კი არ ჩანდა
- ან წიგნი მოიტანე ან ლექსი ისწავლე ან დავალება შეასრულე ან წადი და თვალით არ დამენახო
- ქალებმა ელენე ბაღში გაიყვანეს გივი კი გურამს გაუძღვა მარნისკენ
- ტყემ მოისხა ფოთოლი აგერ მერცხალი ჭყივის ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის
- მზე მალე ჩავიდა პაპანაქება სიცხე საღამოს გრიალმა ნიავმა შეცვალა
- ნიკო სასტუმრო ოთახში იჯდა ხოლო თეკლე სამზარეულოში ფუსფუსებდა
- ხვალ სკოლაში ან დედაშენი უნდა მოვიდეს ან მამაშენი

## მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

***ცნობისათვის :*** რთული ქვეწყობილია წინადადება, თუ ის შედგება მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადადებისაგან.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მოსდევს მთავარ წინადადებას, ზოგჯერ უსწრებს მას, ზოგჯერ კი მთავრის შიგნითაა მოქცეული.

***მძიმე დაისმის:***

1. **მთავარი წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება:** *საღამო ხანი იყო, როცა დავითი შინ მივიდა.*
2. **დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს მთავარი წინადადება:** *როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო.*
3. **როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარის შიგნით, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა:** *სტუმარი, რომელსაც დიდხანს ელოდნენ ბავშვები, მართლაც ეწვია სკოლას.*

სავარჯიშო **№ 30.** დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- შარშან ისეთი ამინდები იყო რომ შესანიშნავი მოსავალი მივიღე
- მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ვაჟკაცი რომელსაც სვანური ქუდი ეხურა

- ყველამ ისე უნდა იმუშაოს რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს
- კოტე დარწმუნებული იყო რომ ამ პრობლემას ადვილად გადაჭრიდა
- პაატა ყველაფერს ხედავდა რაც ეზოში ხდებოდა
- ეს ახალგაზრდა მასწავლებელი ყველას უყვარდა რადგან იგი მეტად თავმდაბალი და განათლებული იყო
- მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო
- ნუ მომაგონებ იმას რაც არ მინდა მოვიგონო
- ნატომ ვერ გაარკვია თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა

**სავარჯიშო № 31. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნე**ბი.

- ვიდრე სტუმრები მოვიდოდნენ სახლი დავალაგე
- რამდენადაც საზიზღარია დაშინებული მამაკაცი იმდენად მშვენიერია შემკრთალი ქალი
- სანამ რამეს იტყვი დაფიქრდი ნუ აჩქარდები
- გათენდა თუ არა მეც ფეხზე წამოვხტი
- რაწამს თვალი მოვაშორე საბუთები სადღაც გაქრა
- იმ დღეს როცა გამოცდას ვაბარებდი გადუღებლად წვიმდა
- ვანო სულაც არ მოელოდა რომ მისი გამოჩენა ასე გაახარებდა თანასოფლელებს
- მე დარწმუნებული ვარ რომ გულწრფელად ლაპარაკობ
- ყველა იმაზე ლაპარაკობდა როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი ხვალინდელი დღე
- ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ რომ მე ქვეყანას გალობით ვატკბობ
- ირემი რომელიც მონადირემ დაჭრა იქვე დაეცა

**სავარჯიშო № 32. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- ახალგაზრდებმა რომელთაც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება სურთ რექტორის სახელზე უნდა დაწერონ განცხადება
- მაშინ კი როცა მისი ხმა ისევ გავიგონე გული სიხარულით ამიძგერდა
- ღამე როცა ყველას ეძინა ბებია იჯდა და კერავდა
- ხვალ დილით სანამ სკოლაში წახვალთ გაკვეთილები გაიმეორეთ
- იქ სადაც ბევრი ხალხია ყოველთვის გაიგებ რამე ახალს
- ის ქუჩა სადაც ილია ცხოვრობდა ახლა თითქმის დანგრეულია
- როგორი ავთანდილიც შენ იყავი მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე
- ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს რომელიც მოსვლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულობდა
- ელისო რომელიც წყაროსთან იჯდა მწარედ ჩაფიქრებულიყო
- სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ და მისროლია ისარი სად მამა-პაპა მეგულვის ჩემი სამშობლო ის არის

*გახსოვდეს!*

**1) უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც გამოტოვებულია "რომ" ან "თუ", დამოკიდებული წინადადება მთავარისაგან მძიმით გამოიყოფა:** *ლევანმა გადაწყვიტა, (რომ) ქალაქში წასულიყო.*

**2) "რომ" კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას:** *გიორგი მალე მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო.*

**3) "რომ" კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას; მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის:** *შინ რომ მივიდა, უკვე შუაღამე იყო.*

სავარჯიშო № 33. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- გოგიმ შენიშნა ლალის მკვდრის ფერი დასდებოდა
- ვანო მიხვდა რაშიც იყო საქმე
- მე ვიცი შენი სამშიბლო აქედან შორს არის

- არავინ იცოდა რა მოუვიდა ამ გოგონას
- ჩვენს შვილებს უნდა ვუანდერძოთ ეს ძმობა მტკიცედ დაიცვან.
- ეტყობოდა აქ რაღაც საიდუმლო იფარებოდა
- დიმიტრი მიხვდა რას გულისხმობდა ბარამიძე
- შეშინებულმა მარინემ გადაწყვიტა არავისთვის ეთქვა ეს ამბავი
- პოეზიის საღამოზე იმდენი ხალხი მოგროვდა ერთი თავისუფალი ადგილიც არ დარჩა

სავარჯიშო № 34. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- ქუჩაში რომ გავიდნენ უცნაური მანქანა დაინახეს
- ეს რომ მცოდნოდა ნამდვილად არ მოვიდოდი
- აქ რომ დარჩენილიყვნენ ყველა კმაყოფილი იქნებოდა
- დიდი სიფრთხილე მართებდა ფეხი რომ არ ასრიალებოდა
- კარგა შებინდებული იყო შინ რომ დაბრუნდა
- ფული რომ ჰქონოდა ამ აგარაკს აუცილებლად იქირავებდა
- ჯერ ბავშვი ვიყავი ჩვენი ოჯახი აქ რომ გადმოვიდა საცხოვრებლად
- წინამურთან რომ მოკლეს ილია მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი
- მოგახსენებთ რომ თქვენი დავალება შესრულებულია
- პეტრემ თქვა რომ, ხვალ აუცილებლად მოვიდოდა.

სავარჯიშო № 35. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- ხან ლექციაზე აგვიანდება ხან წიგნი რჩება მაგრამ მაინც ცდილობს თავისი გულმავიწყობა არ შეიმჩნიოს
- ღრუბელი გაიფანტა მზემ გამოაჭყიტა

- სკოლასთან სადაც დათო სწავლობ დიდი სასურსათო მაღაზიაა
- გურამმა მოინდომა კარის გაღება მაგრამ მაიამ დაუშალა
- სამსახურიდან რომ დავბრუნდი მამა უკვე წასული დამხვდა
- ხომ იცი რა არის დედის წინათგრძნობა
- ბავშვის დედა ისა ვინც ბავშვი გაზარდა
- ინგას ეგონა კოკა ყოველთვის მოიტანდა წყალს
- ეს პორტრეტი რომ დაამთავრა მხატვარმა ამოისუნთქა
- თენდებოდა სოფელს რომ მივუახლოვდით
- ყოველთვის როცა მატარებელში ვჯდები ბებია მახსენდება

## წერტილ-მძიმე

*ცნობისათვის:* წერტილ-მძიმე ერთმანეთთან მიჯნავს, გამოყოფს ერთნაირ ენობრივ ელემენტებს (ერთგვარ წევრებს ოუ ერთგვარ წინადადებებს).

წერტილ-მძიმე შუალედურ ადგილზე მდგომი სასვენი ნიშანია წერტილსა და მძიმეს შორის.

**სავარჯიშო № 36. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- გაზაფხული დადგა ცხვრის ფარა ფერდობზე გაიშალა ისმოდა ძაღლების ყეფა და ცხვრების ბღავილი
- მზე ამოვიდა ნისლი გაიფანტა ზღვა სარკესავით ალივლივდა
- დავითი ტაძარს ხან შორიდან უცქერდა მისი სილამაზით ტკბებოდა ხან თვალს მოაცილებდა და მთებს შეხედავდა მერე ახლოს მივიდოდა და ახლა ჩუქურთმებს დაუწყებდა თვალიერებას ბეჯითად აკვირდებოდა ყველაფერს ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა
- ზღვის ნაპირზე უამრავ ბავშვს მოეყარა თავი ერთნი წყალში შესულიყვნენ მეორენი იქვე სილაში თამშობდნენ სხვანი ბურთს დასდევდნენ ნიკა და ზურა ქოლგის ქვეშ შემალულიყვნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ

- ეს მაშინ მოხდა როცა აფხაზეთში ომი მძვინვარებდა როცა სოხუმის ქუჩებში ტყვიის ზუზუნი ისმოდა როცა ქალაქში სახლები იწვოდა ხალხი გარბოდა და არავის ეცალა მუზეუმებისა და ნაკრძალებისთვის.
- გიორგის გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა სკოლა მშობლები მასწავლებლები გაახსენდა უნივერსიტეტელი მეგობრები
- მთავრობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს: ქვეყანაში შექმნილი მწვავე ენერგოდეფიციტის აღმოფხვრა კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლის გაძლიერება მოსახლეობის დასაქმება და მრავალი სოციალური საკითხის მოგვარება
- ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ბუნება უაღრესად მიმზიდველი პოეტური ფერებით არის დახატული. აი რამდენიმე ნიმუშიც: „ნისლი ფიქრია მთებისა იმათ კაცობის გვირგვინი" „ბუნება მბრძანებელია იგივ მონაა თავისა ზოგჯერ სიკეთრს იხვეჭავს ზოგჯერ მქმნელია ავისა... მაინც კი ლამაზი არის მაინც სიტურფით ჰყვავისა" „მოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანო ჩემსამც სასმარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი"

## ორწერტილი

*ცნობისათვის:* ორწერტილი იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში.
ორწერტილი დაისმის:

1.თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა:

*ყველაფერი მდუმარებს: მინდორი, ტყე, ველი.*

**შენიშვნა:** თუ განმაზოგადებელ სიტყვას მოსდევს ისეთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე (მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა), ასეთი სიტყვის წინ მძიმე იწერება, შემდეგ კი — ორწერტილი .

*„აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვა ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი ნალები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი*

*შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და ხვანი".*

**ერთგვარ წევრთა შორის ორწერტილი შეიძლება მაშინაც დაისვას, როცა წინადადებაში არ არის განმაზოგადებელი სიტყვა, მაგრამ დამწერს სურს მითითება ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე.**

*აქ შეკრებილიყვნენ: მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები, ქალები.*

2. უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ან კიდევ ხსნის, განმარტავს, ვრცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობას.

*ნიკო სოფლის მასწავლებელი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ჰყავდა მოსიყვარულე ცოლ-შვილი და, რა თქმა უნდა, უამრავი მადლიერი მოწაფე.*

3. პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა.

*დიდ პოეტს უთქვამს: „რაც ერთხელ ცხოვლად სულ დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის"; ბოლოს ჰკითხა: „მითხარ, რა გქვია სახელად?"*

სავარჯიშო № **37.** დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.

- უამრავი პეიზაჟი დაუხატავთ ცნობილ ქართველ მხატვრებს კაკაბაძეს ახვლედიანს კალანდაძეს სანაძეს და სხვებს
- თუ სკოლის საუკეთესო მოსწავლეები ლევან ტაბიძე სალომე ბერულავა და ირაკლი კობახიძე მათემატიკური ნიჭით გამოირჩევიან დათო გეგეშიძე და ნათია ნიჟარაძე ჰუმანიტარულ დისციპლინებში ტოლს არავის უდებენ.
- ყველას მიხედავს და უპატრონებს მოხუც მეზობელს უსინათლო მათხოვარს ობოლ ბავშვებს
- სხვა ყველაფერი დაივიწყა: სამსახური, მოვალეობა, ოჯახი
- იგონებდა მეგობრებს მანანას არჩილს გურამს კოტეს
- დარბაზიდან მხიარული ხმები ისმოდა კისკისი ხითხითი ხარხარი

- ბებიაჩემი პატარა ბავშვს დაემსგავსა ბავშვივით ყველაფერი უხაროდა პატარა რამე სწყინდა ზოგჯერ უმიზეზოდ იბუტებოდა
- ჯერ ბიბლიოთეკის საქმეებს მოვრჩი კატალოგში წიგნები მოვძებნე გამოვწერე დაველოდე სანამ წიგნი მოვიდოდა შემდეგ დარბაზში დავჯექი და კითხვას შევუდექი
- მარიამმა პატარა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და თქვა რა ფერი გადევს გენაცვალე
- უცებ გაისმა ჩურჩული არ დაიშალოთ ბატონი მიხეილი მოდის
- ნანამ ლაბადა აიღო და დათოს უთხრა უნდა წავიდე
- შოთა რუსთაველი გვასწავლის „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი"
- ასეთი წიგნები სახელდობრ სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო ლიტერატურა ამ მაღაზიაში არ იყიდება
- ქართული ღვინოები მაგალითად რქაწითელი ქინძმარაული მანავი ოჯალეში ევროპის მრავალ ქვეყანაში იყიდება
- აქ იყო ყველა ნინოს დედ-მამა ბებია-ბაბუა და-ძმები და მეგობრები.

## ტირე

*ცნობისათვის:* ტირეს ფუნქცია **წინადადებაში მრავალფეროვანია.** ტირე ზოგჯერ იხმარება ორწერტილის, მძიმისა და ფრჩხილების ადგილზე.

*ტირე დაისმის:*

1. შემასმენლის გამოტოვებისას:
   *ლევანი მეორე სართულზე ცხოვრობს, ნატო კი — მეოთხეზე.*
2. როცა შედგენილ შემასმენელში გამოტოვებულია ზმნური ნაწილი (მეშველი ზმნა):
   *ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა.*
3. კავშირის გამოტოვებისას:
   *ხელს მოუჭერ — დაიჭყივლებს, გაუშვებ — გაჩუმდება.*

4. **განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმული წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვას უსწრებს ერთგვარი წევრები:**

*ბავშვები, დედაკაცები, მოხუცები — ყველანი მოგროვდნენ.*

- *შენიშვნა: ერთგვარი წევრები, ჩვეულებრივ, ტირეებით გამოიყოფა, როცა ის ჩასმულია განმაზოგადებელი სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებული სიტყვებს შორის. მაგ. ასეთი მანქანები — „მერსედესი", „ვოლვო", „ოპელი" და სხვ. — ამჟამად თბილისშიც იყიდება.*

5. **დანართის წინ, თუ დანართი წინადადების ბოლოშია; თუ დანართი წინადადების შუაშია, იგი თავისი ამხსნელი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან ტირეებით გამოიყოფა:**

*აქ ერთი ძვირფასი მცენარე ცვლის მეორეს — უმთავრესად ვარდი და მიხაკი.*
*ნიკამ შორიდანვე იცნო ჭიშკართან მდგარი სტუმრები — გიორგი და ლევანი — და გახარებულმა მათკენ გასწია.*

6. **რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ:**

*უცებ დუმილი ჩამოწვა — ხანგრძლივი და უხერხული.*

7. **ჩართული სიტყვებისა და წინადადებების გამოსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია:**

*იმ წუთებში კატოს — ასე ეძახდნენ მოახლეს — ერჩია, მიწა გასკდომოდა.*

- **შენიშვნა:** ჩართულის გამოსაყოფად ტირეებთან ერთად ზოგჯერ სვამენ მძიმეებსაც (მძიმე წინ უძღვის ტირეს):

*აი, იმ მთის გადაღმა, — გაიშვირა მთებისაკენ ხელი, — სულ ჩვენებურები ცხოვრობენ.*

8. **"ეს" და "ეგ" ნაცვალსახელების წინ, რომლებიც ცვლიან წინამავალ სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას:**

*ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული.*

9. **ავტორის სიტყვების გამოსაყოფად, როცა ისინი პირდაპირი ნათქვამის შემდეგაა ან მის შიგნითაა მოქცეული (ჩვეულებრივ, ტირესთან ერთად მძიმეც დაისმის)**

*— იცი, რა უნდა გითხრა? — ჰკითხა ვაჟმა.*
*— არ ვიცი, — მიუგო ქალმა.*
*— რა და მიყვარხარ, — მორცხვად ჩაილაპარაკა გიამ, — მეტი აღარ შემიძლია, უნდა გამოგიტყდე.*

10. **დიალოგებში პერსონაჟთა ნათქვამის გამოსაყოფად, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახალი სტრიქონი ეთმობა:**

*— აქაურები ხართ?*
*— დიახ.*
*— ვანოს თუ იცნობთ, კიკვიძეს?*
*— კი, როგორ არა. აგერ, ამ სახლში ცხოვრობს.*

11. **სიტყვებს შორის, რომლებიც აღნიშნავს სივრცეს, დროს ან რაოდენობის მიჯნებს.**

*მაგ. V-VI სართულები, I-II კლასები, 60 -70-იანი წლები, მოსკოვ-თბილისის მატარებელი, ივლის-აგვისტოს არდადაგები.*

12. საკუთარ სახელებს შორის, რომელთა ერთობლიობით დასახელებულია რაიმე მოძღვრება, სამეცნიერო დაწესებულება.

*მაგ. ნუცუბიძე—პონიგმანის თეორია; სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტი.*

სავარჯიშო № 38. დასვით ტირეები და სხვა სასვენი ნიშნები.

- „ხევი მთას მონებს მთა ხევსა
  წყალნი ტყეთ ტყენი მდინარეთ"
- „სიკვდილსა გლოვა უხდება
  მკვდარ ძმას ტირილი დისაო
  ტყესა ხარ-ირმის ნაფრენი
  ზოგ დროს ყმუილი მგლისაო".
- „ხან უგნური ვარ ხან ბრძენი
  ხან არც ისა ვარ არც ისა"
- „ვაჟკაცსა გული რკინისა
  აბჯარი თუნდაც ხისაო
  თვალნი ქორებულ მხედველნი
  მუხლები შევარდნისაო"
- რა მშვენიერი ყმაწვილია ზრდილი თავზიანი ღმერთმა ხელი მოუმართოს
- ყოჩაღი ბიჭია ზურაბი აზრიანი ჭკვიანი მხნე და გამრჯე
- ის ამბავი ყველამ იცის ერმაც და ბერმაც
- პაპაშენი ღმერთმა აცხონოს გულთბილი კაცი იყო
- აქეთ ახლა მარჯვნივ მიახედა ბავშვები გოგიმ ჯვრის მონასტერია V VI საუკუნეების ძეგლი
- ქეთევანი 40 წლისა იქნებოდა მაგრამ 30 35 წლისას ჰგავდა
- სპორტი ეს ჯანმრთელობის საწინდარია
- ამ ოთახში ნინოს ჰქონდა მოწყობილი თავისი კუთხე ნიკოს კი მეორე სართულზე
- ეხლა მაგას დაიჟინებ თართიაო !
  ორაგულია-მეთქი
  ეჰ თართია თავი არ მომიკვდება, არც ახლა დაიჯერებ ?!

ორაგულია ორაგული დაიძახა კნეინამ
აბა საიდან იცი რომ ორაგულია
შენ საიდანღა იცი რომ თართია

## ფრჩხილები

**ცნობისათვის: ფრჩხილები ერთი ნიშანია. ფრჩხილებში ჩაისმის:**

**1) სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც ხსნიან, განმარტავენ წინა სიტყვის მნიშვნელობას:**

*დიაკვანმა მღვდელს აიაზმა (ნაკურთხი წყალი) მიაწოდა.*

**2) ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას ძირითად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით:**

*სანდრომ (უკან მიდიოდა) მოისურვა კახას მიშველება.*
*სადილობა გადასული იყო (ქართლში სადილობა დილის პურის ჭამას ჰქვიან და სამხარი — სადილს).*

**3) მსმენელთა რეაქცია სტენოგრაფიულ ანგარიშებში:**

*(ტაში), (მქუხარე ტაში), (სიცილი), (გამოცოცხლება დარბაზში).*

**4) რემარკები დრამატულ ტექსტში.**

*კაროჟნა (შემოდის მორთული): აი, მე მზად ვარ.*

**5)ფრჩხილებში ჩაისმის ტექსტში დამოწმებულ წყაროზე მითითება.**

*ილიას ეს წერილი მისი თხზულებების V ტომშია დაბეჭდილი (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა ტომი V, თბ., 1987 წ. გვ. 34-76).*

**გახსოვდეს! არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ არ დაისმის წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე, ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ.**

სავარჯიშო № **39.** დასვით სასვენი ნიშნები.

- მელიას უნდოდა ბუდე ერთის ხელით თათით ჩამოეგდო მაგრამ ბუდე მაღლა აღმოჩნდა
- იამზეს დაიბადების წელს თუ ცოტა შემდგომ მე-2 კლასის მოსწავლე ვიყავი მახსოვს მამაჩემმა პირველად წამიყვანა ცირკში.

- დათო ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ
- "თეთრი გენერალიც" მოვიდა ასე ეძახდნენ ვორონცოვს.
- ძლივს არ გავისტუმრე ურმები ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა
- არგონავტების თქმულებაში კოლხიდა დასავლეთი საქართველო გამოყვანილია მაღალი კულტურის ქვეყნად
- გიომ ცხენს ალიკაპი ხის ალვირი ამოსდო
- ბუკიოტი პატარა ბუამ ტყეშიც იყო
- აკაკი თავის მემუარულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი" წერს: „საწერეთლოში ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც" აკ. წერეთელი თხზ. ტ.II თბ 1989 გვ 45

## ბრჭყალები

ცნობისათვის: ბრჭყალებში ჩაისმის:

ა) უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატები, გამოთქმები, რომლებიც სხვას ეკუთვნის და არა ავტორს:

*რუსთაველმა ბრძანა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია".*

ბ) რაიმე საგნის, ორგანიზაციის, დაწესებულების, გაზეთის, ჟურნალის, ნაწარმოების, კინო-ფილმის, სპექტაკლის, გემის, მაღაზიის, სასტუმროს და სხვათა სახელწოდებები.

*მაგ. გაზეთი „ალია", ჟურნალი "ცისკარი", ლექსი „მერანი", სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე", გემი „შოთა რუსთაველი", სასტუმრო „მეტეხი"და სხვ.*

გ) ირონიულად ნათქვამი, ასევე, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები:

*გიორგი დიდხანს აფრქვევდა თავის „სიბრძნეს".*

დ) ლიტერატურაში დასაშვები ბარბარიზმები და მოძველებული სიტყვები:

*„იამშიკმა" შემომიბღვირა; „ძიძაობა" ჩვენში ისტორიული ჩვეულება იყო.*

*გახსოვდეს!*

- წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე ან ტირე მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის:
  *მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა ქართული კინოფილმი „ნატვრის ხე",რომელიც თენგიზ აბულაძემ გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვით გადაიღო.*
- კითხვის და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც ბრჭყალებშია მოქცეული:
  *„მტკიცედ სდგაა?"— ჰკითხა იაკობმა შუშანიკს.*
- კითხვის და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ ის ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას:
  *ვისი ლექსია „განთიადი"?*

**სავარჯიშო № 40. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები.**

- სადილად სასტუმრო საქართველოში შევედით
- ოროველას თვალცრემლიანი ვუსმენდი
- ორკესტრმა ვიღაცის დაკვეთით სამშობლო დაუკრა
- მწერალს ეს ამბავი ქართლის ცხოვრებაში ამოუკითხავს
- ოტელოზე ბილეთები ვერ ვიშოვე
- ვარსქენი ამბობს: აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ.
- იგი ხშირად ხმარობდა პოჟალუსტას და ნიუჟელის
- საღაამოობით მიადგებოდნენ მატარებელს ბესპრიზორნიკები.
- მაყურებელი დიდი ინტერესით უყურებს საინფორმაციო პროგრამა კურიერს
- ლარსის სტანციაში ილია ერთ რუს ოფიცერს შეხვდა
- ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო თქვი შენ და მე გავიგონე
- ფრიად საყურადღებო შრომა გამოაქვეყნა ჟურნალ მაცნეში აკადემიკოსმა სტეფანე მახარაშვილმა ქიზიყური მეტყველების თავისებურებანი
- ისტორიული პოემა მეფე დიმიტრი თავდადებული ილიამ 1877 1878 წლებში დაწერა

- საწოლთან გადაშლილი იდო თ. დოსტოევსკის რომანი ძმები კარამაზოვები
- გამომეკიდნენ სტოროუები კიჟინით სტოი სტოიო
- ვის შესახებ ამბობს დავით კლდიაშვილი საქმე კარგად წავიდა ფული რიგიანად შემოუდიოდა მუდამ ჰყავდა თითო სოფელი საჭმელად
- ვეფხისტყაოსნის რომელი პერსონაჟის სიტყვებია ესე ამბად არ ეგების რომე სპარსნი გაგვიხასდნენ
- ვაჟას რომელ ნაწარმოებში ვხვდებით ამ სიტყვებს განა ყველა რაც ხმელია კაცისგან საწუნარია

*გახსოვდეს!*

**ბრჭყალებში არ ჩაისმის სიტყვა სახელობის შემცველი სახელწოდებანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.**

## XVII. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

დაიმახსოვრე! პირდაპირი ნათქვამი ტირეთი ან ბრჭყალებით გამოიყოფა.

პირდაპირი ნათქვამი, რომელსაც არ დაერთვის სიტყვასიტვითი ნაწილაკი (-მეთქი, -თქო, -ო), ბრჭყალებში ჩაისმის.

1. თუ ჯერ ავტორის სიტყვებია, შემდეგ პირდაპირ ნათქვამი, ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი დაისმის, ხოლო პირდაპირი ნათქვამის შემდეგ ის ნიშანი, რას შეეფერება შინაარსის მიხედვით:
   *ყოველ გაკვეთილის ბოლოს ასე გვემშვიდობებოდა: „ნახვამდის, მომავალ ორშაბათამდე“.*

2. თუ პირდაპირი ნათქვამი უსწრებს ავტორის სიტყვებს, მის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი, შემდეგ — ტირე:
   *„როგორც ჩანს, დღესაც არვინ მოვა“, — გაიფიქრა ლევანმა.*

3. კითხვის, ძახილის ან კითხვით-ძახილის შინაარსის შემცველი პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი და ტირე მაგ.:

*„ხომ არ წავიდე?"— ფიქრობდა ქალი.*
*„მობრძანდით, ბატონო ნიკო! — შინ შეიპატიჟა სტუმარი ნინომ.*
*„ის გოგო უნდა წამართვას?!" — ბრაზობს ზაალი.*

შენიშვნა: სხვათა სიტყვის „ო" ნაწილაკდართული პირდაპირი ნათქვამის ბრჭყალებში ჩასმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ იგი სხვისი ნათქვამია: „ზღვა კოვზით დაილევაო"; „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო"

**4. პირდაპირი ნათქვამი დიალოგში ახალი აბზაცით იწყება და მის წინ ტირე იწერება (მაშინ ბრჭყალები საჭირო აღარ არის):**

*— ჩემთან ბრძანდებით? — ღიმილით იკითხა მან.*
*— დიახ, — მორცხვად მიუგო ქალმა.*

**5. როცა ავტორის სიტყვები მოქცეულია პირდაპირ ნათქვამის შიგნით, გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:**

**ა) ავტორის სიტყვები მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა, როცა იგი პირდაპირ ნათქვამში ჩართულია იმ ადგილას, სადაც მისი ჩართვის გარეშე ან საერთოდ არ არის სასვენი ნიშანი, ანდა საჭიროა მძიმე:**

*— ამას წინათ, — განვაგრძე მე, — ნინო თეატრში ვნახე;*
*— ომი უწინაც გვქონია, — ამბობდა იგი, — მაგრამ მოგვივია.*

**ბ) თუ ავტორის სიტყვები ჩართულია იქ, სადაც მისი ჩართვის გარეშე წერტილია საჭირო, მაშინ ავტორის სიტყვების წინ იწერება მძიმე და ტირე, შემდეგ — წერტილი და ტირე.**

*— გვიან არის, – თქვა მაიამ და წამოდგა. — ღამე ნებისა!*

**გ) თუ ავტორის სიტყვების ჩასმის ადგილას პირდაპირ ნათქვაში მის ჩაუსმელად საჭიროა ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი ან კითხვა-ძახილისა, მაშინ ავტორის სიტყვების წინ სათანადო ნიშანი დარჩება, ხოლო შემდეგ წერტილი და ტირე დაიწერება**

*— არასოდეს დაგეთანხმებით ამ სისულელეზე! – მოისმა ლიას ხმა. — არასოდეს დავემცირდები ისე, რომ მაგათ რამე ვთხოვო.*
*— შენ ლაპარაკობ ჩვენზე? — ხმა აიმაღლა ნუგ ზარმა. — განა შენ არა ხარ ყველაფრის მოთავე?*

*შენიშვნა:* პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი და ტირე იწერება იმ შემთხვევაში, თუ ავტორის სიტყვებში არის ორი ზმნა და მათგან პირველი პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს ეხება, ხოლო მეორე — მორე ნაწილს.

*„ ეს ნინოს ქმარი უნდა იყოს!" — გაიფიქრა მან და მანანას უჩურჩულა: — კარგი ბიჭი ჩანს, ახლოს მივიდეთ!*

**სავარჯიშო № 41. დასვით სასვენი ნიშნები.**

- წამოვდექი მშვენიერ ასულთან მივედი და განვუცხადე ნება მიბოძეთ გაგეცნოთ მე ბაქარ ბარათელი ვარ
- ამ ამბავმა შოთა რუსთაველის აფორიზმი გამახსენა კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების
- მამაჩემი ვენახში წავიდა მაგრამ მალევე მობრუნდა და გვითხრა აბა ბიჭებო წამომყევით მომეხმარეთ
- ოთახიდან საზარელი ყვირილი მოისმა რას მერჩით რა დავაშავე რა გინდათ ჩემთან
- ალბათ საპატიო სტუმარს ელიან ფიქრობდა ნათია
- აკაკი კარისკენ მიტრიალდა მაგრამ ამ დროს სალომეს ხმა შემოესმა არ წახვიდე მეშინია მარტო ნუ დამტოვებ
- მამის ხნის რომ გახდება გოგიც ასეთივე დინჯი და დარბაისელი მამაკაცი იქნება გაიფიქრა მარინემ
- ეს რა ამბავია დიდება შენს სახელს ღმერთო გაიფიქრა ირაკლიმ.
- ეჰ რა მოგზაურობა ჩამეშალა თქვა ნანამ მაგრამ იმედია რომ მომავალ წელს მაინც შევძლებ გამგზავრებას
- უკვე წასვლის დროა წამოდგა თამარი კარგად ბრძანდებოდეთ

**სავარჯიშო № 42. დასვით სასვენი ნიშნები.**

- ნუთუ ამით დამთავრდება ყველაფერი არ ცხრებოდა დათო ნუთუ მეტი არაფერი მოხდება
- წავიდეთ თქვა ლუკამ საცაა ინათებს
- ნინო დედა სად არის ჰკითხა მიხეილმა შვილს
- ქართული ანდაზა გვასწავლის რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო
- იმასაც ამბობენ დაამატა ნანამ რომ მალე სტუდენტებს არდადეგები დაეწყებათ და ექსპედიციაში წავლენო
- აბა ახლა კი გაჩუნდი შვილო დაუყვავა მან პატარა ირინეს დაიძინე

- მე ვამბობ დაბეჯითებით თქვა ოთარმა რომ ქვა სწორედ ამ ადგილას ეგდო
- ნიკო იცი რას გეტყვი ჩაერია ზურაბი მოდი შენ და ლევანი ერთად წადით სოფელში
- ცოტახანს კიდევ გაუძელით გამაგრდით მეგობრებო ყვიროდა იგი
- ვინ უნდა გავგზავნოთ იკითხა პეტრემ ყველანი დაღლილები ვართ
- არა უკაცრავად არ ცხრებოდა ანა მე სწავლისა და წიგნის წინააღმდეგი არა ვარ

**სავარჯიშო № 43. გადააკეთეთ პირდაპირი ნათქვამი ირიბად და პირიქით. დასვით სასვენი ნიშნები.**

*ნიმუში: დედამ უთხრა შვილს, რომ დამჯდარიყო და წიგნი წაეკითხა.*
*დედამ უთხრა შვილს: „დაჯექი და წიგნი წაიკითხე!“*

*მასწავლებელმა სთხოვა მშობლებს: „ყურადღება მიაქციეთ შვილების ყოფაქცევას!“*

*მასწავლებელმა სთხოვა მშობლებს, რომ ყურადღება მიექციათ შვილების ყოფაქცევისთვის.*

- მანანამ უთხრა ანანოს ფრთხილად იარე არ დაეცე
- წადი შვილო მაღაზიაში და ხილი იყიდე უთხრა ბებიამ დათოს
- მეფემ მოითხოვა რომ მისთვის ლურჯა ცხენი მოეგვარათ
- ამაზე არც იოცნებო ღიმილით შენიშნა მასწავლებელმა.
- ყმაწვილებმა მოითათბირეს რომ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე გაისეირნებდნენ.
- კაცმა იყვირა გაჩუმდით და მომისმინეთ
- დედამ დაიბარა სახლი დაალაგეთ და სადილი გააკეთეთ
- მათ გადაწყვიტეს რომ წასულიყვნენ და პასუხი მოეთხოვათ

- მმართველმა გვიბრძანა არ გავნძრეულიყავით და მას დავლოდებოდით
- დღეს ნამდვილი გაზაფხულის ამინდია თქვა ლელამ

## სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა

*გახსოვდეს!*

- სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: **-მეთქი** (მიღებულია „მე ვთქვი" წინადადებისაგან), **-თქო** (მიღებულია „თქვა" ზმნისაგან) და **ო**.
- **-მეთქი** ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა პირველი (მოუბარი) პირი წინათ ნათქვამს ან განაზრახს განმეორებით გადმოსცემს.
- **დაიმახსოვრე! -მეთქი ნაწილაკი სიტყვისგან გამოიყოფა დეფისით.** *აკი გითხარი, ხვალ აუცილებლად მოვალ-მეთქი.*
- მრავლობით რიცხვში -მეთქის ნაცვლად გვაქვს ო ნაწილაკი: *ქარმა ღრუბლები გაფანტა, ვიფიქრეთ, იქნებ აღარ იწვიმოსო.*
- -თქო ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი სთხოვს ან ავალებს მეორე პირს თავისი ნათქვამი გადასცეს სხვას, ე.ი. მესამე პირს, რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს: *დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-თქო.*
- -თქო სიტყვისგან დეფისით გამოიყოფა ( თქვა არასწორი ფორმაა).
- შეცდომაა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად -თქო ან -თქვა ნაწილაკების გამოყენება: *მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი, ვადავრჩი-თქო ( უნდა იყოს მეთქი).*
- ო ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) გადმოსცემს მესამე პირის ნათქვამს. ის იწერება **სიტყვასთან ერთად.** *დედის ნათქვამიც გამახსენდა: არ დააგვიანოო.*
- **-მეთქი, -თქო და -ო ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში არ ჩაისმის.**

  **შენიშვნა:** სხვათა სიტყვის „ო" ნაწილაკდართული პირდაპირი ნათქვამის ბრჭყალებში ჩასმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ იგი სხვისი ნათქვამია:

  *ნათქვამია: „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო".*

**სავარჯიშო № 44. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

- აკი მოგახსენეთ, დილით ადრე უნდა ავდგე თქო
- აკი გითხარი მოვალ თქვა
- უთხარი რო ცოცხალი ვარ ისევ მიყვარხარო.
- ჩვენებსაც შეატყობინე, უთხარი სასწრაფოთ მანქანა გამოგზავნეთო
- გუნებაში ვამბობდი: რა გამოუცდელი ვიყავი-თქვა.
- ვიფიქრე, მარჯვენა ხელს გავიფუჭებ და მარცხენას მივცემთქვა
- ქაჯან გაიქეცი დედაშენს უთხარი ერთი პური გვასესხეო
- დედამ მითხრა მაგათ რო აჭმევ შვილო სხვებს ხო გული დაწყდებათ-ო
- იტყვიან კვიცი გვარზე წავა-ო
- ამბობდნენ ეს ბავში სულელი გამოვა-ო.

**სავარჯიშო № 45. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

- პლატონის უთხარი: პლატონი დედა გეხვეწება-თქვა ჩემო პლატონი ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნეთქვა
- თუ ვინმემ გკითხოს გიორგის ვინაობა, უთხარი რო ჩემი კახელი ნათესავიათქვა.
- ათასჯერ მითქვია ნუ ხარ ასე დაგლახაკებულიო.
- მე სიცილით უთხარი როგორ მომენატრეთქო.
- გუშინ ყველას გითხარით, ხვალ საკონტროლო წერა გვექნება-ო
- თაგვმა თხარა თხარაო კატა გამოთხარა-ო
- დილით მყინვარწვერს შევხედე თუ არა მაშინათვე ეს გავიფიქრე რა მშვენიერი რამ არისმეთქი
- დედაშენი მომიკითხე, როგორ ხარ, რას შვები რას აპირობთქვა
- მშობლებმა ნიკა მკაცრათ გააფრთხილეს: „სასწრაფოთ წადი და გაკვეთილები ისწავლე"-ო.

- ბრძენ ქართველს უთქვამს: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა-ო.

**სავარჯიშო № 46. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები.**

- მეხუთედ გიმეორებ მე იქ არ წავალ თქო.
- გამეცალე, გამეცალემეთქი.
- დამაბარა გაჩერდეს არსად წავიდეს-ო
- სიყვარული აღგვამაღლებს-ო თქვა რუსთველმა
- ნანამ შემოგვითვალა აუცილებლად მოდით-ო
- მარიამ წადი და დათოს უთხარი ჩვენთან სტუმრად მოდი-თქვა
- ნიკა, ბებიას უთხარი დედა გეძახის-თქვა
- ვიფიქრე დილას ადრე ავდგები და ყველაფერს მოვასწრებთქვა.
- ამბობენ კარგი შვილი დედის გულის ვარდია-ო
- რევაზმა შემოგითვალა გოგოებო აქ ძალიან მჭირდებით და უარი არ მითხრათ-თქვა
- მე და ჩემი მეგობარი მთელი საღამო ვლაპარაკობდით რა უცნაური კაცია მისი ვერაფერი გავიგეთ-ო.
- ინანებ ჩემო ბატონო გიმეორებ ინანებთქო
- მუდამ იმის ლაპარაკში ვიყავით, ჩამოვა ჩვენი ბიჭი და ის მოგვივლის-მეთქი
- დავდიოდით ქუჩებში და ხალხს ვუმეორებდით ხმა ამოიღეთ ვერა ხედავთ ვიღუპებით-მეთქი.
- მუდამ იმის მტკიცებაში ვიყავით ვინც არ ისწავლის ცხოვრებაში დაიჩაგრება-თქვა.

**სავარჯიშო № 47. შეცვალეთ ხაზგასმული შემასმენლის რიცხვი და გამართეთ წინადადება.**

- სასაცილოა, ეს გოგო როგორ იპრანჭება, რას იკლაკნება-მეთქი, **-ვამბობდი**
- დაგვიბერდნენ მშობლებიო, —**ვწუწუნებდით** ჩვენ.
- მოგვატყუეს, მოგვატყუეს-მეთქი, —**ვუჩიჩინებდი** ლიას.
- რა ხდება, რა ხდებაო,— **ვეკითხებოდით** დარაჯს.
- ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო, — ვამტკიცებდით ახალგაზრდები.
- არ მომეკარო, გესვრი, ადგილზე გაგათავებ! — **შევძახე** გამწარებულმა.
- ეს ქალი ნამდვილად ავადმყოფია-მეთქი, — **ვამტკიცებდი** მონდომებით.
- მოდით, ჩვენი სიხარული გაიზიარეთო, — **მოვუწოდებდით** ყველას.
- სამი სურვილი აგვისრულეო,— **დავდევდით** შვილიშვილები ბებიას.
- ამას არ შევარჩენ-მეთქი, — **ვიმუქრებოდი** დღენიადაგ.

## დიალოგი

*ცნობისათვის: ორ ან მეტ პირს შორის საუბარს დიალოგი ჰქვია. დიალოგის ყოველი მონაწილის ნათქვამი იწყება ახალი სტრიქონით, წინ ტირე იწერება და ბრჭყალებში არ ჩაისმის.*

*შენიშვნა: ზოგიერთი მწერლი დიალოგის მონაწილეთა ნათქვამის გადმოსაცემად ტირეს ნაცვლად ბრჭყალებს იყენებს.*

*„ერთი რამ მინდა გითხრა, შორენა, ოღონდ არ შემრისხო, გევედრები წინასწარ“.*
*„მიბრძანეთ, რაც გნებავთ, მეფევ ბატონო, ყმათა წყრომას მეფენი სად ერიდებოდნენ?“*
*„არავინ იცის, რომელია ჩვენს შორის ყმა!“ (კ. გამსახურდია).*

**სავარჯიშო № 48. დასვით სასვენი ნიშნები.**

- გამარჯობა ლია
  გამარჯობა როგორ მომაგენი
  გეძებდი და მოგაგენი
  შემოდი ოთახში
  მე შევედი და ოთხის კუთხეში დავჯექი. ლია ოთახის მეორე კუთხეში დაჯდა.
  როგორ ხარ ლია
  გმადლობ არა მიშავს
  სად გამეპარე ლია იმ დღეს
  არსად არ გავპარულვარ უბრალოდ წავედი ღიმილით
  თქვა ლიამ
  მერე
  მერე რა
  აღარ მელოდი ვკითხე მე
  დღეს არა
  აბა როდის
  არ ვიცი
  საერთოდ კი მელოდი
  კი თქვა ლიამ და თავი ჩაღუნა

- მოდიხარ
  სად
  კინოში
  რა გადის
  ბეჭდების მბრძანებელი
  ბილეთები თუ გვაქვს
  ავიღებთ
  რას აიღებ უამრავი ხალხი იქნება
  შენ წამოდი და მოვახერხებ რამეს
  კარგი ჩავიცვამ და წამოვალ

- რატომ დაგაგვიანდა იკითხა მამამ
  გამოცდა დიდხანს გაგრძელდა უპასუხა მარიამმა
  რას აბარებდი დაინტერესდა მამა
  ფსიქოლოგიას უხალისოდ უპასუხა გოგონამ
  ვინ გამოგცადა არ ეშვებოდა ნიკო
  ჩვენი პროფესორი ავად გახდა და მისმა ასისტენტმა წაიდუდუნა ქალიშვილმა
  რაღაც ხასიათზე ვერ ხარ ვერ ჩააბარე თანაგრძნობა გაისმა მამის ხმაში
  ჩავაბარე მოკლედ მოჭრა გოგონამ
  მერე
  რა მერე სამიანი დამიწერა
  აუ შეწუხდა მშობელი

- ხშირად გხედავ ამ ქუჩაზე აქ ცხოვრობ
  არა
  აბა რას დადიხარ აქ
  მეგობარი ცხოვრობს და ერთად ვმეცადინეობთ
  ო იკლავ თავს ალბათ მეცადინეობით
  მართლა არ გჯერა
  არა
  აბა სიმართლეს გეტყვი
  მიდი თქვი
  ერთი გოგო მომწონს
  აუ ვინა
  რა მნიშვნელობა აქვს
  თქვი არ მოგტაცებ
  მატასი ჰქვია სახელად
  რა ლამაზი სახელია
  შენ გოგო ნახე
  კარგი აბა წავიდეთ ღმერთმა ხელი მოგიმართოს

- დათო წამიყვანე გადაღებაზე
  მარიამ დამანებე თავი შენთვის არ მცალია
  არ მცალია არ მცალია სულ ამას გაიძახი რა დეიდაშვილი ხარ თუ
  სულ არ გცალია
  კარგი წამოდი ოღონდ არ დაიწყო მერე დავიღალე მეტი აღარ
  შემიძლიაო
  არ დავიწყებ ოღონდ წამიყვანე
  ბებო აჭამე მარიამს უნდა წავიდეთ
  სად მიდიხართ შვილო
  გადაღებაზე
  მალე მოხვალთ
  ოთხ საათში
  რა ამბავია ბებო ოთხი საათი ხო დაიხოცებით
  ნუ გეშინია არაფერი მოგვივა
  წავედით მარიამ ჩქარა

- დათოს სთხოვეთ ებანოიძეს
  ახლავე ვინ კითხულობს
  სანდრო ვარ ლანჩავა
  ახლავე შვილო ერთი წუთით დაელოდე
  დათო გამარჯობა
  გამარჯობა სანდრო
  დათო წამოხვალ ერეკლეს დაბადების დღეზე
  დავითაშვილის
  ჰო დავითაშვილის
  წამოვალ მაგრამ ცოტა დამაგვიანდება
  მეც მაგვიანდება და მოდი ერთად წავიდეთ
  კარგი სად შევხვდეთ
  ჩემთან გამოდი და აქედან წავიდეთ
  ისე სად მივდივართ
  უნდა დავურეკო და გვეტყვის სადღაც რუსთაველზე ახალი ბარი
  გახსნილა და იქ იხდის დაბადების დღეს
  კარგი შევთანხმდით აბა ჰე კარგად იყავი
  დროებით

## XVIII. რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად

*ცნობისათვის.* 1. მძიმისა და ტირეს ერთად ხმარებისას ჯერ დაისმის მძიმე, შემდეგ — ტირე:

*მართალია, პაპამისი იტალიელი ყოფილა, — მიუგო გიორგიმ, — მაგრამ ის ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩამოსულა საქართველოში.*

*2.* როცა წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი ან ტირე ბრჭყალებთან ერთადაა, ისინი მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის.

*გავიხსენოთ მისი სპექტაკლები — „ბაკულას ღორები“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ბნელ ოთახში“.*

*3.* კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის როგორც ბოლო ბრჭყალების წინ, ისე შემდეგ.

ა) ბოლო ბრჭყალების წინ თუ იგი განეკუთვნება *იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც ბრჭყალებშია მოქცეული:*

*ეკას მოესმა ბოხი ხმით წარმოთქმული სიტყვები: „ნეტა ეს ლამაზი ქალი ვინ არის?“;*
*„ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“*
*„როგორ მოგწონს ახალი სახლი?“— მკითხა დედამ.*

*ბ)*დაისმის ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ იგი ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას:

*ნუთუ არ გინახავთ ახალი მხატვრული ფილმი „სამოთხის გვრიტები“?*

*4.* არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ არ დაისმის წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე: ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ.

*მისი საუბრიდან გავიგე, რომ ყბაჩა (ასე ეძახდნენ მეგობრები ნიკას) — ცნობილი მსახიობის შვილი ყოფილა;*

*5.* კითხვისა და ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის

ა) დახურული ფრჩხილების წინ, თუ ისინი მხოლოდ იმ სიტყვას ან სიტყვებს განეკუთვნება, რომლებიც ფრჩხილებშია ჩასმული:

*მთვარიანი ღამე აქ გასაგიჟებელია, ქობულეთის მთვარიანი ღამე (თუმცა სად არაა იგი გასაგიჟებელი?).*

ბ) დახურული ფრჩხილების შემდეგ, თუ ის ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად მთელს წინადადებას განეკუთვნება:

*რომელი ანბანი შეიქმნა უფრო ადრე: მრგლოვანი (ასომთავრული) თუ კუთხოვანი (ნუსხური)?*

5. წერტილი არ დაისმის ციტატის შემდეგ, როცა მას ერთვის ფრჩხილებში მითითებული ავტორი და წყარო. იგი დაისმის დახურული ფრჩხილის გარეთ.

*„დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე სიტყვებს წინადადების წევრობა ა რ შეუძლიათ“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980, გვ.35).*

სავარჯიშო № **49.** დასვით სასვენი ნიშნები.

- ჩვენი მოსვლის მიზანია თქვა მინისტრმა აგრარული რეფორმის საბოლოოდ გატარება ამ რაიონში.
- იქ გვიჩვენეს ოთახი სადაც იწერებოდა ომი და მშვიდობა და ანა კარენინა
- ვანომ ნაცნობი და საამური ხმით გააბა თავო ჩემო ბედი არ გიწერია
- მე ვეკითხები ხალხი სად არის მეთქი ის კი გაიძახის „ბატონო ნაჩალნიკო“
- ჩვენს სოფელში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახავდა ადამიანის თვისებას: სიხარბეს (მგელი) ეშმაკობას (კუდიანი) სიჯიუტეს (ჯიქი)
- ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში მდინარემ იმწამსვე დააპრონიალა. ვაიმე ამასაც დაახრჩობს ეს წყეული მდინარე შეჰკივლეს ბავშვებმა.
- ღამის სიბნელეს მთელი ქვეყანა მოეცვა ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და ნამცეცი შუქი არსად ჩანდა რომ მგზავრს გზადაკარგულს გზა გაეგნო და ნადირებისა და ავი სულების წერა არ გამხდარიყო.
- სანერეთლოში ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათს რიცხვში ურევია სავანეც ის სოფელი სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი.
- ერთხელ ავდრიანი დღე იყო ქალებმა ყანაში არ წაგვიყვანეს გვეწყინა მაგრამ რაღას ვიზამდით
- ძიძიშვილმა მითხრა მოდი ერთი ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო ჩამოიღო საჩეჩელი მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა თანაც ასე იძახოდა ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვერებიო

**სავარჯიშო № 50. დასვით სასვენი ნიშნები.**

ვაჟა-ფშაველა „მთანი მაღალნი“

იდგნენ და ელოდნენ უსაზღვროა მთების მოლოდინი უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში გარეთ სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ იცის რა ამბავია მთების გულში რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის

მთებო მთებო რას ელით ვის ელით ნუთუ გყავთ სატრფო დიდიხნის უნახავი იქნება შვილი დაჰკარგეთ იქნება ძმა ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად ელოდენ ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას არა აქვს იმას ბოლო არც დასასრული როგორც ღვთაებას.

როცა ყველა სულდგმულს მწერს ბალახს ყვავილებს მდინარეს და მოუსვენარს დაუღალავს ნიავს დაეძინებათ მაშინ მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლებს ჰღვრიან. ჩვენ კაცნი მაშინ ვამბობთ ახ რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზეო

რატომ არ მღერით მთებო განა ისე უნდა მოვკვდე რომ თქვენი ხმა თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო რატომ არ იცინით ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი კარგებო მაგრე როგორ დაგიმონათ შეგიპყრათ დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში არა არა ხანდახან თქვენც გიხარიათ და ქვეყანას კი ჰგონია ვითომ თქვენ არაფერს გრძნობთ ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზე ჩამოეშვება რა ლამაზი ხართ მაშინ როგორ გიხდებათ რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე

მამაცი შეუპოვარი და ლამაზია ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი ღმერთს უამბობს ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი იდეა გრძნობა არ ოცნებობთ როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები თქვენ რომ გულმკერდს გიმშვენებთ ეგაა თქვენი ოცნება იმედი ნუგეში რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით თუ ჩუმჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი რად ადენთ ცივთა წყაროთა რად აქანებთ ზვავებს რადა ზრდით ლაღთა ხარჯიხვთა ვის ატყუებთ თქვე კარგებო

სდგანან და ელიან წვიმა წვიმს იმათ თავზე ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულმკერში, არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერია ეგეც თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა ცის ახლოს ყოფნა დაბლა განისვენეთ

სდებს თოვლი ჰყინავს ცივა ქვა ტყვრება მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე თითქოს მკვდრები იყვნენ დაგვმარხეთ დაგვიტირეთო გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან გული სტკივათ ძალიან სტკივათ მაგრამ არ იხოცებიან არც ჭლექდებიან ელიან ვის ან რას რაღაცას დიაღ რაღაცას ეს რაღაცაა უნახავის დანახვა ჰნახეს და გააათავეს რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა სხვა ახალი მოსწყურებიათ იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა სწორედ რომ ისაა

# XIX. სავარჯიშოები გასამეორებლად

**სავარჯიშო № 1. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ნოდარი დგებუაძე თავის მამიდა-შვილის კლას დასასვენებლათ დმანიში გაყვა.
2. ფანჯრებ-ჩამტვრეულ ვაგონში ერთერთი პირველთაგანი ალმოვჩნთი.
3. ქათმები ხეზე დასაბუდებლათ დაჯდენ.
4. სულ იმის შისში იყო ვინმე არ მიკარებოდა.
5. რკინის საწოლები ერთმანეთან ახლოს მიწიეს და ზედ გლეხურათ ჩაცმული ზვიადი კობახიძე დააწვინეს.
6. ოთარიმ ზვიადის კითხა ვახტანგის ამბავი, მარა ზვიადიმაც არაფერი არ იცოდა.
7. ეთერიმ ბილეთები დაჰკეცა და დიდი ამბავით შეინახა.
8. გურამიმ თამაზის სასმისი პირთამდი ოუვსო და მიაწოდა.
9. დარჩა ქვრივათ საწყალი ლუარსაბი, გარედ აღარ გადიოდა.
10. ის ალბად ჩემ დაბრუნებას ელოდა.

**სავარჯიშო № 2. გაასწორეთ შეცდომები:**

1. ისმის ხმლების ჭახა-ჭუხი, ფლოქვების თქარა-თქური და მეომრების ყიჟინა.
2. ცხენ-და-ცხენ გამოვედევნე იმ მზეთ-უნახავს, დღე და ღამ ვიარე, სულ ტყეტყე  მივდიოდი, მარა ვერ დავეწიე.
3. ნიკავ, საახალწლოთ  ცოლ-შვილი ჩამოიყვანე, შენ დედმამას გოუხარდებათ.

4. თათრებმა უამრავი სახლი გადაწვეს, ბაღვენახებსაც უწყალოთ ჰკაფავდენ და დიდ-პატარას ულუკმა-პუროთ სტოვებდენ.
5. ცხვარ-ბატკანი საძოვარათ მიკუნტრუშობდენ.
6. მგლებს მიზეზი ქონდათ თავის თანა-მოძმე ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯად.
7.ცოტა ხნის შემდეგ ხევხევ ქვების რახა-რუხი და კომბლების ტყაპა-ტყუპი ისმოდა.
8. ათასშვიდასსამოცდაცხრამეტ წელს ეკატერინე მე-II-ემ რუსეთიდამ ოთხიათასი ჯარის კაცი გამოჰგზავნა.
9 .წყალ სადენის იქით ერთად-ერთ ორ-სართულიან შენობაში იაფ ფასიანი მაღაზია იყო.
10. მე მას სიტყვა მოუჭერი: ნახევარი ჩემი ობლებისაა—თქო.

**სავარჯიშო № 3. გაასწორეთ შეცდომები.**

1. უთხარი რომ როცა მინდია კვტებოდა შენ გლოცავდათქვა
2. ნათქვამია კაი ბედაური მათრახს არ დაიკრავს-ო
3. ვაივაივაი ეს რა მომივიდა, ონკანი ღიათ როგორ დამრჩა
4. ხა ხა ხა გადაიხარხარა ლევანიმ
5. ჩხიჩხიჩხი დასძახოდა ჩხიკვი
6. მიაუ მიაუ ისმოდა კატის კნავილი.
7. ვაგონრესტორანის ფანჯარიდან ვხედავდი როგორ აფრინდენ დედალ მამალი ხოხობი.
8. მე ძაღლს მივარდი, მაგრამ ის უკვე უსულოთ ეგდო
9. მე მას ყურს აღარ უგდებდი.
10.მე რო დაობლდი სულ პატარა ვიყავი.

**სავარჯიშო № 4. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ვიცი რო მე დიდი სიფრთხილე მართებს.
2. ნაცარ-ქექიები გვაშინებდენ, დევები კი ზიზღსა გვრიდნენ.
3. მას სოფლის ველმინდვრების სურნელება შემოყვა.
4. იგი გადაწვდა ვარდს მოსწყვიტა და მისცა თამარის.
5. მოდიხარ კითხა ლევანიმ ომარის.
6. ამირანიმ ცოლს რამოდენიმე სიტყვა მიწერა.
7. შუაში ზურა ჩეისვეს, თითონ გარშემო მიუჯდენ და ახარხარდენ.
8. ჯერ კიდევ არ დამიკარქია ანალიზის უნარი.
9. ყვითელ და შინდის ფერ ფოთლებს ენა აუდგიათ.
10. ვახტანგიმ ქუდი დაიფარა წვიმას რო არ დაესველებია.

**სავარჯიშო № 5. გაასწორეთ შეცდომები.**

1. ოთარიმ ბიჭებს ხელ-წერილი დააწერია.
2. ო რარიგ გაუგემურდა მას სიბერე.
3. სამართველოში ნელ-ნელა შედიოდენ სამ სამი კაცი.
4. მეფემ მდუმარეთ გაწია კვეტარისაკენ.
5. ბოვშმა დედას ხმა არ გაცა.
6. ეს კალამი ჩვენ არ დაგვარდნია.
7. სისხლის მღვრელმა ბრძოლამ მთელ ღამეს გატანა.
8. ეთერიმ საკონტროლოში ხუთიანი მიიღო და მისი სიხარული დედმამას გაუზიარა.
9. უცეფ გამოვარდენ შეიარაღებული გლეხები.
10. ისინი ჩამოჯდენ გაშალეს ნაბადი და ქალი მაზე დააჯინეს.

## სავარჯიშო № 6. გაასწორეთ შეცდომები.

1. ტყემ მოიბა ფოთოლი.
2. რუსუდანის ცრემლები გადმოვარდა.
3. ამხედრებული დავითი და გია თქარა-თქურით მოვარდენ.
4. დაჭრილები გარედ უპატრონოდ ეგდენ.
5. ოსები ნადირეფს უმოწყალოთ კლავდენ.
6. ბერი-კაცები სიცილით კვდებიან.
7. მათმა დავლება პირნათლათ შეასრულეს.
8. ნინო და ნანა გვიან დაბრუნდა სკოლიდან.
9. ნიაო, ჩემო ნიაო ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა.
10. ჩვენო არაგო რა რიგ მიყვარხარ

## სავარჯიშო № 7. გაასწორეთ შეცდომები.

1. გურამიმ მხატრობა კარქათ იცის.
2. დამხდურთა შორის ნანაც იყო.
3. მორცხობით ვერა ფერს მოიგებ.
4. მინდა როგორ-მე ვძლიო ეს პირუტყული შიში.
5. ის ტახტის უდაო მემკვიდრეა.
6. ბავშმა ბავშობა არ უნდა დაკარქოს.
7. არწივს მოშაო ფერის ტანი აქს.
8. თავის-უფლება თითონ უნდა მოიპოო.
9. ეს ძალზედ სადო საკითხია.
10. უდაოა ქვეყნის წარმატებას ეკონომიკა განსაზღვრავს.

**სავარჯიშო № 8. გაასწორეთ შეცდომები.**

1. თინა მხატვარს სურათსა ახატინებს
2. ჩვენი მეეზოე ულვაშებ-აპრეხილი ქურთია.
3. ნოდარო, დღეს კინოში წავიდედ უთხრა ნოდარის გიამ.
4. თენგიზი მოდი ჩემთან დაუძახა დედამ შვილს.
5. აგიაშვილი გამოდი დაფასთან.
6. ეს დავალებები ერთიდაიგივე ჯარის-კაცმა შეასრულა.
7. ბებია-ჩემი ანთავისუფლებს ჩემ მშობლებს სწავლის ხარჯებისაგან.
8. დრო და დრო ისმოდა ქარიშხალის გუგუნი.
9. ლევანიმ ყურძენის კრეფას თავი გაანება.
10. ეს ანბავი ვილაცეებმა მითხრენ.

**სავარჯიშო № 9. გაასწორეთ შეცდომები.**

1. დედა-კაცი ცრემლებს იწმენდავდა თვალებდამ.
2. ქალები იჯდენ და მცხარე ცრემლით სტიროდენ.
3. ბებიაჩვენს ბევრი ახირებული ჩვევები ქონდა.
4. ორივე მონადირეები ფრთხილათ ჩამოვიდენ მთიდან.
5. ამ ოთახში სძინავდა ჩემ ნაცნოფს, იმ ოთახში კი შენსას.
6. ვეფხისტყაოსანი მე-12-ე საუკუნეში დაიწერა.
7. ცოლქმარმა ბუზების დათვლა დეიწყეს.
8. აქიდამ ხელის გულივით მოჩანს „კახეთი", მისი ლამაზი არე-მარე.
9. ფშავ-ხევსურეთი ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხეებია.
10. ვაშკაცს შიში ვერ გასდრიკავს.

**სავარჯიშო № 10. გაასწორეთ შეცდომები.**

1. რათქმუნდა მოყვარული ცოლქმარი ამის გამო ერთო მეორეს არ ახირებია.
2. ნიკოვ, ფრთხილათ მოიქეცი
3. ილია მგზავრის წერილები ერთერთი საუკეთესო თხზულებათაგანია „ქართულ ლიტერატურაში“.
4. მრცხვენოდა და გურამის თვალებს ვერ უსწორებდი.
5. გურულებმა და მეგრელებმა ერთმანეთში მისვლამოსლვა დაიწყო.
6. ეს რამ გაფიქრებია შენი ჭირი მე კითხა გაოცებულმა ქალმა.
7. ყოჩახ ჩემო ძმაო სწორეთ ასე უნდა მოიქცე
8. „მტკვარის“ მარჯვენა სანაპიროზე დიდი საცურავო აუზია.
9. „ნიკორწნიდა“ მნახველს ანცვიფრებს
10. ორივე შეჩერდენ და ალელვებულს ზღვას დაუწყეს ყურება.

**სავარჯიშო № 11**

1. დასვით სასვენი ნიშნები: წადი შვილო ღმერთმა ხელი მოგიმართოს
2. გადააკეთეთ მარტივ წინადადებად: მზე რომ ამოვიდა, არემარე განათდა.
3. დასვით სასვენი ნიშნები: თქვენ ქალაქელები ყველა ერთმანეთს ჰგავხართ-უთხრა ანზორმა ქალაქელ სტუმრებს.
4. დასვით სასვენი ნიშნები: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა–გვასწავლის ქართული ანდაზა.
5. დასვით სასვენი ნიშნები: მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ რომ წარვუძღვე წინა ერსა
6. დასვით სასვენი ნიშნები: სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი ბრძანებდა რუსთველი

7. შეცვალეთ ქვემდებარე შესაბამისი კრებითი სახელით და გამართეთ წინადადება: სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ და პარლამენტის წინ მიტინგი გამართეს.

8. გაასწორეთ: სტუმრები შემოვიდენ და სკამებზე დაჯდენ.

9. დასვით სასვენი ნიშნები: თუ გახსოვს ჩემო კარგო რა დრო იყო

10. გაასწორეთ: ლევანი ღრმად იყო დარწმუნებული რომ ფულით ცოდნას კაცობას სინდის-ნამუს ერთი სიტყვით ყველაფერს იყიდიდა.

**სავარჯიშო № 12**

1. გაასწორეთ შეცდომები: გამომცემლობა დიოგენემ ბევრი ახალი წიგნები გამოცა
2. გამართეთ წინადადება: თაგვმა თხარა თხარა და კატა გამოსთხარა
3. გაასწორეთ: დიახ დიახ გავიგედ წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლქმარმა
4. დასვით სასვენი ნიშნები: ავთანდილმა გადაწყვიტა მეფისთვის სიმართლე დაემალა და უთხრა რომ სალაშქროდ აპირებდა წასვლას
5. იპოვეთ და გასწორეთ შეცდომები: მე მშვიდად ავდექი და რა თქმა უნდა შენსკენ წამოვედი
6. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომა:
   — ჰაი, პეტრევ, ფრთხილათ! — არიგებდა პეტრე თავის თავს
7. შეცვალეთ ქვემდებარის რიცხვი და გამართეთ წინადადება:
   სტუმრები შემოვიდნენ და მაშინვე სკამებზე დასხდნენ.
8. დასვით სასვენი ნიშნები:
   კაცი ქალი დიდი პატარა მისთვის ყველა ერთი იყო
9. დასვით სასვენი ნიშნები: წესი ეგრეა ბატონო უპასუხა კარისკაცმა
10. დასვით სასვენი ნიშნები: ტყემ მოისხა ფოთოლი აგერ მერცხალი ჭყივის ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის

1. რომელია სწორი?

ა) ერთი და იგივე ამბავმა  ბ) ერთმა და იმავე ამბავმა

ბ) ერთმა და იგივე ამბავმა  დ) ერთიდაიგივე ამბავმა

2. რომელია სწორი?

ა) მე-18-ე  ბ) 18-ე  გ) მე-18

3. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა) მირბის მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი.

ბ) მირბის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ ჩემი მერანი.

გ) მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი.

დ) მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი.

4. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მელა ქათამს . . . . . . . . .

ა) მიჰპარვიყო  ბ) მიჰპარვოდა  გ) მიპარვოდა  დ) მიჰპაროდა

5. ჩასვით სახელის სწორი ფორმა

დღეს კინოში ნავიდეთ უთხრა ........ ნოდარს

ა) ეთერიმ  ბ) ეთერმა

6. ჩასვით სწორი ფორმა: მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დიდი . . . . . . აუზია

ა) საცურავო  ბ) საცურაო  გ) ცურვის

7. რომელია სწორი?  ა) მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივმა"

ბ) მოთხრობამ „ოთარაანთ ქვრივი"

8. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: დედას ბავშვები გვერდით . . . . . . .

ა) ედგენ  ბ) ედგა  გ) მდგნენ  დ) ედგათ

9. რომელია სწორი?

ა) არე-მარე  ბ) არემარე  გ) არე მარე

10. რომელია მცდარი ?

ა) დღედალამ  ბ) დღე-ღამე  გ) დღედაღამე

11. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

დედა-შვილი ერთმანეთს . . . . . . . .

ა) შესცქეროდა ბ) შესცქეროდენ

გ) შეცქეროდნენ დ) შესცქეროდნენ

12. რომელია სწორი? ა) ანცქვიფრებს ბ) აცვიფრებს

13. რომელია ორთოგრაფიულად მცდარი დაწერილობა?

ა) წამწამი ბ) წამ-წამი

14. ჩასვით სწორი ფორმა: ქეთო და კოტე . . . . . . . . .

ა) მღეროდა ბ) მღეროდენ გ) მღეროდნენ

15. რომელია სწორი: ა) კვალ და კვალ

ბ) კვალდაკვალ

გ) კვალ-და-კვალ

16. რომელია სწორი: ა) ცოლ-შვილიანი ბ) ცოლშვილიანი

17. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ნიკო გაკვეთილებიდან . . . . . . . .

ა) გაანთავისუფლეს ბ) გაათავისუფლეს გ) განათავისუფლეს

18. რომელია სწორი: ა) ლამაზ კაბიანი

ბ) ლამაზ-კაბიანი

გ) ლამაზკაბიანი

19. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა) სუფრაზე ეწყო ყველაფერი პური, ყველი, კიტრი, მწვანილი.

ბ) სუფრაზე ეწყო ყველაფერი: პური, ყველი, კიტრი, მწვანილი

გ) სუფრაზე ეწყო ყველაფერი: პური, ყველი, კიტრი, მწვანილი.

20. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: დედა შვილს სამშობლოს სიყვარულით . .

ა) ზრდის ბ) ღზრდის

21. რომელია სწორი: ა) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა კითხა.

ბ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა ჰკითხა.

გ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა კითხეს.

დ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა ჰკითხეს

22. რომელია სწორი დაწერილობა: ა) ანგარიშ-გასაწევი
ბ) ანგარიშ გასაწევი
გ) ანგარიშგასაწევი

23. რომელია უმართებულო ფორმა:
ა) განადიდებს ბ) გაადიდებს გ) ანდიდებს

24. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ვახტანგის ჩემთვის არაფერი.....
ა) დაუმალია ბ) დაუმალავს

25. რომელია სწორი?
ა) გიორგი I ბასილი II წერილი გაუგზავნა.
ბ) გიორგი I-მა ბასილი II წერილი გაუგზავ.ნა
გ) გიორგი I-მა ბასილი II- ს წერილი გაუგზავნა.

26. რომელია სწორი?
ა) ბავშვები ხის ძირას იჯდენ.
ბ) ბავშვები ხის ძირას ისხდენ.
გ) ბავშვები ხის ძირას იჯდნენ.
დ) ბავშვები ხის ძირას ისხდნენ.

27. რომელია სწორი: ა) იმედ-გაცრუებული
ბ) იმედგაცრუებული
გ) იმედ გაცრუებული

28. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მხატვარი თქვენ . .. . . . .
ა) გხატავს ბ) გხატავთ გ) გხატავსთ

29. ჩასდვით ზმნის სწორი ფორმა : მრცხვენოდა და გურამს თვალს ვერ
ა) ვუსწორებდი ბ) უსწორებდი

30. რომელია სწორი: ა) გრძელულვაშა
ბ) გრძელ-ულვშა
გ) გრძელ ულვაშა

31. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: აქედან მთელი ალაზნის ველი . . . . .
ა) სჩანს ბ) ჩანს

32. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მთელი დღეა ......
ა) ვტირივარ ბ) ვტირი

33. როგორ დაიწერება არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელი მეჩვიდმეტე?
ა) მე-17 ბ) მე-17-ე გ) 17-ე

34. რომელია სწორი მიმართვისას: ა) ჯემალი ბ) ჯემალ

35. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: იგი .... წყაროს წყალს
ა) სვავდა ბ) სვამდა გ) ლევდა

36. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ორივეს მართლაც კარგი ხელი ...
ა) ქონდა ბ) ქონდათ გ) ჰქონდა დ) ჰქონდათ

37. რომელია სწორი: ა) აივლჩაივლის ბ) აივლ-ჩაივლის

38. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა : ვანოს ცხენი ღობესთან .....
ა) მიუბავს ბ)მიუბამს გ) მიუბია

39. რომელია მცდარი დაწერილობა:
ა) ანხორციელებს
ბ) ახორციელებს
გ) განახორციელებს

40. რომელ წინადადებაშია ნახმარი სიტყვა „უკან" უმართებულოდ:
ა) უკან დაბრუნება უნდოდა.
ბ) სახლის უკან დიდი ტყეა.
გ) წინ წყალი, უკან— მეწყერი.
დ) ხუთი წლის უკან დაბრუნდა უცხოეთიდან.

41. რომელია სწორად დაწერილი:
ა) 105-ე ბ) მე-105-ე გ) მე-105

42. ჩასვით სწორი ფორმა: ზაქარია ..... .ამბით შეხვდა მოსულს.
ა) დიდის ბ) დიდით გ) დიდი

43. რომელია სწორი: ა) ბედის წერა ბ) ბედისწერა გ) ბედის-წერა

44. რომელია სწორი?
ა) წუთნახევარი ბ) წუთ ნახევარი გ) წუთ-ნახევარი

45. რომელია სწორი ფორმა:
ა) თითეული ბ) თვითეული გ) თითოეული

46. ჩასვით სწორი ფორმა: ქალაქის მოედანზე ....... სანახაობა მოეწყო
ა) არა ჩვეულებლივი ბ) არა-ჩვეულებრივი გ) არაჩვეულებრივი

47. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: თქვენ გაინტერესებთ ...... თუ არა ხილი ბავშვობაში.
ა) მომიპარავს ბ) მომიპარია

48. რომელია სწორი:
ა) ლევანიმ გააანალიზა. ბ) ლევანიმ გაანალიზა.
გ) ლევანმა გაანალიზა. დ) ლევანმა გააანალიზა.

49. რომელია სწორი:
ა) დავითიმ მოჰყვა თავის თავგადასავალი.
ბ) დავითიმ მოჰყვა თავისი თავგადასავალი.
გ) დავითი მოყვა თავის თავგადასავალს.
დ) დავითი მოჰყვა თავის თავგადასავალს.

50. რომელია სწორი: ა) ბოლოს და ბოლოს
ბ) ბოლო-ბოლო
გ) ბოლოს-და-ბოლოს

51. რომელია სწორი: ა) მათმა გააკეთეს ბ) მათ გააკეთეს
გ) იმათმა გააკეთეს დ) იმგენმა გააკეთეს

52. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:
დარბაზში განათლებული საზოგადოება. ......
ა) სხედს ბ) ზიან გ) ზის დ) სხედან

53. რომელია უმართებულო: ა) ბოდიში მოუხადა
ბ) მადლობა მოუხადა
გ) ქუდი მოუხადა

54. ჩასვით სწორი ფორმა: დედამ თავისი ერთადერთი შვილი ......
ა) გაანებიერა ბ) გაანებივრა

55. რომელია სწორი: ა) მან მას გადასძახა.
ბ) მან მას გადაძახა.

56. დაწერეთ რომაული ციფრებით: რომანის **ოცდამეხუთე** თავზე შევჩერდი
ა) 25-ე ბ) XXV—ე გ) მე-25 დ) XXV

57. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მებაღეს ბუჩქები .......
ა) გაუკრეჭია ბ) გაუკრეჭნია
გ) გაუკრიჭავს დ) გაუკრეჭავს

58. რომელია სწორი: ა) ხელ-ფეხ-შეკრული
ბ) ხელ-ფეხშეკრული
გ) ხელფეხშეკრული
დ) ხელფეხ-შეკრული

59. სად არ არის ი ფუძისეული?
ა) გივი ბ) დაჩი გ) ეთერი დ) ირაკლი

60. რომელია მცდარი: ა) ორი კაცები მოვიდნენ.
ბ) ორი კაცი მოვიდა.

61. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ნინო ფანჯარას ......
ა) სწმენდს ბ) სწმინდავს გ) წმენდს

62. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვად-კვეცადი სახელი:
ა) მაგიდა ბ) მერხი გ) ფანჯარა დ) კარი

63. ჩამოთვლილთაგან რომელს უნდა მოთხრობითში ორი მ?
ა) რატი ბ) გურამი გ) ნოდარი

64. რომელია სწორი: ა) თმა-წვერ-შეკრეჭილი
ბ) თმაწვერ-შეკრეჭილი
გ) თმაწვერშეკრეჭილი

65. რომელია მცდარი:
ა) ლომივით ბ) ლომისავით გ) ლომსავით

66. რომელია სწორი: ა) მგალობლიშვილი, გამოდი დაფასთან!
ბ) მგალობლიშვილო, გამოდი დაფასთან!

67. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა : სამმა გმირმა ნესტანი
ა) გაანთავისუფლეს ბ) გაათავისუფლეს
გ) გაათავისუფლა დ) გაანთავისუფლა

68. ჩასვით სწორი ფორმა: მე ჩემს ბებიას თავს . . . . . . . . .
ა) ურჩევნივარ ბ) ვურჩევნივარ გ) ვვურჩევნივარ

69. რომელია სწორი: ა) გადაწყვიტავს
ბ) გადაწყვეტს
გ) გადასწყვეტს
დ) გადასწყვიტავს

70. რომელია სწორი მიმართვისას:
ა) ეთერი ბ) ეთერ გ) ეთერო

71. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა : ანო და ვანო ხის ძირას ....
ა) ჩამოჯდენ ბ) ჩამოსხდნენ გ) ჩამოჯდა დ) ჩამოსხდა

72. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მთელი ცხოვრება ამაზე . . . . . . .
ა) ვვოცნებობ ბ) ვოცნებობ გ) ვოცნებოფ

73. რომელია სწორი: ა) ცაზე უთვალავი ვარსკვლავია.
ბ) ცაზე უთვალავი ვარსკვლავებია.

74. ჩასვით სწორი ფორმა: რა . . . . . .ასეთ საქციელს?
ა) ქვია ბ) ჰქვია გ) ჰქვიან

75. ჩასვით სწორი ფორმა: ცხვარი გაიშალა და წყაროს წყალს . . .
ა) მივარდა ბ) მიცვივდა გ) მისცვივდა

76. რომელია სწორი: ა) ვახტანგისთან მივდივარ.
ბ) ვახტანგთან მივდივარ.

77. რომელია სწორი: ა) ჩემკენ ბ) ჩემსკენ

78. ჩასვი სახელი **მალხაზი** სწორი ფორმით: „ვინ არის შენი მეგობარი?“- ჰკითხა .... ირაკლის.
ა) მალხაზმა ბ) მალხაზიმ

79. რომელია სწორი: ა) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეერთებინა.
ბ) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეეერთებინა.
გ) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეეერთა.

80. ჩასვი ზმნის სწორი ფორმა: სიხარულისაგან მთელი დღეა .....
ა) ვმღერივარ ბ) ვმღერი

81. ჩასვით სხვათა სიტყვის ნაწილაკი
ბოლოს გადავწყვიტე, თავს ზემოთ ძალა აღარ არის ....
ა) -მეთქი ბ) -თქო, გ) –ო

82. ჩასვით სწორი ფორმა:
დათრგუნულ ხალხს ჯერაც ვერ დაეძლია ... დარდი.
ა) მისი ბ) მათი
გ) თავისი დ) თავიანთი

83. რომელია სწორი?
ა) ხუთიათას შვიდას ორმოცდახუთმეტი
ბ) ხუთი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი
გ) ხუთიათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი
დ) ხუთი ათას შვიდასორმოცდათხუთმეტი

84. რომელია სწორი?
ა) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI-ეს ეახლა მოსკოვში.
ბ) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI-ს ეახლა მოსკოვში.

გ) დავით გურამიშვილი ვახტანგ მე-VI-ს ეახლა მოსკოვში.

დ) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI ეახლა მოსკოვში.

85. რომელია მცდარი: ა) ავღნიშნე ბ) აღვნიშნე

86. რომელია სწორი: ა) დამიხატავს ბ) დამიხატია

87. რომელია სწორი: ა) რა თქმა უნდა
ბ) რათქმაუნდა

88. რომელია სწორი: ა) იცვავდნენ ბ) იცვამდნენ
გ) იცმევდენ დ) იცმევდნენ

89. ჩასვით ზმნიზედის სწორი ფორმა
ხალხი სწრაფად გამოცვივდა ...
ა) გარეთ ბ) გარედ

90. ჩასვით სწორი ფორმა: „მინდორში ...... ამოსულიყო იაო"
ა) ბალახ-ბულახში ბ) ბალახბულახში

91. რომელია სწორი: ა) შეურაწყოფილი
ბ) შეურაცხოფილი
გ) შეურაცყოფილი
დ) შეურაცხყოფილ

92. ჩასვით სწორი ფორმა:
მონადირე დაჭრილ ირემს კვალდაკვალ ........
ა) მიყოლოდა ბ) მიჰყოლოდა
გ) მოყოლიყო დ) მიჰყოლიყო

93. რომელია სწორი:
ა) გლეხკაცი ბ) გლეხ-კაცი გ) გლეხ კაცი

94. რომელი სწორი: ა) მას არ დაუნახია
ბ) მას არ დაუნახავს

95. რომელი სწორი: ა) ყურ-მოჭრილი
ბ) ყურმოჭრილი

96. ჩასვით სწორი ფორმა

ათასნაირი ხილი მწიფს და თავისით . . . . ხიდან

ა) ცვივა ბ) სცვივა გ) ვარდება დ) ცვივდება

97. რომელია სწორი: ა) ნოდარის უთქვია.

ბ) ნოდარის უთქვამს.

გ) ნოდარს უთქვია.

დ) ნოდარს უთქვამს.

98. ჩასვით სწორი ფორმა: . . . . . არაფერი იციან ამის შესახებ

ა) მათმა ბ) მათ გ) იმათმა დ) იმგენმა

99. ჩასვით სწორი ფორმა: მთელი დღე მას ხის ძირში . . . . . . .

ა) ძინებოდა ბ) სძინებოდა გ) სძინებიყო

100. რომელია სწორი?

ა) იმ ერთს მე-2-ე მოჰყვა, 2-ეს 3-ე.

ბ) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, 2-ეს 3-ე.

გ) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, მე- 2-ეს — 3-ე.

დ) იმ ერთს მე-2-ე მოჰყვა, მე-2-ს მე-3-ე.

ე) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, მე-2-ს — მე-3.

## XX. ტესტები თვითშემოწმებისათვის

### ტესტების პასუხები

1) ბ. 2) გ. 3) გ. 4) ბ. 5) ბ. 6) ბ. 7) ა. 8) გ. 9) ბ. 10) გ.

11) ა. 12) ბ. 13) ბ. 14) გ. 15) ბ. 16) ბ. 17) ბ. 18) გ. 19) გ. 20) ა.

21) ბ. 22) გ. 23) გ. 24) ბ. 25) გ. 26) დ. 27) ბ. 28) ბ. 29) ა. 30) ა.

31) ბ. 32) ბ. 33) ა. 34) ბ. 35) ბ. 36) გ. 37) ბ. 38) ბ. 39) ა. 40) დ.

41) ა. 42) გ. 43) ბ. 44) გ. 45) გ. 46) გ. 47) ა. 48) გ. 49) დ. 50) ა.

51) ბ. 52) გ. 53) ბ. 54) ბ. 55) ა. 56) დ. 57) ა. 58) გ. 59) გ. 60) ა.

61) გ. 62) გ. 63) ბ. 64) გ. 75) გ. 76) ბ. 77) ბ. 78) ა. 79) ბ 80) ბ.

81) ა. 82) გ. 83) ბ. 84) ბ. 85) ა. 86) ა. 87) ა. 88) ბ. 89) ა. 90) ბ.

91) დ. 92) ბ. 93) ა. 94) ბ. 95) ბ. 96) ა. 97) დ. 98) ბ. 99) ბ. 100) ე.

# ლიტერატურა


1. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
2. ო. გაჩეჩილაძე, ქართული ენა, თბ., 1992.
3. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა,ნაწ.II, თბ. ,1999, ნაწ. III, თბ., 2001.
4. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1986.
5. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
6. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.
7. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
8. თ. სანიკიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1998.
9. თ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1999.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტოეული, თბ., 1986.
11. ქართული მართლწერის 120 წესი, ცნობარი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის შეადგინა სანდრო ზარდალიშვილმა, ქუთაისი, 1995.
12. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-3, თბ., 1980.
13. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-5, თბ., 1983.
14. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-6, თბ., 1984.
15. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-8, თბ., 1988.
16. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-9, თბ., 1989.
17. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1985.
18. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
19. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
20. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ.,2001.
21. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
22. რ. გაბეჩავა, ზ. ჭუმბურიძე, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო თბ., 2003.
23. რ. გაბეჩავა, ზ. ჭუმბურიძე, ქართული ენა, XI კლასის სახელმძღვანელო თბ., 1999.